

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №4

სასარჩელო წარმოების
შეჩერება-შეწყვეტა

1. საქმის წარმოების შეჩერება
2. საქმის წარმოების შეწყვეტა ადრე არსებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამო
3. საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო
4. საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

1. საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

1ას-989-1267-09

21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 მარტს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს მიმართა შ. ჩ-მემ და განმარტა, რომ 1999 წლის 10 მარტს, მოსარჩელემ 7500 აშშ დოლარად შეიძინა „იკარუსის“ მარკის ავტობუსი, რომელიც დარეგისტრირდა შ. ჩ-მის საკუთრებად რუსეთის ფედერაციაში. აღნიშნული ავტობუსი შ. ჩ-მემ იყიდა და რადგანაც გ. ნ-მეს (მოსარჩელეს ყოფილი ცოლის ძმას) ჰქონდა სამტრედია-თბილისის სამარშრუტო ხაზი, 1999 წლის 4 ივნისს სამტრედიაში სანოტარო წესით გაფორმდა მინდობილობა, რითაც მოსარჩელემ მისცა უფლებამოსილება, გ. ნ-მეს განეკარგა ავტომანქანა „იკარუსი-250“ სამი წლის ვადით გაყიდვის უფლების გარეშე, ასევე, იმ პირობით, რომ შემოსული თანხის ნახევარს მისცემდნენ შ. ჩ-მეს. მიუხედავად ამისა, შვიდი წლის მუშაობის განმავლობაში მოსარჩელეს თანხა არ მიუღია. მინდობილობის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელემ მინდობილობის ვადა აღარ გაუგრძელა და გ. ნ-მეს მოსთხოვა ავტობუსის უკან დაბრუნება, რაზედაც უარი მიიღო.

2005 წლის მაისში გ. ნ-მემ მოსარჩელის ნებართვის გარეშე ავტობუსი გაასხვისა და რეალიზაციით მიღებული თანხა მიითვისა, რის გამოც გ. ნ-მეს ბრალი დაედო დანაშაულში გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით. 2009 წლის 13 თებერვლის 11\96 სამტრედიის რაიონული სასამართლოს განაჩენით გ. ნ-მე მოცემულ საქმეზე ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასამართლომ მხარეთა შორის დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. მოპასუხეს დღემდე არ აუნაზღაურებია შ. ჩ-მისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე შ. ჩ-მემ მოითხოვა მოპასუხის მიერ ჩადენილი დანაშაულით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, 13000 აშშ დოლარი 1999 წლის კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით, ავტობუსის შვიდწლიანი ექსპლუატაციის შედეგად შემოსული თანხის 50% – 16800 ლარი (200 ლარის – ერთ თვეში); შვიდწლიანი დავის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის – 3000 ლარის დაკისრება; ადვოკატისა და მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული 461.65 ლარის დაკისრება.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით შ. ჩ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გ. ნ-მეს დაეკისრა შ. ჩ-მის სასარგებლოდ 13000 აშშ დოლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა გ. ნ-მემ.

გ. ნ-მემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა აღნიშნული საქმის წარმოების შეჩერება შ. ჩ-მისა და შ. ნ-მე-ჩ-მეს (გ. ნ-მის დას) შორის თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე აღძრული სამოქალაქო დავის საბოლოო გადაწყვეტამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინებით გ. ნ-მის წარმომადგენელ ნ. კ-ავას შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა, შეჩერდა მოცემული საქმის წარმოება შ. ჩ-მესა და შ. ნ-მე-ჩ-მეს შორის ქონების თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე აღძრული სამოქალაქო დავის საბოლოო გადაწყვეტამდე.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შ. ჩ-მემ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი მოტივაციის გარეშე შეაჩერა საქმე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე მითითებით იმ მოტივით, რომ მას და შ. ნ-მე-ჩ-მეს შორის არსებული სამოქალაქო დავის გადაწყვეტამდე შეუძლებელია მოცემული საქმის გადაწყვეტა და განხილვა. აღნიშნული ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან ეს საქმეები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შ. ჩ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დანაშაული გამოიხატა გ.ნ-ძის მიერ შ.ჩ-ძის ავტობუსის გასხვისებით. სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო დავა შ. ნ-ძე-ჩ-ძესა და შ. ჩ-ძეს შორის სადავო ავტობუსის თანასაკუთრებად ცნობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ იმ შემთხვევაში, თუ დავა გადაწყდება შ. ნ-ძე-ჩ-ძის სასარგებლოდ, სადავო ავტომანქანა იქნება შ. ჩ-ძისა და შ. ნ-ძე-ჩ-ძის თანასაკუთრება. აღნიშნული კი გავლენას მოახდენს იმ ზიანზე, რაც შ. ჩ-ძეს მიადგა გ.ნ-ძის მოქმედებით. ამდენად, საკითხი, სადავო ავტობუსი იყო თუ არა მხოლოდ შ.ჩ-ძის საკუთრება და, შესაბამისად რა ოდენობის ზიანი მიადგა მას, ვერ გადაწყდება, ვიდრე არ გადაწყდება დავა ავტობუსის თანასაკუთრებასთან დაკავშირებით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს გ.ნ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად შ.ჩ-ძისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე შ.ჩ-ძის ქონების თანამესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განჩინებაში მოყვანილი გარემოება წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევას, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს მოცემული საქმის გამოკვლევის შეუძლებლობის განმაპირობებელ ობიექტურ სირთულედ ან დაბრკოლებად, რამდენადაც, მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, კანონმდებელი ასეთ სირთულედ მიიჩნევს მოცემული საქმის განხილვისათვის აუცილებელ ისეთ არსებით ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც წარმოადგენს სხვა სასამართლოს განხილვის საგანს და ამდენად, პროცესუალურად შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ობიექტური გარემოებების საფუძველზე სხვა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით მას შემდეგში შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისას.

ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ კანონიერია და ამ შემთხვევაში არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შ. ჩ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

1-ას-167-159-10

2 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ც. ა-შვილის სარჩელი ე. გ-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა კუთვნილი ფართის დაბრუნება და მოსარჩელის საკუთრების უსაფუძვლო ხელყოფის აკრძალვა. მისი განმარტებით, 1976 წელს ქუთაისში, ... ქ.125-ში შეიძინა ბინა, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან, კერძოდ პირველი ნაწილი შედგება ერთი საცხოვრებელი 9,35 კვ.მ ოთახი-

საგან, დამხმარე 5.24 კვ.მ-ით და 10.63 კვ.მ სარდაფით, მეორე ნაწილი შედგება 3 საცხოვრებელი 51,00 კვ.მ ოთახისაგან, 20,80 კვ.მ სარდაფით.

2007 წელს უბნის რწმუნებულმა ლ. კ-მემ მოსარჩელეს დაუკეტა ზემოაღნიშნული ფართის ნაწილი, თითქოს ის უკვე გასხვისებული იყო ე. გ-მეზე.

მოპასუხის წარმომადგენლებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს. მათი განმარტებით, 1997 წელს ე. გ-მეს სადავო ფართი გადაეცა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ უსასყიდლოდ პრივატიზაციის გზით.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. ა-შვილმა ითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ც. ა-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

საქმის მასალების გაცნობისა და სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში იხილება ც. ა-შვილის საკასაციო საჩივარი, ე. გ-მის წინააღმდეგ, საცხოვრებელი ფართის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილობისა და ამ ფართის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით. პალატამ მიიჩნია, რომ ც. ა-შვილის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს ვიდრე არ გადაწყდება ზემოთ მითითებული სადავო ადმინისტრაციული აქტის კანონშესაბამისობის საკითხი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინებით ც. ა-შვილის სააპელაციო საჩივრის განხილვა შეჩერდა ც. ა-შვილის მიერ წარდგენილ სარჩელზე ე. გ-მის მიმართ საცხოვრებელი ფართის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილობისა და ამ ფართზე საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ც. ა-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით საქმის განხილვის შეჩერების მოტივად მოყვანილია ის გარემოება, რომ საკასაციო საჩივარი მიმართული აქვს მისი ბინის ნაწილზე უკანონოდ ე. გ-მისათვის გაკეთებული პრივატიზების ხელშეკრულების ბათილობის შესახებ. ხოლო სააპელაციო სასამართლოში იხილება მის საკუთრებაში არსებული ფართის უკანონო ხელშეშლის აღკვეთის შესახებ დავა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის გამოყენება გაუმართლებელია, რადგან ე. გ-მის მიერ განხორციელდა მის საკუთრებაზე უკანონო ხელშეშლა და ის არავითარ შეხებაში არ არის პრივატიზების ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ც. ა-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ც. ა-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, საქმის წარმოება შეაჩეროს, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მიერ განიხილება, კერძოდ, გამომდინარეობს თუ არა ისინი ერთი და იმავე ფაქტობრივი საფუძვლებიდან და სამართლებრივი ურთიერთობიდან.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატის მიერ საქმის წარმოება შეჩერებულია იმ მოტივით, რომ მხარის მიერ სადავოდ არის გამხდარი პრივატიზაციის ხელშეკრულების ნამდვილობა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ც. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი ე. გ-მის წინააღმდეგ ქ. ქუთაისში, ... ქ. 125-ში მდებარე საცხოვრებელი ფართზე პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნული განჩინება გასაჩივრებულია საკასაციო საჩივრით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან მოცემულ საქმეში სასარჩელო მოთხოვნაა კუთვნილი ფართის დაბრუნება და საკუთრების ხელყოფის აკრძალვა. შესაბამისად, ვიდრე არ გაირკვევა ქ. ქუთაისში, ... ქ. 125-ში მდებარე სადავო ფართზე პრივატიზაციის დროისათვის აღნიშნულ ბინაზე ე. გ-მის საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერება, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გადაწყვიტოს ამავე ქონებაზე ც. ა-შვილის საკუთრების უფლების საკითხი.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ზემოაღნიშნულ ორ საქმეს შორის აუცილებელი კავშირის არსებობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში არსებობს სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეჩერების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე წარმოება შეჩერებულია კანონიერი საფუძვლით, რის გამოც კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

აკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ც. ა-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

1ას-546-514-2010 19 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

კერძო საჩივრის დავის საგანი: საქმეზე წარმოების შეჩერება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 6 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ა. გ-იამ მოპასუხე ს. უ-ოვის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ს. უ-ოვის უკანონო მფლობელობიდან თავისი კუთვნილი სარდაფის გამოთხოვა, მოპასუხის მიერ სარდაფის თვითნებურად დაკავების გამო ზიანის ანაზღაურება და სარდაფის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით ა. გ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისში, ... ქუჩის 18-ში მდებარე 55კვ.მ სარდაფით სარგებლობს ს. უ-ოვი;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2009 წლის 5 თებერვალს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, თბილისში, ... ქუჩის 18-ში მდებარე 38 კვ.მ სარდაფი წარმოადგენს ა. გ-იას საკუთრებას;

ს. უ-ოვმა თბილისში, ... ქუჩის 18-ში მდებარე 55კვ.მ სარდაფი გაარემონტა;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2009 წლის 30 იანვარს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, თბილისში, ... ქუჩის 18-ში მდებარე 55 კვ.მ სარდაფი წარმოადგენს ს. უ-ოვის საკუთრებას;

თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2003 წლის 13 ოქტომბრის 124-4105 ცნობის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 4 ივნისის 1901/15 ექსპერტის დასკვნის, აგრეთვე, მოწმის სახით დაკითხული გ. ფ-შვილის ჩვენებიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში, ... ქუჩის 18-ში მდებარე, ს. უ-ოვის საკუთრებაში არსებულ 55კვ.მ სარდაფში შედის ამავე მისამართზე ა. გ-იას საკუთრებაში არსებული 38კვ.მ სარდაფი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ამავე კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ, როგორც ა. გ-იას, ასევე, ს. უ-ოვის საკუთრების უფლება გააჩნდათ სადავო სარდაფზე, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა ს. უ-ოვის მიერ

ნივთის უკანონოდ ფლობის ფაქტს. აქვე სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. გ-იას სადავოდ არ გაუხდია ს. უ-ოვის მიერ სადავო ფართზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძვლები. მოსარჩელის მიერ მითითებული ის გარემოება, რომ ა. გ-იას ს. უ-ოვის მიერ სადავო ფართის პრივატიზების მომენტისთვის უკვე გააჩნდა საკუთრების უფლება ფართზე, ტაც შეიძლება ყოფილიყო არა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, არამედ პრივატიზების ხელშეკრულებასა და საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანის საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. გ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ა. გ-იამ წარადგინა შუამდგომლობა, რომლითაც მოითხოვა მოცემულ საქმეზე წარმოების შეჩერება.

შუამდგომლობის ავტორის მითითებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს წარმოებაში იმყოფება სისხლის სამართლის საქმე **1006091365**, ს. უ-ოვის მიერ ა. გ-იას კუთვნილი სარდაფის თაღლითურად მითვისების ფაქტზე, სადაც იგი ცნობილია დაზარალებულად. სისხლის სამართლის საქმის მასალებით დასტურდება ის გარემოება, რომ ს. უ-ოვმა თაღლითურად მიითვისა მოსარჩელის კუთვნილი სარდაფი. შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **279-ე** მუხლის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე არსებობდა განსახილველ სამოქალაქო საქმეზე წარმოების შეჩერების აუცილებლობა სისხლის სამართლის საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 30 მარტის** საოქმო განჩინებით ა. გ-იას სააპელაციო საჩივრით განსახილველ საქმეზე შეჩერდა წარმოება სისხლის სამართლის საქმეზე (**1006091365**) სასამართლოს საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენ გარემოებებს და მისაღებ გადაწყვეტილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში განსახილველ სამოქალაქო საქმისთვის, რის გამოც არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **279-ე** მუხლის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ს. უ-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და იმავე სასამართლოში სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა. იგი არის სადავოდ გამხდარი ნივთის – სარდაფის მართლობიერი მფლობელი, რომლის მიმართ მოქმედებს საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფცია. სისხლის სამართლის საქმეზე კიდეც რომ დადგინდეს რაიმე დანაშაულებრივი ქმედება, აპელანტ ა. გ-იას მოთხოვნა შეიძლება წარმოეშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგება პრივატიზაციის ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილობის საკითხი, რაც თავის მხრივ, საჭიროებს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ წარმოებას. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას ამ კონკრეტულ საქმეზე ვერ ექნება პრეიუდიციული ძალა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, **2003 წლიდან** სააღსრულებო პოლიციაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილება მოწინააღმდეგე მხარის მიზეზით ჯერ არ არის გამოტანილი. ახალი სისხლის სამართლის საქმის აღძვრით ა. გ-ია ცდილობს ზეგავლენის მოხდენას როგორც მოპასუხეზე, ისე – სასამართლოზე. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მხარის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ მიზნად ისახავს მისთვის ზიანის მოტანას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ს. უ-ოვის კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 30 მარტის** საოქმო განჩინება და ა. გ-იას სააპელაციო საჩივარი განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელე ა. გ-იას შუამდგომლობა საქმეზე წარმოების შეჩერების შესახებ დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღძრულია ს. უ-ოვის მიერ ა. გ-იას კუთვნილი სარდაფის თაღლითურად მითვისების ფაქტზე, სადაც ა. გ-ია ცნობილია დაზარალებულად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **279-ე** მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია საქმეზე წარმოება შეაჩეროს, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, დასახელებული საფუძველით საქმეზე წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, მოახდენს თუ არა გავლენას სხვა საქმეზე დამდგარი შედეგი განსახილველი საქმის იუ-

რიდიულ ბედზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეზე წარმოების შეჩერება მოკლებულია სამართლებრივ და-
ნიშნულობას.

განსახილველ სამოქალაქო საქმეზე ა. გ-იას მიერ აღძრულია ვინდიკაციური სარჩელი მოპასუხე ს. უ-
ოვის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, ასევე, აღნიშნულიდან გამომდინარე, სარდა-
ფის უკანონოდ დაკავების გამო ზიანის ანაზღაურებისა და სარდაფის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგე-
ნის მოთხოვნით. სამოქალაქო კოდექსის პირველი ნაწილის თანახმად, ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყო-
ფილებისათვის აუცილებელია, მოთხოვნის წარმდგენი პირი იყოს ნივთის მესაკუთრე, ხოლო პირი, რომ-
ლის მფლობელობაშიც ნივთი იმყოფება, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდეს ამ ნივთს. უძრავ
ნივთზე პირის მესაკუთრეობა დგინდება მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერებით. მოცემულ შემთხვევაში
საქმეზე წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ჩანაწერით სადავო სარდაფის მესაკუთრეს წარმოადგენს ს. უ-
ოვი, ხოლო საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 2002 წლის 20 დეკემ-
ბრის პრივატიზაციის ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,
საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეეს-
ტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამდენად, მოცემულ შემ-
თხვევაში გადაწყვეტია ის გარემოება, რომ არსებობს საჯარო რეესტრის ჩანაწერი, ხოლო მის ნამდვილობა-
ზე სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება ვერ მოახდენს უშუ-
ალო გავლენას. შესაბამისად, არ არსებობს მოცემული სამოქალაქო საქმის შეჩერების აუცილებლობა სის-
ხლის სამართლის საქმის განხილვის გამო და კერძო საჩივარი ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხ-
ლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ს. უ-ოვის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის სა-
ოქმო განჩინება და ა. გ-იას სააპელაციო საჩივარი განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

1ას-722-677-10

23 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ა-მ» სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ბ-ს» მიმართ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გაუქ-
მების შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, სს „ბ-ს“ 2004 წლის 27 დეკემბრის კრების ოქმით საწესდებო კაპიტალში უნ-
და შესულიყო მიწის ნაკვეთები, რომელზედაც დამაგრებული იყო სს „ბ“-ს ქონება, მაგრამ საწესდებო კაპი-
ტალში შესატანი მიწის ნაკვეთის ნახაზის გაკეთების დროს დაშვებულ იქნა შეცდომა და კრების გადაწყვე-
ტილების საწინააღმდეგოდ სს „ბ“-ს საკუთრებად აღირიცხა შპს «ა-ს» და სხვა მეწარმე სუბიექტებისა და იუ-
რიდიული პირების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რის გამოც, მოსარჩელემ მოითხოვა სს „ბ“-ს
საკუთრების უფლების გაუქმება ქ.ქუთაისში, ... ქ.1-ში მდებარე 500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განლა-
გებულია შპს «ა-ს» შენობა-ნაგებობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით შპს «ა-ს» დირექტორ ა. ლ-
მის სარჩელი სს „ბ“-ს წინააღმდეგ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების გაუქმების შესახებ არ დაკმაყო-
ფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს «ა-ს» დირექტორმა ა. ლ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შპს «ა-ს» სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

შუამდგომლობის განხილვის ეტაპზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა შუამდგომლობა შეიტანა სასამართლოში საქმის წარმოების შეჩერების შესახებ იმ მოტივით, რომ სასამართლოში განიხილება ადმინისტრაციული საქმე შპს «ა-ს» დირექტორის სარჩელის გამო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისა და სს „ბ“-ს წინააღმდეგ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღიარების თაობაზე. შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა, რომ მიმდინარე საქმის განხილვა შეუძლებელია, სანამ არ გადაწყდება მხარეთა შორის მიმდინარე ადმინისტრაციული დავა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 25 ივნისის განჩინებით შეჩერდა შპს «ა-ს» სააპელაციო საჩივრის განხილვა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს წარმოებაში არსებული ორივე საქმე ერთი და იმავე ფაქტობრივ გარემოებებს ეყრდნობა, ადმინისტრაციულ დავაში სასარჩელო განხილვის საგანია შპს «ა-ს» მოთხოვნა საკუთრების აღიარების თაობაზე და სს „ბ“-ს რეგისტრაციის კანონშესაბამისობის საკითხი სადავო მიწის ნაკვეთზე, ხოლო მოცემულ დავაში, მოსარჩელე შპს „ა“ დავობს იმაზე, რომ მოპასუხეს უკანონოდ აქვს მოპოვებული საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე, რაც არღვევს მისი, როგორც მართლობიერი მფლობელის, კანონით დაცულ ინტერესებს.

საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე პალატა თვლის, რომ შპს «ა-ს» ადმინისტრაციულ სარჩელეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისა და სს „ბ“-ს წინააღმდეგ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის ბათილად ცნობისა და მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღიარების თაობაზე, არსებითი მნიშვნელობა ექნება განსახილველი სამოქალაქო დავის გადაწყვეტისათვის, მეტიც, აღნიშნულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული მნიშვნელობა ექნება სამოქალაქო დავაზე, მხარის საკუთრების უფლებისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის გარკვევისათვის.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს «ა-ს» დირექტორმა ა. ლ-მემ. მან მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინებით შეჩერდა მისი სააპელაციო საჩივრის განხილვა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაზე შპს «ა-ს» დირექტორის მიერ წარდგენილ ადმინისტრაციულ სარჩელეზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისა და სს „ბ“-ს წინააღმდეგ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღიარების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

საქმის წარმოების შეჩერების საფუძველად სასამართლომ მიუთითა ორ გარემოებაზე, კერძოდ, ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას არსებითი მნიშვნელობა ექნება განსახილველი სამოქალაქო დავის გადაწყვეტისათვის და აღნიშნულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული მნიშვნელობა ექნება სამოქალაქო დავაზე მხარის საკუთრების უფლებისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის გარკვევისათვის.

სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას არსებითი მნიშვნელობა ექნება განსახილველი სამოქალაქო დავის გადაწყვეტისათვის, არ არის დასაბუთებული. განჩინება არ შეიცავს მითითებას, რით აიხსნება არსებითი მნიშვნელობა, ხოლო პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტობრივი გარემოება დაედება საფუძველად გადაწყვეტილებას, სასამართლოს არ მიუთითებია.

სასამართლომ საქმის წარმოების შეჩერების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტი, მაგრამ არასწორად განმარტა იგი.

სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

სასამართლოს მიერ განჩინებაში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს წინამდებარე საქმის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებას, რადგან სასამართლო ვალდებულია, დავა განიხილოს პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტების გარეშე.

ადმინისტრაციული საქმით დავის საგანს წარმოადგენს შპს „ა“ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სასამართლოს მსჯელობაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მთლიანად აგებულია შპს «ა-ს» მოთხოვნის კანონიერებაზე ამ კუთხით (რეგისტრაციის კუთხით) და არა სს „ბ“-ს საკუთრების უფლებაზე. ამდენად, სასამართლოს არ უნდა შეეჩერებინა მოცემული საქმის განხილვა, რის გამოც უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

დადგენილია, რომ შპს «ა»-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ბ-ს» მიმართ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გაუქმების შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით შპს «ა-ს» დირექტორ ა. ლ-მის სარჩელი სს «ბ-ს» წინააღმდეგ, მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს «ა-ს» დირექტორმა ა. ლ-მემ.

შუამდგომლობის განხილვის ეტაპზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა შუამდგომლობა შეიტანა სასამართლოში საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

დადგენილია, რომ სასამართლოში განხილვა ადმინისტრაციული საქმე შპს «ა-ს» დირექტორის სარჩელის გამო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურისა და სს „ბ“-ს წინააღმდეგ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღიარების თაობაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს «შეუძლებლობის» ცნებას ანუ რა შემთხვევა შეიძლება ქმნიდეს ისეთ ობიექტურ სირთულეს, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ საქმის გამოკვლევას. «შეუძლებლობა» წარმოადგენს ისეთ ობიექტურ სირთულეს ან დაბრკოლებას, რომელიც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ისეთი გარემოებებს, რომლის დადგომა არის განპირობებული მართლმსაჯულების განხორციელების დამაბრკოლებელი ფაქტორებით. კონკრეტულ შემთხვევაში ასეთ ობიექტურ სირთულედ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულია ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განჩინებაში მოყვანილი გარემოება წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ ისეთ შემთხვევას, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს მოცემული საქმის გამოკვლევის შეუძლებლობის განმპირობებელ ობიექტურ სირთულედ ან დაბრკოლებად, რამდენადაც, მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, კანონმდებელი ასეთ სირთულედ მოიაზრებს მოცემული საქმის განხილვისათვის აუცილებელ ისეთ არსებით ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც წარმოადგენს სხვა სასამართლოს განხილვის საგანს და ამდენად, პროცესუალურად შეუძლებელს ხდის კონკრეტული საქმის განხილვას. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ობიექტური გარემოებების საფუძველზე სხვა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით მას შემდეგში შეიძლება მიეცეს პრიუდიციული მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისას.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ საფუძვლიანია. ამ შემთხვევაში არსებობს განსახილველი ნორმით გათვალისწინებული საქმის განხილვის შეუძლებლობის მიზეზები.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად შეაჩერა საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს «ა»-ს დირექტორ ა. ლ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

1ას-800-749-2010

28 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. კ-იანმა ბ. ბ-ძის მიმართ უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა და თანხის დაკისრების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბ. ბ-ძეს ნ. კ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 ლარის გადახდა, საცხოვრებელი სახლის, მდებარე ქ.თბილისში, ... ქუჩა 16-ის 16კვ.მ ოთახი გამოთხოვილ იქნა მოპასუხე ბ. ბ-ძის უკანონო მფლობელობიდან და დაუბრუნდა ნ. კ-იანს, ნ. კ-იანს უარი ეთქვა საადვოკატო მომსახურების ხარჯის 2000 ლარის ანაზღაურებაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ბ. ბ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინებით ბ. ბ-ძის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და ბ. ბ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვა უნდა შეჩერდეს ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაში არსებულ საქმეზე, ვანაიდან, აღნიშნულ საქმეზე უნდა დადგინდეს ე. ბ-ძის საკუთრების უფლება სადავო ფართზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს წინამდებარე საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

აღნიშნული გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. კ-იანმა. მან მიუთითა, რომ 2010 წლის 14 ივლისის განჩინებით საქმე შეჩერდა იმავე სასამართლოში არსებული სააპელაციო საჩივრის განხილვამდე რომელიც მიმდინარეობს ბ. ბ-ძის დასა და მას შორის, ანუ სხვა საქმეში მხარეებს წარმოადგენენ ე. ბ-ძე და ნ. კ-იანი. მოცემულ საქმეში კი, მხარეები არიან ბ. ბ-ძე და ნ. კ-იანი. დავა მიმდინარეობს საცხოვრებელ ოთახზე, რომელიც ჯერ არ განხილულა და მის განხილვამდე, გაურკვეველი დროით შეჩერდა საქმის განხილვა. დავა ეხება სწორედ იმ უკანონო ხელშეშლის აღკვეთას, რაც ხდება მასა და ბ. ბ-ძეს შორის, კერძოდ, იგი არის ავად, ვერ მოძრაობს. 1995 წელს მემკვიდრეობით მიიღო მამის ბინა, რომელიც სამი ოთახისაგან შედგებოდა, 1995 წლიდან დაკავებული აქვს ყველა ოთახი, ხოლო ერთ-ერთი – 14 კვ.მ მან გააქირავა მოქალაქე ს-ზე, სადაც მისი ნებართვის გარეშე 1996 წელს ჩაეწერა ე. ბ-ძე. ე. ბ-ძეს 1997 წლიდან დღემდე აღარ უცხოვრია მითითებულ მისამართზე და დღეისათვის იგი ამოწერილია ბინიდან. მან გადაწყვიტა, სადავო ოთახი გაექირავებინა თავის მომვლელებზე, რის გამოც ბ. ბ-ძემ შესთავაზა ნ. კ-იანს, გადაეხადა თავისი დისათვის – ე-სათვის 6000 აშშ დოლარი, რადგან ე. ბ-ძის წლის წინ ჩაწერილი იყო აღნიშნულ ფართში და გააჩნდა ოთახის გასაღები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. კ-იანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

დადგენილია, რომ ნ. კ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. ბ-ძის მიმართ უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა და თანხის დაკისრების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბ. ბ-ძეს ნ. კ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 ლარის გადახდა, საცხოვრებელი სახლის, მდებარე ქ.თბილისში, ... ქუჩა 16-ის 16კვ.მ ოთახი გამოთხოვილ იქნა მოპასუხე ბ. ბ-ძის უკანონო მფლობელობიდან და დაუბრუნდა ნ. კ-იანს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ბ. ბ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინებით ბ. ბ-ძის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის შეჩერების საფუძველს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოში არსებული სამოქალაქო საქმე, სადაც უნდა დადგინდეს ე. ბ-ძის საკუთრების უფლება სადავო ფართზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მოცემულ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. სააპელაციო სასამართლოში განხილვა ნ. კ-იანის სააპელაციო საჩივარი ე. ბ-ძის მიმართ თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით. მოცემული საქმე კი ეხება ბ. ბ-ძესა და ნ. კ-იანს შორის დავას თანხის დაკისრებისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას, კერძოდ, საცხოვრებელი ოთახის დაბრუნებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო საჩივარში მოყვანილი გარემოება არ წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს მოცემული საქმის უკანონო შეჩერებად.

ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეგრძობის შესახებ საფუძვლიანია და არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. კ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. საქმის წარმოების შეწყვეტა ადრე არსებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამო

განჩინება

1ას-1281-1537-09 11 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 6 აპრილს მ. მ-მემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე გ. ზ-ძისა და ლ. ფ-ძის მიმართ და მოითხოვა ქ. ქუთაისში, ... ქ..120-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გაუნაშენიანებელ მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლების გაუქმება და მისთვის ნატურით – 243,81 კვმ მიწის ნაკვეთის გამოყოფა, ასევე, მოპასუხეებზე ადვოკატისათვის გაწეული მომსახურების თანხის 1680 ლარის დაკისრება. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სადავო საცხოვრებელ სახლს თავდაპირველად ჰყავდა ერთი მესაკუთრე. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის სამი მესაკუთრე ჰყავს, არ განეკუთვნება მრავალბინიან სახლთა კატეგორიას, წარმოადგენს ინდივიდუალური საკუთრების სახლს, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო უფლების გაუქმება კანონშესაბამისია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით მ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით მ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა გ. ზ-ძე, ხოლო სხდომაზე გამოცხადებულმა მ. მ-მემ წარმოადგინა მოპასუხე ლ. ფ-ძესთან შედგენილი მორიგების აქტი და მოითხოვა მასში მითითებული პირობებით მორიგების დამტკიცება, ხოლო გ. ზ-ძის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და თავისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 დეკემბრის განჩინებით მ. მ-ძის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება – მ. მ-ძის სარჩელზე – ქ. ქუთაისში, ... ქ. 120-ში მდებარე საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან რეალური წილის გამოყოფის თაობაზე შეწყდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლენატის მოთხოვნა მ. მ-ძის, გ. ზ-ძისა და ლ. ფ-ძის საზიარო ქონებიდან ინდივიდუალური წილის გამოყოფის თაობაზე მორიგების დამტკიცება მხოლოდ ორ მხარეს მ. მ-ძესა და ლ. ფ-ძეს შორის, არ გამომდინარეობდა საპროცესო კანონმდებლობიდან და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

რაც შეეხება მ. მ-ძის შუამდგომლობას გ. ზ-ძის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და მისი სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტისა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო, ვინაიდან არსებობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრებისა საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორი, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის განჩინება საქმის შეწყვეტის თაობაზე კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-ძის წარმომადგენელმა მ. წ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ საკითხის გადაწყვეტისას არასწორად განმარტა და გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტი. მართალია, სარჩელი შეტანილია იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე, მაგრამ სხვა საფუძველით, რადგან განსახილველ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 961-ე და 963-ე მუხლები, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობის იურიდიული და სამართლებრივი საფუძველია სადავო გაუნაშენიანებელ ეზოზე საზიარო საკუთრება, რომლის გაუქმებაც შესაძლებელია გაყოფის გზით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივრები საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველებით.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე. სარჩელი იგივეა, თუ იგივეა სასარჩელო მოთხოვნა, სარჩელის საფუძველი და იგი აღძრულია იმავე მხარეებს შორის.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით მ. მ-ძისა და გ. ზ-ძის სარჩელები საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ასევე დადგენილია შემდეგი: როგორც უკვე განხილულ და გადაწყვეტილ, ასევე, მიმდინარე დავაში მხარეები არიან მ. მ-ძე, ლ. ფ-ძე და გ. ზ-ძე. დავის საგანი იყო და არის საზიარო უფლებების გაუქმება და საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთიდან საცხოვრებელი ფართის პროპორციულად მიწის რეალური წილის გამოყოფა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორივე დავაში ერთი და იგივე მხარეები იდენტური საპროცესო სტატუსით მონაწილეობდნენ ერთი და იმავე დავის საგნითა და საფუძველით.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველები არსებითად განსხვავებულია, კერძოდ, სარჩელის საფუძველად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 961-ე და 963-ე მუხლები, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობის იურიდიული და სამართლებრივი საფუძველია სადავო გაუნაშენიანებელ ეზოზე საზიარო საკუთრება, რომლის გაუქმებაც შესაძლებელია გაყოფის გზით. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან ორივე დავაში მოთხოვნის საფუძველი იყო საზიარო უფლებების გაუქმება და საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთიდან საცხოვრებელი ფართის პროპორციულად მიწის რეალური წილის გამოყოფა. კანონის თანახმად კი სარჩელის ერთი და იმავე საფუძველად მოიაზრება ფაქტობრივი და არა სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-ძის წარმომადგენელ მ. წ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის განჩინება; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა ადრე არსებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამო განჩინება

1ას-1265-1523-09

22 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მამობის დადგენა, ალიმენტისა და დამატებითი ხარჯების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 16 ოქტომბერს ფ. მ-მემ საჩხერის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მოპასუხე დ. ფ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის ცნობა მ. მ-მის მამად, ასევე მისთვის მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ მის სრულწლოვანებამდე ალიმენტის – ყოველთვიურად 100 ლარისა და დამატებითი ხარჯის – 1 402 ლარის დაკისრება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ დ. ფ-მემ მასთან ძალადობით დაამყარა სქესობრივი კავშირი, რის შედეგადაც შეეძინა შვილი – მ.ი. მოპასუხემ ბავშვის მამად ნებაყოფლობით თავი არ ცნო.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფ. მ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – დ. ფ-მე ცნობილ იქნა მ. მ-მის მამად, დადგინდა მ. მ-მის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის და ბავშვის გვარის – «მ-მის» შეცვლა «ფ-მით». მოპასუხეს დაეკისრა 2007 წლის 18 აპრილიდან მ. მ-მის სრულწლოვანებამდე ალიმენტის – 50 ლარის გადახდა და დამატებითი ხარჯის ანაზღაურება 868 ლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ფ-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით დ. ფ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და დავის სამართლებრივი შეფასება. კერძოდ, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ფ. მ-მეს შეეძინა შვილი მ.ი, რომლის გვარად დაბადების სააქტო ჩანაწერში მის გვარზე – მ-მეზე მიეთითა, რადგან მოპასუხე დ. ფ-მემ მამობა არ აღიარა. ასევე დადგენილია, რომ ბავშვის მამობის დადგენის საკითხის გადასაწყვეტად ფ. მ-მემ 2008 წლის 21 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომლის დასკვნის საფუძველზეც მოპასუხე ბავშვის მამად აღიარდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება დ. ფ-მემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, აგრეთვე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრის განჩინება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინებით დ. ფ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა, სამოქალაქო საქმეზე ფ. მ-მის სარჩელისა გამო, დ. ფ-მის მიმართ მამობის დადგენისა და ალიმენტის დაკისრების თაობაზე, საქმის წარმოება შეწყდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით აღძრულ სარჩელზე კანონიერ ძალაში შესული საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, მოცემულ საქმეზე წარმოება უნდა შეწყვეტილიყო.

2009 წლის 17 დეკემბერს ფ. მ-მემ საქართველოს უზენაეს სასამართლოს კერძო საჩივრით მიმართა და სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმება მოითხოვა. მისი მტკიცებით, სააპელაციო

სასამართლოს განჩინება უკანონოა, რადგანაც სასამართლო გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნა უნდა შეეფასებინა როგორც მამობის დადგენის საკითხზე ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ფ. მ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმიდან ირკვევა, რომ არსებობს საჩივრის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ფ. მ-მის სარჩელი მ. მ-მის მამად დ. ფ-მის ცნობისა და ამ უკანასკნელისათვის ალიმენტის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. ამდენად, იმისათვის, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობა ახლად აღმართული სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდეს, აუცილებელია ზემოაღნიშნულ მუხლში დასახელებული სამივე კომპონენტის იდენტურობა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სარჩელის საფუძველს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები ქმნის, რომლებზეც მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს. ეს გარემოებები შეიძლება სხვადასხვა სახის მტკიცებულებებით დადასტურდეს, თუმცა თავად მტკიცებულებები კი არ წარმოადგენს სარჩელის საფუძველს, არამედ სარჩელის საფუძველი სწორედ მასში მითითებული ფაქტებია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ფ. მ-მის მიერ ახალი სარჩელისათვის ექსპერტიზის დასკვნის დართვა არ ნიშნავს, რომ აღნიშნულის შედეგად მანამდე აღძრული სარჩელის საფუძველი შეიცვალა. ექსპერტის დასკვნა ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს. იმავე მოთხოვნით და იმავე საფუძველით იმავე მხარეებს შორის სარჩელის თავიდან აღძვრა, რომელშიც მითითებულია ახალ მტკიცებულებაზე, კი სხვა სარჩელის აღძვრას არ ნიშნავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერი და დასაბუთებულია, შესაბამისად, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ფ. მ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა ადრე არსებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამო

განჩინება

1ას-677-633-2010 5 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. რ-ავას სარჩელი მოპასუხე ი. რ-ავას მიმართ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ე. რ-ავა ცნობილ იქნა ქ.ზუგდიდში, ... ქუჩის 124-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/4-ის მესაკუთრედ, მოსარჩელის მოთხოვნა ავტომატურად «შევროლექ ავეოს» (სახელმწიფო ნომრით – ...) გაყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. რ-ავამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილი იყო დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივნისის განჩინებით ი. რ-ავას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ე. რ-ავა ცნობილ იქნა ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/4-ის მესაკუთრედ და ე. რ-ავას სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო, ვინაიდან არსებობდა ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინება მორიგების დამტკიცების თაობაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. რ-ავამ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტი, ვინაიდან ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის განჩინების დავის საგანი იყო განქორწინება და ი. რ-ავას მიერ გარკვეული ვალდებულების შესრულება, ამჟამად კი დავის საგანი სხვაა – მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა. გარდა ამისა, მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებით სასამართლო ვერ იმსჯელებდა სადავო ქონების გაყოფაზე, ვინაიდან იმ დროისათვის არცერთი მხარე ამ ქონების მესაკუთრეს არ წარმოადგენდა და, შესაბამისად, იგი მხარეთა შორის დავის საგანი ვერ იქნებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ე. რ-ავას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის განჩინებით დადასტურებულად იქნა ცნობილი მხარეთა მორიგება და მოპასუხე ი. რ-ავას მოსარჩელე ე. ხ-იას (რ-ავას) სასარგებლოდ დაეკისრა 3000 მანეთის გადახდა, მათ შორის, სადავო წილი ქონების ანგარიშში. ამავე განჩინებით ირკვევა, რომ ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1975 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ე. ხ-იას (რ-ავას) საკუთრების უფლებით მიეკუთვნა ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლიდან, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებიდან, მეორე სართულზე მდებარე ორი ოთახი და პირველ სართულზე მდებარე ერთი ოთახი, დანარჩენი ოთახები დარჩა მოპასუხე ი. რ-ავას. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების დროს გამოირკვა, რომ სასამართლოს მიერ განაწილებული ოთახების მიხედვით მეუღლეთა ცხოვრება შეუძლებელი იყო მათ შორის მტრული დამოკიდებულების გამო, ამიტომ ე. ხ-იამ (რ-ავამ) მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა და მისთვის სამი ოთახის მიკუთვნება სახლის პირველ სართულზე. საქმის განხილვის პროცესში მოპასუხე ი. რ-ავამ მორიგება შესთავაზა მოსარჩელე ე. ხ-იას (რ-ავას), კერძოდ, მოპასუხემ თანხმობა განაცხადა, რომ მოსარჩელისათვის გადაეხადა სამი ათასი მანეთი მისთვის მიკუთვნებული ოთახების ანგარიშში. მოსარჩელემ აღნიშნული წინადადება მიიღო და განაცხადა, რომ მას მოპასუხის მიმართ ქონებრივი დავა აღარ ექნებოდა. მხარეთა მორიგების პირობები შეტანილ იქნა სხდომის ოქმში, რასაც ორივე მხარემ მოაწერა ხელი. ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე შესულია კანონიერ ძალაში. საქმის მასალებით დადგენილია ასევე, რომ 2009 წლის 7 სექტემბერს ე. რ-ავამ სარჩელი აღძრა მოპასუხე ი. რ-ავას მიმართ და მოითხოვა მეუღლეთა რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების – ავტომანქანის და ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლის 1/2-ის მესაკუთრედ ცნობა. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. რ-ავას სარჩელი მოპასუხე ი. რ-ავას მიმართ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ე. რ-ავა ცნობილ იქნა ქ.ზუგდიდში, ... ქუჩის 124-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/4-ის მესაკუთრედ; მოსარჩელის მოთხოვნა ავტომანქანა «შევროლეთ ავეოს» (სახელმწიფო ნომრით ...) გაყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივნისის განჩინებით ი. რ-ავას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ე. რ-ავა ცნობილ იქნა, ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/4-ის მესაკუთრედ და ე. რ-ავას სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლით საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იგივე სარჩელზე. სარჩელი იგივეა, თუ იგივეა სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი), სარჩელის საფუძველი და სარჩელი აღძრულია იმავე მხარეებს შორის.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს იგივე სარჩელი. კერძოდ: ა) იგივეა სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი) – ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრედ ცნობა; ბ) იგივეა სარჩელის საფუძველი, ანუ გარემოებები, რომლებსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა, კერძოდ, სარჩელის მიხედვით, სადავო უძრავი ქონება შეძენილია მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში და იგი მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს; გ) სარჩელი აღძრულია იმავე მხარეებს შორის (მოსარჩელე ე. რ-ავა, მოპასუხე ი. რ-ავა).

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, საპელაგიო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის არასწორად გამოყენების თაობაზე.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ საპელაგიო სასამართლო არ იყო უფლება-მოსილი, დაყრდნობოდა ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის განჩინებას, ვინაიდან იგი დაგვიანებით იქნა წარდგენილი საპელაგიო სასამართლოში. საქმის მასალებით ირკვევა, რომ, მართალია, ხსენებული განჩინება წარდგენილ იქნა საპელაგიო სასამართლოში, მაგრამ აღნიშნულ განჩინებაზე და ამ განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებულია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, ქუთაისის საპელაგიო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებაში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის განჩინებაში, რომლებიც ი. რ-ავამ თან დაურთო თავის შესაგებელს და წარადგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული გადაწყვეტილებებით დაკმაყოფილდა ი. რ-ავას სარჩელი და მოპასუხე ე. რ-ავა გამოსახლებულ იქნა სადავო საცხოვრებელი სახლიდან, მდებარე ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში. ამ გადაწყვეტილებებით არ იქნა გაზიარებული მოპასუხე ე. რ-ავას მოსაზრება სადავო უძრავ ნივთზე მისი თანამესაკუთრედ მიჩნევის თაობაზე, ვინაიდან ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის განჩინებით დგინდებოდა, რომ მოპასუხე ე. რ-ავას მოსარჩელე ე. ხ-იას (რ-ავას) სასარგებლოდ დაეკისრა 3000 მანეთის გადახდა, მათ შორის, სადავო წილი ქონების ანგარიშში. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ნიშნავდა, რომ ე. რ-ავამ დათმო სადავო ქონებაში თავისი წილი 3000 მანეთის გადახდის სანაცვლოდ. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. რ-ავას სადავო სახლის ფლობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით დადგენილ ფაქტებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, გააჩნია პრეიუდიციული მნიშვნელობა განსახილველი დავის მიმართ. აქედან გამომდინარე, ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის განჩინების საპელაგიო სასამართლოში წარუდგენლობის შემთხვევაშიც, მოცემულ საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიღებული.

ასევე დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ საქმეში წარმოდგენილია ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის განჩინების ერთმანეთისაგან განსხვავებული ას-ლები. საქმეში არსებული, ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ე. ხ-იას (რ-ავას) სარჩელი ი. რ-ავას მიმართ მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ავტომანქანის და საოჯახო ნივთების გაყოფის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. რ-ავას ე. ხ-იას სასარგებლოდ დაეკისრა 2000 მანეთის გადახდა. ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილების დავის საგანი იყო ავტომანქანა და საოჯახო ნივთები, ხოლო ამავე სასამართლოს ამავე თარიღის მეორე გადაწყვეტილების (მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების) დავის საგანი კი იყო ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. შესაბამისად, არსებობს სასამართლოს ორი სხვადასხვა გადაწყვეტილება და არა ერთი გადაწყვეტილების განსხვავებული ასლები.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად ასევე უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის განჩინებით დამტკიცებული მორიგების საგანი ვერ იქნებოდა ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, ვინაიდან იმ დროისათვის ი. რ-ავა ამ უძრავი ქონების მესაკუთრე არ იყო და მეუღლეთა ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში მდებარე სახლზე საკუთრების უფლება წარმოეშვათ მხოლოდ 1986 წლის 29 ოქტომბერს, როდესაც ეს სახლი საკუთრების უფლებით აღირიცხა ი. რ-ავას სახელზე. საკასაციო პალატა აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმის მასალებით ირკვევა, რომ უძრავი ქონება, მდებარე ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში, როგორც თვითნებურად აგებული საცხოვრებელი სახლი, 1967 წლიდან ირიცხებოდა ი. და ნ. რ-ავების (ი. რ-ავას და) სახელზე. ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 29 ოქტომბრის 1342 გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის 1805 დადგენილების

საფუძველზე, ი. და ნ. რ-ავების სახელზე სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარდა 1974 წლის 1 სექტემბრამდე თვითნებურად აშენებული საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ.ზუგდიდში, ... ქ.124-ში. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ი. რ-ავას და ე. ხ-იას (რ-ავას) შორის დავის საგანი უკვე იყო ზემოაღნიშნული თვითნებურად აგებული საცხოვრებელი სახლი, რომელიც ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1975 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით გაიყო მეუღლეთა შორის, ხოლო ამავე სასამართლოს 1976 წლის 26 ნოემბრის განჩინებით კი მხარეები მორიგდნენ, კერძოდ, ე. რ-ავამ, მის სასარგებლოდ 3000 მანეთის გადახდის სანაცვლოდ, უარი განაცხადა სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის მიკუთვნებულ უძრავ ქონებაზე, ანუ მან დათმო თავისი უფლება ამ ნივთზე. აქედან გამომდინარე, მართალია, ხსენებული უძრავი ნივთი მხარეთა მორიგების დამტკიცების შემდეგ საკუთრების უფლებით აღირიცხა ი. რ-ავას სახელზე, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ე. რ-ავას ხელახლა წარმოეშვა ამ უძრავ ნივთზე დავის უფლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლევებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ე. რ-ავას კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. რ-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ექუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივნისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა ადრე არსებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამო

განჩინება

1ას-702-657-2010

5 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებით განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ხ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2007 წლის 13 აპრილის 1კ1/67 ბრძანებით ვ. ხ-შვილი განთავისუფლდა სსიპ საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის ტექნიკური რეგულირების სამმართველოს სპეციალისტის თანამდებობიდან „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლების საფუძველზე. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 12 აპრილის 11-584 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად, ახლად შექმნილ ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციას საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში დასაქმებული პირები უნდა გაეთავისუფლებინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და არა შრომის კოდექსის ნორმათა შესაბამისად, ვინაიდან კანონით გათვალისწინებული ფუნქციები განაზოციელა უკვე რეორგანიზებულმა ადმინისტრაციამ,

რომელსაც კანონმდებლობა ავალდებულებს, იმოქმედოს მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით. 2007 წლის 11 აპრილიდან 2007 წლის 13 აპრილამდე დაწესებულების რეორგანიზება უკვე განხორციელებული იყო, აღარ არსებობდა კომისია და მისი სტრუქტურები, შესაბამისად, აღარ არსებობდა კომისიის თანამდებობები, რის გამოც დაწესებულების თანამშრომლები 2007 წლის 13 აპრილს თანამდებობის გარეშე იყვნენ რეორგანიზებული ადმინისტრაციის თანამშრომლები. მოსარჩელე ითვლებოდა ადმინისტრაციის მოსამსახურედ და არა საჯარო სამართლის იურიდიული პირის კომისიის – საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის ტექნიკური რეგულირების სამმართველოს სპეციალისტად, როგორც ეს მითითებულია 2007 წლის 13 აპრილის 'კ-1/67 ბრძანებაში. ამდენად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსი არ იყო უფლებამოსილი, გაეთავისუფლებინა იგი დაკავებული თანამდებობიდან. ამასთან, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2007 წლის 13 აპრილის 'კ-1/67 ბრძანება არის უკანონო, ვინაიდან, იგი გამოცემულია საქართველოს შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე, მოსარჩელე კი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და მისი გათავისუფლებაც უნდა მომხდარიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ხ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე – ვ. ხ-შვილის სარჩელის გამო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინებით ვ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 13 ოქტომბრის '3/3 ბრძანების, საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 12 ოქტომბრის '599 ბრძანებულებით დამტკიცებული დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 13 ოქტომბრის '01/1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო განრიგის საფუძველზე ვ. ხ-შვილი 2006 წლის 13 ოქტომბრიდან დაინიშნა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის ტექნიკური რეგულირების სამმართველოს სპეციალისტად და განესაზღვრა ამ თანამდებობისთვის გათვალისწინებული სარგო. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2007 წლის 13 აპრილის 'კ-1/67 ბრძანებით „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე ვ. ხ-შვილი – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის ტექნიკური რეგულირების სამმართველოს სპეციალისტი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2007 წლის 13 აპრილიდან შრომითი ხელშეკრულების მოშლის გამო. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, რადგანაც ვ. ხ-შვილის სარჩელი ექვემდებარებოდა განხილვას სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ვინაიდან დავის საგანი ემყარება შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლებს, ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლის სამუშაოზე დანიშვნა და გათავისუფლება განსხვავდება ხელმძღვანელი პირის დანიშვნისა და გათავისუფლების წესისაგან და სწორედ ეს უკანასკნელი აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამდენად, ვინაიდან ვ. ხ-შვილი არ იყო ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანება ვერც ამ საფუძველით იქნება მიჩნეული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლით რეგლამენტირებულ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებათა ჩამონათვალში არ შედის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის '286 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ რანგირების ჩამონათვალში საერთოდ არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია,

რომ ვ. ხ-შვილი მუშაობდა რა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის ტრანსპორტის დეპარტამენტის ტექნიკური რეგულირების სამმართველოს სპეციალისტად, არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და, ამდენად, მას და დამსაქმებელს შორის არსებულ შრომით ურთიერთობებზე ვრცელდებოდა საქართველოს შრომის კოდექსი, შესაბამისად, სადავო ბრძანების, როგორც კერძო სამართლის საფუძველზე მიღებული აქტის კანონიერება უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში კერძო სამართლის შესაბამის საკანონმდებლო აქტებთან მიმართებით. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის შემდეგი მოსაზრება: ვინაიდან სადავო ბრძანების გამოცემის დროისათვის აღარ არსებობდა სსიპ საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში მისი თანამდებობა, იგი წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში მყოფ პირს, შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეს და მასზე ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და არა საქართველოს შრომის კოდექსი, ვინაიდან საქმის მასალებიდან არ დგინდება ვ. ხ-შვილის თანამდებობაზე დანიშვნის «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ბრძანება. ამასთან, სასამართლოს აღნიშნული დასკვნები შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 10 ივლისისა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებებში მითითებულ დაკვნებთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ აღნიშნული საქმე წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას და მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისათვის დადგენილი საპროცესო წესების დაცვით, ხოლო, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, აღნიშნული გარემოება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ვ. ხ-შვილმა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული დასკვნები არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 10 ივლისის განჩინებაში მითითებულ განმარტებებს, კერძოდ აღნიშნულ განჩინებაში მითითებული გარემოება, რომ მხარე მუშაობდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – «საზოგადოებრივ მუწყებელში», რომელიც სამსახურიდან გათავისუფლდა იურიდიული პირის თავმჯდომარის ბრძანებით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე, ისე, რომ იურიდიული პირის რეორგანიზაცია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად არ მომხდარა. სწორედ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს გათავისუფლების შესახებ ბრძანების სამოქალაქო სამართლებრივ აქტად მიჩნევის საფუძველს, რომლის კანონიერება უნდა შემოწმდეს კერძო სამართლის შესაბამისი აქტების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განჩინებაში უთითებს რა, რომ ვ. ხ-შვილი მუშაობდა სსიპ კომისიის სპეციალისტის თანამდებობაზე და მას და ადმინისტრაციის შორის არსებული შრომითი ურთიერთობა რეგულირდებოდა საქართველოს შრომის კოდექსით, სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ ამ დროისათვის ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აღარ ჰქონდა უფლება, განხორციელებული რეორგანიზაციის გამო, კერძო სამართლის აქტებით ხელმძღვანელობისა, შესაბამისად, სადავო ბრძანება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზეა გამოცემული, სადაც არასწორად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ თვითნებურად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის ნორმებზე, ხოლო თავად ბრძანების კანონიერება უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში ადმინისტრაციული სამართლის საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. კასატორის მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი ფორმის არჩევის საფუძველს წარმოადგენს სადავო ბრძანების გამოცემის მომენტში მოსარჩელის სამართლებრივი სტატუსი და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მუშკთან ურთიერთობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები. სადავო ბრძანების გამოცემის დროისათვის ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციაში აღარ არსებობდა არათუ კასატორის მიერ მანამდე დაკავებული თანამდებობა, არამედ არც ერთი სხვა თანამდებობა და «ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის დებულების დამტკიცებამდე და ადმინისტრაციის უფროსის დანიშვნამდე დასახელებული კანონის მოთხოვნები უნდა განხორციელებინა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოს. სადავო ბრძანების გამოცემის დროისათვის დამტკიცებული დებულების შესაბამისად, კასატორი იყო საქვეუწყებო დაწესებულებაში დასანიშნი პირი, რაც დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვ. ხ-შვილს 11-12 აპრილის ხელფასიც აუნაზღაურა. გათავისუფლების დროისათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არ ჰქონდა უფლება კასატორის სამსახურიდან გათავისუფლებისა და ამის საფუძველად კერძო სამართლის სფეროს მარეგულირებელი ნორმების გამოყენებისა, რადგანაც ადმინისტრაციის უფროსს კანონმდებლობა იმპერატიულად ავალდებულებდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გამოყენებას, ამასთან, სადავო ბრძანება გამოცემულია სპეციალუ-

რი კანონის – «ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ» კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესასრულებლად, ხოლო ადმინისტრაციის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის უფროსი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მხოლოდ ადმინისტრაციის თანამშრომლებს და მას სხვა არარსებული დაწესებულების თანამშრომლის გათავისუფლების უფლება არ ჰქონდა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კასატორი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემის დროისათვის რეორგანიზებული იურიდიული პირის თანამშრომელი აღარ იყო, რის გამოც დავის კერძო სამართლის საფუძველზე გადაწყვეტა დაუშვებელია. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას არც მთავარ სხდომაზე და არც მის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს არ უშუამდგომლია საქმის განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის გადაცემის თაობაზე, ხოლო ადმინისტრაციულმა პალატამ წარმოებაში მიღებული საქმე თავისი ინიციატივით გადასცა სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც საპროცესო ნორმათა დარღვევაა, რადგანაც რამდენიმე სასამართლოს განსჯადი საქმის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს არჩევს უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის განჩინებით ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში დატოვებულ იქნა განუხილველად კასატორის მიერ ამავე სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

იმავე სასამართლოს 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინება უცვლელად დარჩა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ვ. ხ-შვილმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინებით ვ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

მოსარჩელე ვ. ხ-შვილი საქართველოს ტრანსპორტის

მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის – ა. ჩ-ძის 2006 წლის 13.10.06წ. 13/კ ბრძანებით დაინიშნა საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საავტომობილო დეპარტამენტის ტექნიკური რეგულირების სამმართველოს სპეციალისტად 2006 წლის 13 ნოემბრიდან, ბრძანების საფუძველად მითითებული იყო საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 12 ოქტომბრის 1 599 ბრძანებულებით დამტკიცებული დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტი და საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისიის 2006 წლის 13 ოქტომბრის 1 01/1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო განრიგი;

«ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ» საქართველოს კანონის (2007 წლის 30 მარტი, სსმ 1 50, 12.04.07წ. ძალაშია გამოქვეყნებისთანავე) მე-10 მუხლის I ნაწილის თანახმად, «განხორციელდეს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეორგანიზება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად – ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციად» – საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისია რეორგანიზებულ იქნა და ამ ორგანოს გაუქმების შედეგად შეიქმნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია, რომლის დებულება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 11-1/584 ბრძანებით (სსმ 1 50, მუხ.554, 12.04.07) დამტკიცებულ იქნა და ძალაში შევიდა 2007 წლის 12 აპრილიდან.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 144, 10.04.2007წ. ბრძანებით ი. თ-შვილი დაინიშნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე;

მოსარჩელე ვ. ხ-შვილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის ი. თ-შვილის 2007 წლის 13 აპრილის 1-კ-1/67 ბრძანების საფუძველზე გათავისუფლდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის საავტომობილო დეპარტამენტის ტექნიკური რეგულირების სამმართველოს სპეციალისტის თანამდებობიდან;

ვ. ხ-შვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა მოხდა «ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის I პუნქტისა და საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის I ნაწილის «დ» ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე;

ვ. ხ-შვილს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით, გადაუხადეს ერთი თვის შრომის ანაზღაურება;

კანონის «ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ» კანონში 2008 წლის 23 დეკემბერს შესული ცვლილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია იწოდება როგორც საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ხ-შვილი არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და, შესაბამისად, დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს შრომის კოდექსის ნორმები. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ ადმინისტრაციის უფროსი არ იყო უფლებამოსილი, იგი სამსახურიდან გაეთავისუფლებინა და აღნიშნა, რომ გათავისუფლების შესახებ ბრძანება ადმინისტრაციის უფროსის დანიშვნის შემდეგ იყო გამოცემული.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ვ. ხ-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა თავისი მოთხოვნის დასაბუთებლად შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ წანამძღვრებზე მიუთითა:

1. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სადავო ბრძანების გამოცემის მომენტში დამსაქმებელს, ფაქტობრივად, წარმოადგენდა საქვეუწყებო დაწესებულება – ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით უნდა ეხელმძღვანელა;

2. ვ. ხ-შვილი სხვა დასაქმებულ პირთან იდენტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომლის მიმართაც განსხვავებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონზე დაყრდნობით. ადმინისტრაციის უფროსმა სხვადასხვაგვარად გადაწყვიტა ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი პირების დასაქმების საკითხი, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას;

3. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა შრომის კოდექსის მხოლოდ ზოგიერთი ნორმით და დავის გადასაწყვეტად სპეციალური ნორმები არ გამოიყენა. კერძოდ კი, სასამართლომ არ გამოიყენა შრომის კოდექსის პირველი მუხლი, მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი, იმავე მუხლის მე-6 ნაწილი, ასევე, «ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ» საქართველოს კანონის მთელი რიგი ნორმები;

4. სასამართლომ, კანონის არასწორად განმარტების შედეგად, ადმინისტრაციის უფროსს ის უფლებამოსილება მიანიჭა, რაც მას არ გააჩნდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: ვ. ხ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა იყო ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინებით ვ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

აღნიშნული განჩინება ვ. ხ-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის განჩინებით ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის ნაწილში განუხილველად დარჩა. მიუხედავად ამისა, საქმის დაბრუნების შემდეგ, როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ვ. ხ-შვილის სარჩელო სრული მოცულობით იმსჯელეს, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ჩათვლით.

საკასაციო პალატა ხაზს უსვამს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო საკასაციო ინსტანციას წარმოადგენს და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან განჩინება საბოლოოა, რომელიც კანონიერ ძალაში მიღებისთანავე შედის. უზენაესი სასამართლოს განჩინებით საქმეზე დამდგარი შედეგი ქვემდგომი ინსტანციებისათვის გასაზიარებლად სავალდებულოა და მათი მხრიდან შეცვლას არ ექვემდებარება. ამდენად, ვინაიდან ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი სამუშაოზე აღდგენის ნაწილში უზენაესი სასამართლოს განჩინებით განუხილველად დარჩა, ქვემდგომ სასამართლოებს აღნიშნულის თაობაზე მსჯელობის უფლება არ ჰქონდათ, არც მოსარჩელეს ჰქონდა ზემოაღნიშნული საკითხის ხელმეორედ დაყენების უფლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და საფუძველით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ გაუქმდეს და ვ. ხ-შვილის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის 2007 წლის 13 აპრილის ¹-კ-1/67

ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

რაც შეეხება იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნას: აღნიშნული წარმოადგენს ძირითადი მოთხოვნის – ბრძანების ბათილად ცნობის თანმდევ მოთხოვნას და მისი კანონიერება უნდა შემოწმდეს ძირითადი მოთხოვნის კანონიერების გარკვევის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო პრეტენზიის აღნიშნული ნაწილი დარჩა განუხილველად, სასამართლო მოკლებულია მის, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნის, კანონიერებაზე მსჯელობის შესაძლებლობას, რადგანაც მხოლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა სამართლებრივი საფუძვლის – ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის კანონიერების შესწავლისა და გაანალიზების გარეშე დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დარჩეს.

ვ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი.

«სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქმის წარმოების შეწყვეტისას ან სარჩელის განუხილველად დატოვებისას.

იმავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

ვინაიდან სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის მიმართ საქმის წარმოება შეწყდა, ხოლო იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვ. ხ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მას სრულად უნდა დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე, 272-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინება ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის თაობაზე ვ. ხ-შვილის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში;

2. ვ. ხ-შვილის სარჩელზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის 2007 წლის 13 აპრილის 1-კ-1/67 ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნის ნაწილში შეწყდეს საქმის წარმოება;

3. კასატორს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი;

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

1ას-1123-1287-09

19 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი სარჩელში: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. მ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. ტ-შვილის, გ. და გვ. ფ-შვილების მიმართ და მოითხოვა ქ.გორში, ... ქ. 15ა/34-ში მდებარე ბინაზე უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. თ. ტ-შვილმა შეგებებული სარჩელით მოითხოვა 1992 წლის 14 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულებაში შესწორების შეტანა ქ.გორში, ... ქ. 129/45-ში მდებარე ბინაზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის განჩინებით თ. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე რაიონულ სასამართლოს.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით ზ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხეებს – თ. ტ-შვილს, გ. და გვ. ფ-შვილებს აეკრძალათ ქ. გორში, ... ქ. 15ა/34-ში მდებარე, ზ. მ-შვილის სახელზე რიცხული უძრავი ქონებით უკანონო სარგებლობა და ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გამოსახლებულ იქნენ ამ ბინიდან; განემარტათ, რომ თ. ტ-შვილს, გ. და გვ. ფ-შვილებს გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის განჩინებით (დროებით განკარგულებით) ამ ბინით სარგებლობის უფლება მინიჭებული აქვთ ქ. გორში, ... ქ. 15ა/34-ში მდებარე ბინაზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ტ-შვილმა, გ. და გვ. ფ-შვილებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინებით თ. ტ-შვილის, გ. და გვ. ფ-შვილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს თ. ტ-შვილმა, გ. და გვ. ფ-შვილებმა. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

2010 წლის 17 მარტს თ. ტ-შვილმა, გ. და გვ. ფ-შვილებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადეს საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის სხდომაზე თ. ტ-შვილმა განმარტა, რომ საკასაციო საჩივრის განხილვამ მისთვის დაკარგა ინტერესი, რის გამოც უარს ამბობს მის განხილვაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა განცხადება და მივიდა დასკვნამდე, რომ განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებით და დამატებებით. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში კი მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორებმა – თ. ტ-შვილმა, გ. და გვ. ფ-შვილებმა საკასაციო საჩივარზე უარის თქმით მოახდინეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე, 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ თ. ტ-შვილის, გ. და გვ. ფ-შვილების მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მათ ერთმევათ უფლება, კვლავ გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე, 272-ე, 399-ე, 372-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ტ-შვილის, გ. და გვ. ფ-შვილების განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე შეწყდეს თ. ტ-შვილის, გ. და გვ. ფ-შვილების საკასაციო საჩივრის წარმოება;

განემართოს კასატორებს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მათ ერთმევათ უფლება, კვლავ გაასაჩივრონ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინება საკასაციო წესით;

თ. ტ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

1ას-1276-1533-09

29 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
თ. თოდრია**

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ფ. რ-ოვის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. მ-ოვა-რ-ოვას სარჩელი ფ. რ-ოვის მიმართ და 1996 წლის 19 ივნისის დაბადებული რ. რ-ოვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – ა. მ-ოვა-რ-ოვას საცხოვრებელი ადგილი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ფ. რ-ოვმა და მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ფ. რ-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ფ. რ-ოვსა და ა. მ-ოვა-რ-ოვას რეგისტრირებული ქორწინებიდან შეეძინათ ორი შვილი: ნ. რ-ოვა და რ. რ-ოვი;

ფ. რ-ოვსა და ა. მ-ოვა-რ-ოვის შორის არსებული ქორწინება შეწყდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით და მხარეები ამჟამად ცალ-ცალკე ცხოვრობენ;

ფ. რ-ოვი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა თბილისში, ... ქუჩის 163/7-ში მდებარე მშობლების კუთვნილ სახლში მშობლებთან და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე დასთან ერთად. სახლი ორ-სართულიანი იყო, მაგრამ ფ. რ-ოვისა და მისი შვილების განკარგულებაშია მხოლოდ ერთი ოთახი და სამზარეულო;

მოსარჩელე ა. მ-ოვა-რ-ოვა ცხოვრობდა მშობლებთან და მძის ოჯახთან ერთად მდებარე სამოთახიან ბინაში, მაგრამ ჰქონდა შესაძლებლობა, შვილთან ერთად ეცხოვრა დედის კუთვნილ ოთახნახევრიან ბინაში, რომელიც იმჟამად იყო თავისუფალ მდგომარეობაში; ა. მ-ოვა-რ-ოვს ყოველთვიური შემოსავალი შეადგენდა 200 ლარს;

არასრულწლოვანი რ. რ-ოვის სურვილი იყო, მშობელთა დაშორების შემთხვევაში ეცხოვრა დედასთან – ა. მ-ოვა-რ-ოვსთან. დასახელებული გარემოება დასტურდებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ივნისის სხდომის ოქმიდან, რომელშიც დაფიქსირებული იყო რ. რ-ოვის ჩვენება. სასამართლოს მიერ არასრულწლოვან რ. რ-ოვის გამოკითხვა განხორციელდა მშობლების დაუსწრებლად. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ჩვენება განხორციელდა არასრულწლოვანზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების გარეშე.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს – სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკის, ქ. ვ-ძის შეფასების მიხედვით, არასრულწლოვან რ. რ-ოვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო არასრულწლოვანის სურვილი.

პალატამ მიიჩნია, რომ ორივე მშობელს გააჩნდა სათანადო მატერიალური პირობები ბავშვის თავისთან საცხოვრებლად, თუმცა ფ. რ-ოვის მხრიდან იკვეთებოდა ოჯახის წევრებისადმი ემოციურად არასტაბილური, გაუწონასწორებელი დამოკიდებულება (თანაცხოვრების პერიოდში მეუღლეს აყენებდა ფზიკური შეურაცხყოფას, რაც დადასტურდა ასევე პალატის 2009 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე) აღნიშნული კი, სასამართლოს მოსაზრებით, გამორიცხავდა არასრულწლოვანს თავის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას.

პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სწორად იქნა გათვალისწინებული სოციალური მუშაკის შეფასება, რომელიც ასევე ბავშვის უფლებებისა და სათანადო აღზრდა-განვითარების ინტერესის დაცვის თვალსაზრისით ადგენს საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას ბავშვის სურვილის მიხედვით მიღების აუცილებლობას.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ფ. რ-ოვმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

კასატორის მითითებით, მიუხედავად მისი მოთხოვნისა და არასრულწლოვანი შვილის რ. რ-ოვის, დაბადებული 19.06.1996 წელში, სურვილისა, რომ ბავშვი საცხოვრებლად დარჩენილიყო მასთან, ქ.თბილისში, ... ქ.163/7-ში, მაინც მისი საცხოვრებელი ადგილი მოსამართლემ განსაზღვრა დედის, ა. მ-ოვა-რ-ოვს საცხოვრებელი ადგილი. რ-ოვის მითითებით, საქმეში მოიპოვებოდა მისი განცხადება და რ. რ-ოვის ნოტარიულად დადასტურებული განცხადება, აგრეთვე, კლასის დამრიგებლის ა.კ-ოვას და ქართული ენის მასწავლებლის ლ.ა-ძის თანდასწრებით ნათქვამი სურვილი და დაწერილი განცხადება.

საქმეში მოიპოვება ასევე რ-ის თანხმობა-განცხადება, რომელიც ემთხვევა მის მოთხოვნას, თავად რ-ის ინტერესებში შედის მასთან ცხოვრება, არ არის გათვალისწინებული მისი მოთხოვნა, რ-ის ინტერესები და სურვილი, რის გამოც გადაწყვეტილება სავსებით უსაფუძვლოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფ. რ-ოვმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინების გაუქმება.

2010 წლის 29 იანვარს საკასაციო პალატას განცხადებით მიმართა ფ. რ-ოვმა და მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

აღნიშნული განცხადების განხილვა დაინიშნა 2010 წლის 19 მარტს. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა განცხადების მოტივების შემოწმების, საქმის მასალების განხილვის შედეგად თვლის, რომ ფ. რ-ოვის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპე-

ლაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა – ფ. რ-ოვმა საკასაციო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე, 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ფ. რ-ოვის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საკასაციო საჩივრის წარმოება.

საკასაციო სასამართლო 399-ე და 378-ე მუხლების საფუძველზე განუმარტავს კასატორს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე 284-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს ფ. რ-ოვის განცხადება.
შეწყდეს ფ. რ-ოვის საკასაციო საჩივარზე წარმოება;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინება;
განემარტოს კასატორს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

1ას-1072-1004-10 24 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ა-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ... რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე გ. მ-ძისა და ... რაიონის ზეინდრის სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების თავმჯდომარე მ. გ-იას მიმართ ... მუნიციპალიტეტის ზეინდარის სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების სასურსათო მაღაზიის ნახევარზე (66.35 კვ.მ-ზე) მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარებისა და აღნიშნულ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დავალდებულების მოთხოვნით.

... რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით გ.ა-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 სექტემბრის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გ.ა-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ.ა-შვილმა. კასატორმა წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედანი და განმარტა, რომ მოცემული დავა აღიარებითი სარჩელიდან გამომდინარეობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის განჩინებით გ. ა-შვილს დაევა საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულებისა და ამ ღირებულების შესაბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვითრის დედანის წარდგენა.

2010 წლის 15 ნოემბერს გ. ა-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის განხილვაზე და მოითხოვა თავის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის უკან დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა განცხადება და მივიდა დასკვნამდე, რომ განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში კი მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან, გ. ა-შვილმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე, განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება შეწყდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორს გადახდილი აქვთ სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი. ვინაიდან, კასატორმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის განხილვაზე, მას უნდა დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე, 272-ე, 399-ე, 372-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

გ. ა-შვილის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 სექტემბრის განჩინებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე შეწყდეს საკასაციო წარმოება;

გ. ა-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა სარჩელზე უარის თქმის გამო

განჩინება

1ას-1294-1139-11

1 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ქონების მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ლ-ვამ და თ. თ-იამ სარჩელი აღძრეს სასამართლოში თ. ც-შვილისა და ნოტარიუს ბ. ს-მის მიმართ სამკვიდრო მოწმობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქონების მიკუთვნების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ვასა და თ. თ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. ც-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ც-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. თ-იამ. კასატორს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 462 ლარი.

თ. თ-იამ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის განხილვაზე და მოითხოვა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 462 ლარის უკან დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა განცხადება და მივიდა დასკვნამდე, რომ განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში კი მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან თ. თ-იამ უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე, განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება შეწყდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომადე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 462 ლარი. ვინაიდან, კასატორმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის განხილვაზე, მას უნდა დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე, 272-ე, 399-ე, 372-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. თ-იას განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე შეწყდეს საკასაციო წარმოება;

თ. თ-იას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 462 ლარი; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-901-1187-09

23 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 აპრილს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. შ-მემ მოპასუხე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის, მესამე პირების: ჯ. ბ-მის, გ. ბ-მისა და ნოტარიუს თ. ჩ-ას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2007 წლის 28 დეკემბრის საკუთრების უფლების 14183 მოწმობის გ) ბ-მის ნაწილში ბათილად ცნობა; ბ) ამავე კომისიის 2008 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილების ვ. შ-მის ნაწილში ბათილად ცნობა; გ. 2008 წლის 24 მარტის ჩუქების ხელშეკრულების (რეგისტრაციის 11-3216) ბათილად ცნობა; დ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიისათვის ვ. შ-მის 1955 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე გადაწყვეტილების მიღების დავალაება.

სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2007 წლის 14 დეკემბერს ვ. შ-მის სახელზე გასცა საკუთრების უფლების მოწმობა 10430, რის საფუძველზეც ეს უკანასკნელი დარეგისტრირდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე 1 600 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. იმ მიზეზით, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზი შედგენილი იყო შეცდომით, 2008 წლის 12 მარტს ვ. შ-მემ განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას. განმცხადებელი ითხოვდა დაშვებული შეცდომის გამოსწორებას და აღნიშნული კომისიის მიერ 1 955 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების აღიარებას. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 11 აპრილის 145 საოქმო გადაწყვეტილებით ვ. შ-მეს განცხადების დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი, ვინაიდან საკუთრების აღიარება ხდებოდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო მოცემული პერიოდისათვის საკუთრება აღიარებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა ფიზიკური პირის კერძო საკუთრებას, კერძოდ, დასახელებული გადაწყვეტილების თანახმად, ვ. შ-მის მიერ საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2007 წლის 28 დეკემბერს გაცემული 14183 საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე წარმოადგენდა გ. ბ-მის საკუთრებას.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 145 საოქმო გადაწყვეტილება იყო უკანონო და დაუსაბუთებელი. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოტანისას ადგილი ჰქონდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას. კანონის აღნიშნული ნორმის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, რასაც მოსარჩელესთან მიმართებით არ მომხდარა.

გარდა ამისა, მოსარჩელე კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებას და 14183 საკუთრების უფლების მოწმობას, რომლის საფუძველზეც სადავო ტერიტორია საკუთრების უფლებით გადაეცა გ. ბ-მეს. ამ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზოგადი ადმი-

ნისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მოთხოვნის დარღვევაზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი.

რაც შეეხებოდა 2008 წლის 24 მარტის ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნას, აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელე მიუთითებდა შემდეგზე:

სადავო ნაჩუქრობის ხელშეკრულების საფუძველზე გ. ბ-მემ სადავო მიწის ნაკვეთი გააჩუქა შვილზე – ჯ. ბ-მეზე. ხელშეკრულების გაფორმება მოხდა მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყოლოდა. გ. ბ-მე, რომელმაც იცოდა, რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით 0.26 ჰა მიწის ნაკვეთი უკანონოდ გადაეცა, მიიჩნევდა, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგების შედეგად დასაჩუქრებული პირი – ჯ. ბ-მე, კეთილსინდისიერ შემძენად ჩაითვლებოდა. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვება.

ამასთან, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების 2008 წლის 24 მარტს გაფორმება შეუძლებელი იყო, რადგან მჩუქებელი – გ. ბ-მე გასაჩუქებელი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მხოლოდ 2008 წლის 25 მარტს. შესაბამისად, აღნიშნული დროისათვის იგი არაუფლებამოსილი იყო, გაეჩუქებინა თავის საკუთრებაში არარსებული ქონება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ვ. შ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2007 წლის 28 დეკემბრის საკუთრების უფლების 14183 მოწმობა გ. ბ-მის ნაწილში, ამავე კომისიის 2008 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება ვ. შ-მის ნაწილში, აგრეთვე, 2008 წლის 24 მარტის ჩუქების ხელშეკრულება (რეგისტრაციის 11-3216); დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2007 წლის 14 დეკემბერს ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე 1 600 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება აღიარა ვ. შ-მის სახელზე და გასცა 10430 საკუთრების მოწმობა;

ამავე კომისიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებითა და საკუთრების უფლების 14183 მოწმობით გ. ბ-მეს საკუთრებაში გადაეცა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე 0.26 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ვ. შ-მის მეზობლების: ლ. ჩ-შვილის, თ. ჯ-ის, ლ. ჭ-მის ჩვენებების საფუძველზე, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენდნენ სადავო მიწის ნაკვეთის მეზობელი ნაკვეთების მოსარგებლეებს, დასტურდებოდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთს წლების განმავლობაში ამუშავებდა ვ. შ-მე, ხოლო ბ-მეები არასდროს უნახავთ მითითებულ მიწის ნაკვეთში;

ჯ. ბ-მე არის გ. ბ-მის შვილი და პირველი რიგის მემკვიდრე, და 2008 წლის 24 მარტს მათ შორის დადიდო ჩუქების ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით რაიონულმა სასამართლომ მიუთითა «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» 2007 წლის 11 ივლისის კანონსა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულებაზე, რომლის თანახმად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს მართლობიერად ფლობენ, სარგებლობენ ან რომლებსაც ეს ნაკვეთები თვითნებურად აქვთ დაკავებული, უფლება აქვთ, ასეთ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვონ.

რამდენადაც გ. ბ-მეს სადავო მიწის ნაკვეთთან არ ჰქონდა არანაირი სამართლებრივი კავშირი, ე.ი. არ გააჩნდა მართლობიერი მფლობელობისა და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თვითნებურად კი მას არასოდეს დაუფლებია, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების აღიარება უკანონო იყო.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღებისას დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულების მე-12 მუხლისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, სათანადოდ არ შესწავლილა და არ გამოკვლეულა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, ამავე საფუძველზე უკანონოდ უნდა მიჩნეულიყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 11 აპრილის 145 საოქმო გადაწყვეტილება ვ. შ-მის ნაწილში, აგრეთვე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და მითითებული კომისიის მიერ გაცემული 14183 საკუთრების უფლების მოწმობა გ. ბ-მის ნაწილში, რამდენადაც ისინი ეწინააღმდეგებოდა კანონს, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მათი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ასევე არსებობდა 2008 წლის 24 მარტის ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი. აღნიშნული ხელშეკრულებით გ. ბ-მემ მოსაჩვენებლად, თვალთმაქცური გარიგებით, სადავო მიწის ნაკვეთი გადასცა თავის შვილს – ჯ. ბ-მეს, რაც კანონსაწინააღმდეგო იყო, ვინაიდან გ. ბ-მეს სადავო მიწის ნაკვეთთან არ ჰქონდა არანაირი სამართლებრივი კავშირი, ე.ი. მას არ გააჩნდა მართლობიერი მფლობელობისა და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თვითნებურად კი მიწის ნაკვეთს არასდროს დაუფლებია. შესაბამისად, ჩუქების ხელშეკრულება დადებული იყო მოსაჩვენებლად, თვალთმაქცურად.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას, რომელიც მდგომარეობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ ვ. შ-მისათვის 1 955 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დავალებაში, რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებულ ნაწილში სარჩელი უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის საჭიროა საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა, რაც შემდგომ ეტაპად უნდა იქნეს მიჩნეული.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. ბ-მემ, ჯ. ბ-მემ და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიამ. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა აგრეთვე ვ. შ-მემ, რომელმაც მოითხოვა მითითებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 აგვისტოს განჩინებით ვ. შ-მის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ვ. შ-მემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 იანვრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 აგვისტოს განჩინება დარჩა უცვლელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინებით მოცემული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ვ. შ-მის სასარჩელო მოთხოვნა გ. და ჯ. ბ-მეებს შორის 2008 წლის 24 მარტს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ და იგი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენდნენ ფიზიკური პირები, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო დავა სამოქალაქო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მისი ნამდვილობის საკითხის გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოს მიერ იმ პრინციპების დაცვით, რასაც განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ბ-მისა და ჯ. ბ-მის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება 2008 წლის 24 მარტის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. შ-მის სარჩელი 2008 წლის 24 მარტის ჩუქების ხელშეკრულების (რეგისტრაციის 11-3216) ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2007 წლის 14 დეკემბერს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში 1 600 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე აღიარა ვ. შ-მის საკუთრების უფლება და მის სახელზე გასცა 10430 საკუთრების უფლების მოწმობა;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2007 წლის 28 დეკემბერს გადაწყვეტილებით გ. ბ-მეს საკუთრების უფლებით გადაეცა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ის 2 600 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რაზეც გაიცა 14183 საკუთრების უფლების მოწმობა;

ჯ. ბ-მე წარმოადგენს გ. ბ-მის შვილს; მათ შორის 2008 წლის 24 მარტს დადებულია ჩუქების ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ვ. შ-მის სახელზე 2007 წლის 14 დეკემბერს გაცემული 10430 საკუთრების მოწმობის შესაბამისად, ამ უკანასკნელის საკუთრებაში რეგისტრირებულია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის სარეგისტრაციო მონაცემებია: კოდი 22, კვარტლის 101, ნაკვეთის 1536, ფართობი 1 600კვ.მ;

გ. ბ-მის სახელზე 2007 წლის 28 დეკემბერს გაცემული 14183 საკუთრების მოწმობის შესაბამისად, გ. ბ-მის საკუთრებაში რეგისტრირებულია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის სარეგისტრაციო მონაცემებია: კოდი 22, კვარტლის 101, ნაკვეთის 1660, ფართობი 2 600კვ.მ;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის – თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის 2009 წლის 16 მარტის ცნობით დადგენილია, რომ გ. ბ-მე ცხოვრობს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ-ში, ცოლსა და დედასთან ერთად, გააჩნია 1 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი; ამავე სახელში ასევე ცხოვრობს მისი ვაჟი ჯ. ბ-მე ცოლთან და შვილთან ერთად, რომელსაც არ გააჩნია საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ 2008 წლის 24 მარტის ჩუქების ხელშეკრულება დაიდო მოსაჩვენებლად და თვალთმაქცური გარიგებით სადავო მიწის ნაკვეთი გადაეცა ჯ. ბ-მეს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება); თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

კანონის ზემოაღნიშნული ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ შეიძლება გარიგება ერთდროულად მოჩვენებითიც იყოს და თვალთმაქცურიც, ვინაიდან მოჩვენებითი გარიგების დროს ნამდვილი გარიგება საერთოდ არ არსებობს და არარსებული გარიგებით სხვა გარიგების დაფარვა გამორიცხებულია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში გარიგების ნამდვილობაზე მიუთითებდა ის გარემოება, რომ ჩუქების ხელშეკრულების მხარეები არიან მამა-შვილი, რომლებიც თავიანთი ოჯახებითაცხოვრობდნენ ერთ საცხოვრებელ სახლში. ამასთან, გ. ბ-მეს გააჩნდა 1 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო ჯ. ბ-მეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, მამის მიერ მასთან მცხოვრები შვილისათვის, რომელსაც მიწის ნაკვეთი საკუთრებაში არ გააჩნდა, ხოლო მამას დამოუკიდებლად გააჩნდა მიწის ნაკვეთი, მისი შვილზე გაჩუქება არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო მოჩვენებითად.

რამდენადაც საჯარო რეესტრში არსებობდა სადავო მიწის ნაკვეთზე გ. ბ-მის საკუთრების უფლების შესახებ რეგისტრაცია, მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით რაიონული სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ გ. ბ-მეს არ გააჩნდა ამ ქონების მართლზომიერი მფლობელობისა და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სააპელაციო სასამართლომ ჩუქების ხელშეკრულების მოჩვენებითობისა და თვალთმაქცურობის დასადასტურებლად დაუსაბუთებელ არგუმენტად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მტკიცების საწინააღმდეგოდ გ. ბ-მემ სასამართლოში წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდებოდა ის გარემოება, რომ სადავო მიწის ნაკვეთის გ. ბ-მის საკუთრებაში რეგისტრაცია განხორციელდა არა 2008 წლის 25 მარტს, არამედ 2008 წლის 20 მარტს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის 24 მარტის ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის გამყიდველი გ. ბ-მე მართლზომიერი მფლობელი და მესაკუთრე იყო, გარიგება ნამდვილი ნების საფუძველზე, ფორმის დაცვით დაიდო და დასაჩუქრებული ჯ. ბ-მე წარმოადგენდა კეთილსინდისიერ შემძენს. შესაბამისად, ვ. შ-მის სასარჩელო მოთხოვნა 2008 წლის 24 მარტის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. შ-მემ (წარმომადგენლები: რ. ბ-მე, თ. ჭ-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, საქმეში წარმოდგენილია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის ნაწილში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილებით დადასტურებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გ. ბ-მის სახელზე გაცემული აქტების კანონსაწინააღმდეგობა.

კასატორის განმარტებით, სადავო ჩუქების ხელშეკრულების მოჩვენებითობას სწორედ ის გარემოება ასაბუთებს, რომ აღნიშნული ხელშეკრულების დადების დროისათვის გ. ბ-მისათვის ცნობილი იყო მის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობის არაკანონიერება, კერძოდ, მჩუქებელმა იცოდა ის ფაქტი, რომ იგი არ წარმოადგენდა მიწის ნაკვეთის არც მართლზომიერ მფლობელს და არც თვითნებურად დამკავებელს. ამიტომ, იმისათვის, რომ არ დაეკარგა მიწის ნაკვეთი, გ. ბ-მემ მოახდინა ხელშეკრულებით მისი შვილზე გაჩუქება. ჯ. ბ-მე, როგორც მჩუქებლის პირველი რიგის მემკვიდრე, აღნიშნულ ნაკვეთს მემკვიდრეობით მინც

მიიღებდა, რის გამოც საუბარი იმის შესახებ, რომ მამას ჰქონდა სურვილი შვილისათვის ეჩუქებინა მიწის ნაკვეთი, საფუძველს მოკლებულია.

კასატორის მითითებით, ერთადერთ მტკიცებულებას, რომლის საფუძველზეც სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულება არის ნამდვილი, წარმოადგენს მაჭახლის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დგინდება, რომ გ. ბ-მე ცხოვრობს ხელვაჩაურის რაიონში ცოლ-შვილთან ერთად, რომლებსაც არ გააჩნიათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. სასამართლოს მოცემულ მსჯელობას კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ დღემდე გ. და ჯ. ბ-მეები ცხოვრობენ ერთ ოჯახში, ჯ. ბ-მე არ წარმოადგენს ცალკე კომლს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას საკასაციო საჩივრის არსებითად მოსმენის დაწყებამდე მხარეები მორიგდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

1. ჯ. ბ-მე (პირადი 1....) თანახმაა, ვ. შ-მეს (პირადი 1...) უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადასცეს თავის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება, კერძოდ, **2600 კვ.მ-დან 700 კვ.მ** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში (სარეგისტრაციო ზონა ხელვაჩაური – **22**, სექტორი ... **05**, კვარტალი **01**, ნაკვეთი **660**) მორიგების აქტზე თანდართული აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

2. ვ. შ-მე (პირადი 1...) თანახმაა, ჯ. ბ-მისაგან (პირადი 1...) უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით მიიღოს უძრავი ქონება, კერძოდ, **2600 კვ.მ-დან 700 კვ.მ** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში (სარეგისტრაციო ზონა ხელვაჩაური **22**, სექტორი ... **05**, კვარტალი **01**, ნაკვეთი **660**) მორიგების აქტზე თანდართული შპს «...-ს» აზომვითი ნახაზის შესაბამისად და უარს აცხადებს საკასაციო საჩივარზე;

მხარეები ითხოვენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დაამტკიცოს ზემოაღნიშნული მორიგების აქტი და საქმეზე 'ას-**901-1187-09** მხარეთა მორიგების გამო შეწყდეს საქმის წარმოება.

მხარეებისათვის ცნობილია, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის **272-ე** მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **49-ე** მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, ისინი მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, კასატორს – ვ. შ-მეს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – **2 600** ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **399-ე** მუხლით, **272-ე** მუხლის «დ» ქვეპუნქტით, **257-ე** მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

I. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. ჯ. ბ-მე (პირადი 1....) თანახმაა, ვ. შ-მეს (პირადი 1...) უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადასცეს თავის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება, კერძოდ, **2600 კვ.მ-დან 700 კვ.მ** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში (სარეგისტრაციო ზონა ხელვაჩაური – **22**, სექტორი ... **05**, კვარტალი **01**, ნაკვეთი **660**) მორიგების აქტზე თანდართული აზომვითი ნახაზის შესაბამისად;

2. ვ. შ-მე (პირადი 1...) თანახმაა, ჯ. ბ-მისაგან (პირადი 1...) უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით მიიღოს უძრავი ქონება, კერძოდ, **2600 კვ.მ-დან 700 კვ.მ** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ... (სარეგისტრაციო ზონა ხელვაჩაური **22**, სექტორი ... **05**, კვარტალი

01, ნაკვეთი 660) მორიგების აქტზე თანდართული შპს «...-ს» აზომვითი ნახაზის შესაბამისად და უარს აცხადებს საკასაციო საჩივარზე.

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

III. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

IV. ვ. შ-მეს დაუბრუნდეს 2009 წლის 7 ოქტომბერს (გატარებულია 2009 წლის 8 ოქტომბერს) ვ. შ-ძის (გ. ჯ-ი) მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 2 600 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი – 200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – 1300773150, დანიშნულება – სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე.

V. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1-ას-1269-1527-09

15 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი გარეშე საკასაციო პალატამ განიხილა კერძო საჩივრის ავტორის შპს «...-ის» დირექტორის გ. გ-ლის შპს «...-ის» დირექტორის გ. გ-ლის და ფიზიკური პირი გ. გ-ლის და სს «... ბანკის» წარმომადგენლის განცხადება მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული შპს «...-ის» დირექტორის გ. გ-ლის და ფიზიკური პირი გ. გ-ლის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის საოქმო განჩინებაზე. სამოქალაქო საქმეზე სააქციო საზოგადოება «... ბანკი-ს» სარჩელის გამო მოპასუხეების, შპს «...-ის», შპს «...-ს» და გ. გ-ლის მიმართ დავალიანების გადახდევინებისა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე.

საკასაციო პალატას 2010 წლის 5 მარტს განცხადებით მომართა სს «... ბანკი» წარმომადგენელმა და განმარტა, რომ მხარეთა შორის შედგა მორიგება და მოითხოვა წარმოდგენილი მორიგების აქტის დამტკიცება.

2010 წლის 11 მარტის სასამართლო სხდომაზე მორიგების აქტზე დადასტურდა მხარეთა ხელმოწერები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა მორიგების აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს «...-ს» დირექტორ გ. გ-ლს, შპს «...-ის» დირექტორ გ. გ-ლს, ფიზიკურ პირ გ. გ-ლს და სს «... ბანკს» შორის დამტკიცდეს მორიგება შემდეგი პირობებით:

1.1. მოპასუხეები – შპს «...», შპს «...» და გ. გ-ლი კისრულობენ ვალდებულებას, რომ გადაიხდიან დავალიანებას – 268,282.66 აშშ დოლარს წლიური 17% დარიცხვით 2010 წლის 1 მაისამდე.

2. შეთანხმება იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ

2.1. იმ შემთხვევაში, თუ «მოპასუხეების» მიერ არ იქნება შესრულებული წინამდებარე მორიგების აქტის პირველი პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები, მესაკუთრე – შპს «...» (სს «... ბანკსა» და შპს «...-ს» შორის 2006 წლის 29 აგვისტოს გაფორმებული 1730311-3 იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე) თანახმაა, რომ მორიგების აქტის პირველი და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების მიზნით, «ბანკმა» განახორციელოს ზემოაღნიშნული იპოთეკის ხელშეკრულებით იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

2.1.1. «მხარეებს» შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონებების რეალიზაცია, განხორციელდეს სპეციალისტის მიერ აუქციონის მეშვეობით.

2.1.2. აუქციონის ჩატარების მიზნით, სპეციალისტად დაინიშნოს «კრედიტორი» – სს «... ბანკი», მისამართი ქ. თბილისი, ... 17.

2.1.3. 2.1.2. პუნქტში განსაზღვრული სპეციალისტის ანაზღაურება განისაზღვროს არსებული დავალიანების 0.1% ოდენობით, რომელიც გადაიხდება «მესაკუთრის» ხარჯზე.

2.1.4. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება არ ზღუდავს «ბანკს», სხვა გზითაც დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ასეთ დროს, «ბანკი» თავად ირჩევს მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებას.

3. განსაკუთრებული პირობები

3.1. იმ შემთხვევაში, თუ «მოპასუხეთა» მიერ არ იქნება შესრულებული წინამდებარე მორიგების აქტის 1.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები, ამავე პუნქტში მითითებული დავალიანების დაფარვა მოხდება იძულების წესით, შესაბამისად, «კრედიტორს» უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დავალიანების იძულებით გადახდევინების შესახებ, რაზედაც სს «... ბანკის» პირველივე მოთხოვნისთანავე განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ამოიწერება სააღსრულებო ფურცელი 1.1. პუნქტში მითითებული დავალიანების გადახდის შესახებ.

ამასთან, დავალიანების დაფარვის მიზნით, ამავე სააღსრულებო ფურცლით, აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცეს სესხის უზრუნველსაყოფად:

– იპოთეკით დატვირთული შპს «...-ის» კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე მისამართზე: სარეგისტრაციო ზონა თბილისი 1, სექტორი – ... 15, კვარტალი – 03, ნაკვეთი 14/001, ფართობი – 323 კვ.მ., მისამართი – ... ქ. 141, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი – 01/15/03/14/001.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციის შედეგად სრულად ვერ დაკმაყოფილდება მოსარჩელის მოთხოვნა, მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით, იძულებითი აღსასრულებლად მიექცეს შპს «...-ს», შპს «...-ს» და გ. გ-ლის ქონება.

4. პროცესის ხარჯები

4.1. მოპასუხეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ გადახდიან მოსარჩელის მიერ გაღებულ პროცესის ხარჯებს (სახ. ბაჟი და საადვოკატო მომსახურების საფასური) 50,000 აშშ დოლარის ოდენობით, 2010 წლის 1 ივლისამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა, მოსარჩელის სასარგებლოდ მოხდება იძულების წესით, მორიგების აქტის მე-2 ან/და მე-3 პუნქტებში მითითებული წესის შესაბამისად.

4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ, თუ მოპასუხეების მიერ არ იქნება შესრულებული წინამდებარე მორიგების აქტის 1.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები, ასეთ შემთხვევაში არ მოქმედებს 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადები და მოსარჩელეს უფლება აქვს პირველი პუნქტით გათვალისწინებული დავალიანება და პროცესის ხარჯების გადახდა განახორციელოს იძულების წესით, მორიგების აქტის მე-2 ან/და მე-3 პუნქტებში მითითებული წესის შესაბამისად.

5. დასკვნითი დებულებები

5.1. «მხარეები» თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტი შედგა 5 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი წარედგინება სასამართლოს, დანარჩენი ინახება მხარეებთან;

5.2. «მხარეები» ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების აქტი იდება მათი ნების საფუძველზე და ისინი არ იმყოფებიან იძულების ან მოტყუების ქვეშ;

5.3. მორიგების აქტი ძალაში შედის «მხარეთა» მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო, უნდა გაუქმდეს საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» პუნქტის თანახმად, შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის – 272-ე მუხლით და

დაადგინა:

შპს «...-ს» დირექტორ გ. გ-ლს, შპს «...-ის» დირექტორ გ. გ-ლს, ფიზიკურ პირ გ. გ-ლს და სს «...-ს» შორის დამტკიცდეს მორიგება შემდეგი პირობებით:

1.1. მოპასუხეები – შპს «...», შპს «...» და გ. გ-ლი კისრულობენ ვალდებულებას, რომ გადაიხდიან დავალიანებას – **268,282.66** აშშ დოლარს, წლიური **17%** დარიცხვით, **2010** წლის **1** მაისამდე.

2. შეთანხმება იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ

2.1. იმ შემთხვევაში, თუ «მოპასუხეების» მიერ არ იქნება შესრულებული წინამდებარე მორიგების აქტის პირველი პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები, მესაკუთრე – შპს «...» (სს «... ბანკსა» და შპს «მერიდიენ ინვესტმენტს» შორის **2006** წლის **29** აგვისტოს გაფორმებული **1730311-3** იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე) თანახმაა, რომ მორიგების აქტის პირველი და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების მიზნით, «ბანკმა» განახორციელოს ზემოაღნიშნული იპოთეკის ხელშეკრულებით იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია, აქედან გამომდინარე მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

2.1.1. «მხარეებს» შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უძრავი ქონებების რეალიზაცია, განხორციელდეს სპეციალისტის მიერ აუქციონის მეშვეობით.

2.1.2. აუქციონის ჩატარების მიზნით, სპეციალისტად დაინიშნოს «კრედიტორი» – სს «... ბანკი», მისამართი ქ. თბილისი, ... 17.

2.1.3. 2.1.2. პუნქტში განსაზღვრული სპეციალისტის ანაზღაურება განისაზღვროს არსებული დავალიანების **0.1%** ოდენობით, რომელიც გადაიხდება «მესაკუთრის» ხარჯზე.

2.1.4. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება არ ზღუდავს «ბანკს», სხვა გზითაც დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ასეთ დროს «ბანკი» თავად ირჩევს მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებას.

3. განსაკუთრებული პირობები

3.1. იმ შემთხვევაში, თუ «მოპასუხეთა» მიერ არ იქნება შესრულებული წინამდებარე მორიგების აქტის 1.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები, ამავე პუნქტში მითითებული დავალიანების დაფარვა მოხდება იძულების წესით, შესაბამისად, «კრედიტორს» უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დავალიანების იძულებით გადახდევინების შესახებ, რაზედაც სს «... ბანკის» პირველივე მოთხოვნისთანავე განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ამოიწერება სააღსრულებო ფურცელი **1.1**. პუნქტში მითითებული დავალიანების გადახდის შესახებ.

ამასთან, დავალიანების დაფარვის მიზნით, ამავე სააღსრულებო ფურცლით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცეს სესხის უზრუნველსაყოფად:

– იპოთეკით დატვირთული შპს «...-ის» კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე მისამართზე: სარეგისტრაციო ზონა თბილისი **1**, სექტორი – ... **15**, კვარტალი – **03**, ნაკვეთი **14/001**, ფართობი – **323** კვ.მ., მისამართი – ... ქ. **141**, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი – **01/15/03/14/001**.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციის შედეგად სრულად ვერ დაკმაყოფილდება მოსარჩელის მოთხოვნა, მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით, იძულებითი აღსასრულებლად მიექცეს შპს «...-ს», შპს «...-ს» და გ. გ-ლის ქონება.

4. პროცესის ხარჯები

4.1. მოპასუხეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ გადახდიან მოსარჩელის მიერ გაღებულ პროცესის ხარჯებს (სახ. ბაჟი და საადვოკატო მომსახურების საფასური) **50,000** აშშ დოლარის ოდენობით, **2010** წლის **1** ივლისამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოხდება იძულების წესით, მორიგების აქტის მე-2 ან/და მე-3 პუნქტებში მითითებული წესის შესაბამისად.

4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ, თუ მოპასუხეების მიერ არ იქნება შესრულებული წინამდებარე მორიგების აქტის 1.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები, ასეთ შემთხვევაში არ მოქმედებს 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადები და მოსარჩელეს უფლება აქვს, პირველი პუნქტით გათვალისწინებული დავალიანება და პროცესის ხარჯების გადახდა განახორციელოს იძულების წესით, მორიგების აქტის მე-2 ან/და მე-3 პუნქტებში მითითებული წესის შესაბამისად.

5. დასკვნითი დებულებები

5.1. «მხარეები» თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტი შედგა **5** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება სასამართლოს, დანარჩენი ინახება მხარეებთან;

5.2. «მხარეები» ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების აქტი იდება მათი ნების საფუძველზე და ისინი არ იმყოფებიან იძულების ან მოტყუების ქვეშ;

5.3.. მორიგების აქტი ძალაში შედის «მხარეთა» მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

გაუქმდეს საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყდეს.
განემართოთ მხარეებს, რომ იგივე მხარეებს შორის იგივე დავაზე სასამართლოსათვის მომართვა დაუშვებელია.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-1105-1369-09

20 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. და ს. დ-ების, გი., ქ., ბ. დ-ების, ს. კ-შვილისა და ნ. ი-ძის მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვისა და საცხოვრებელი ბინის დაქირავებით მიყენებული ზიანის – 3000 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელე ცხოვრობდა სიღნაღის რაიონის სოფელ-ში ოჯახური პირობების გამო, იგი იძულებული გახდა, მეუღლესთან, რძალსა და შვილიშვილთან ერთად დროებით საცხოვრებლად გადასულიყო ქ.თბილისში, ... ქუჩა 188-ში მდებარე ნაქირავებ ბინაში მაშინ, როცა მის საკუთრებაში არსებულ, მემკვიდრეობით მიღებულ ბინაში ცხოვრობენ მისი დედინაცვლის ნათესავები – გ. და ს. დ-ები. 1996 წელს მან სასამართლო წესით მოითხოვა კუთვნილი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, მაგრამ სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მოპასუხეების – ს. და გ. დ-ების შეგებებული სარჩელის საფუძველზე, ისინი ცნობილ იქნენ ქ.რუსთავში, ... 14-ში მდებარე საცხოვრებელ ფართზე უფლებამოპოვებულად. ამჟამად ზ.ბ-შვილის საცხოვრებელი პირობები უკიდურესად დამძიმდა, რის გამოც იგი იძულებული გახდა, მიემართა სასამართლოსათვის. მიწის ნაკვეთი და მასზე აგებული სადავო ბინა 1996 წლისათვის იყო სახელმწიფოს საკუთრებაში დღეისათვის კი, როგორც მიწის ნაკვეთი, ისე მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა საჯარო რეესტრში მის სახელზეა აღრიცხული. ამასთან, მოპასუხეებს მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება რაიმე ფორმით, მათ შორის, არც სასამართლო გადაწყვეტილებით არ მოუპოვებიათ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ზ. ბ-შვილს უარი ეთქვა იმავე საგანზე და იმავე საფუძველით შეტანილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მითითებული გადაწყვეტილებით გ. და ს. დ-ები ოჯახებთან ერთად ცნობილ იქნენ სადავო ფართზე უფლებამოპოვებულად. ასევე დადასტურდა, რომ 1974 წლიდან ს. და გ. დ-ები ქ.რუსთავში საცხოვრებლად ჩამოიყვანა მათმა დეიდამ – თ. ხ-შვილმა, რომლის მეუღლე აწარმოებდა სადავო სახლის მშენებლობას. მოპასუხეები დაეხმარნენ მას როგორც ფიზიკური ასევე მატერიალური თვალსაზრისით. სასამართლომ დაადგინა, რომ ზ. ხ-შვილ-ბ-შვილს ნ. ხ-შვილთან და მის ოჯახთან ურთიერთობა არ ჰქონდა. იგი ნ. ხ-შვილს შვილად არასდროს უცვნია და მოსარჩელემ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მოახერხა მამობის ფაქტის დადგენა, რაც მემკვიდრეობის მისაღებად იყო საჭირო. დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილშიც, ვინაიდან მოსარჩელეს აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ბ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეწყდა რუსთავის სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგენილი მფლობელობის უფლება მოპასუხეების – ს. და გ. დ-ების, ასევე მათი ოჯახის წევრების სასარგებლოდ, მოპასუხე ს., გ., გი., ქ., ბ. დ-ების, ს. კ-შვილისა და ნ. ი-ძის მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ.რუსთავში, ... 14-ში მდებარე უძრავი ნივთი და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს, ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ს., გ., გი., ქ., ბ. დ-ებმა, ს. კ-შვილმა და ნ. ი-ძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: საჯარო რეეს-

ტრის მონაცემების მიხედვით, ზ. ბ.-შვილის სახელზე ირიცხება მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული 209 კვ.მ სასარგებლო ფართისა და საერთო 545 კვ.მ მქონე საცხოვრებელი სახლი. რუსთავის სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. და ს. დ-ები მეუღლეებსა და შვილებთან ერთად ცნობილ იქნენ სადავო საცხოვრებელ ფართზე უფლებამოპოვებულად. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ, მიუხედავად სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადისა და იმ ფაქტისა, რომ მოსარჩელებს აღნიშნული უფლების რეგისტრაცია არ განუხორციელებიათ, მოპასუხებმა აღნიშნული გადაწყვეტილება დასრულეს, ვინაიდან დღემდე აგრძელებენ აღნიშნულ ფართში ცხოვრებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხსენებულ ფართზე მოპოვებული უფლების, როგორც სანივთო უფლების სავალდებულო რეგისტრაციას არც ამჟამად და არც 1996 წლისათვის მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელები სადავო ბინის მართლზომიერი მფლობელები არიან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის ახსნა-განმარტების საფუძველზე სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა ზ.ბ.-შვილის მითითება მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის, ნაქირავებ ბინაში ცხოვრების შესახებ და ჩათვალა, რომ აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგო არგუმენტი აპელანტს არ წარმოუდგენია. პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლით კანონმდებელი ადგენს მესაკუთრის უპირატესობას ნივთთან მიმართებაში და აღნიშნული ვრცელდება ნივთის როგორც არამართლზომიერ, ისე მართლზომიერ (კეთილსინდისიერ) მფლობელზეც, ხოლო დასაბუთებულ პრეტენციაში მოიაზრება მესაკუთრის განაცხადი, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, საკუთარი ნივთი გამოიყენოს პირადი საჭიროებისამებრ. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეები წარმოადგენენ სადავო ნივთის მართლზომიერ მფლობელებს, სასამართლოს მითითებით, მესაკუთრე ზ. ბ.-შვილი უფლებამოსილია, მოპასუხეებს შეუწყვიტოს მფლობელობის უფლება მის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ სახელზე. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე მუხლების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ზ.ბ.-შვილის საკუთრების უფლება სადავო ბინაზე დადგენილია საჯარო რეესტრის ამონაწერით, ხოლო მოპასუხეებს შეუწყდათ სადავო ნივთზე მფლობელობა. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ კანონიერია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ს., გ., გი., ქ., ზ. დ-ებმა, ს. კ-შილიმა და ნ. ი-მემ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ კასატორები ცნო სადავო ფართის მართლზომიერ მფლობელად მიუხედავად სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის დანაწესისა და იმისა, რომ რუსთავის სასამართლოს 1993 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე მოპოვებული უფლება მათ არც ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში და არც საჯარო რეესტრში აღურიცხავთ. სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლით გათვალისწინებულ მესაკუთრის დასაბუთებულ პრეტენზიად სასამართლომ არასწორად მიიჩნია ზ.ბ.-შვილის განმარტება მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის დასაბუთებლად სხვა მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ამდენად, სააპელაციო პალატამ კასატორებს სადავო ნივთზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 17 დეკემბრის განჩინებით დადგენილი მართლზომიერი მფლობელობა უკანონოდ შეუწყვეტა. რაც შეეხება ზ. ბ.-შვილის უპირატესობას სადავო ქონებასთან მიმართებით, მას სრული უფლება გააჩნია, გამოიყენოს სადავო ბინაზე თავისი საკუთრების უფლება კასატორთა მფლობელობის პარალელურად. მით უფრო, რომ სადავო უძრავი ქონება აშენებულია კასატორთა მიერ, ისინი წლების განმავლობაში უვლიან, აუმჯობესებენ მას, იხდიან ყველა სახის გადასახადს და სხვა საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნიათ.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. გ., ს., ბ., გი., ქ. დ-ები, ს. კ-შილი და ნ. ი-მე თანახმა არიან მოწინააღმდეგე მხარეს – ზ. ბ.-შვილს 2010 წლის 20 ივლისს გადაუხადონ 15000 აშშ დოლარი, ხოლო 6 თვის შემდეგ, 2011 წლის 20 იანვარს გადაუხადონ 2500 აშშ დოლარი.

2. ზ. ბ.-შვილი თანახმაა კასატორებისაგან მიიღოს აღნიშნული თანხა, კერძოდ, მიიღოს 15000 აშშ დოლარი 2010 წლის 20 ივლისს, ხოლო 2500 აშშ დოლარი – 2011 წლის 20 იანვარს.

3. მოწინააღმდეგე მხარე – ზ. ბ.-შვილი იღებს ვალდებულებას კასატორებს გადასცეს ერთი თვის ვადაში საქართველოს ნებისმიერ ბანკში მის სახელზე გახსნილი ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება მორიგების პირობებით დადგენილი თანხა – 17500 აშშ დოლარი.

4. კასატორები იღებენ ვალდებულებას 2011 წლის 20 იანვრამდე რუსთავის საქალაქო სასამართლოდან გამოიხმონ 12-7609 სამოქალაქო საქმე ზიანის ანაზღაურების შესახებ.

5. მორიგების პირობების შესრულების შემთხვევაში ზ. ბ.-შვილი თანახმაა უძრავი ქონება, მდებარე ქ.რუსთავში, ... 14-ში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრების უფლებით აღირიცხოს გ. და ს. დ-ების სახელზე.

6. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ მორიგების პირობები დაირღვევა კასატორების მიზეზით, თანახმა არიან, ნებაყოფლობით გამოათავისუფლონ სადავო უძრავი ქონება.

7. მოწინააღმდეგე მხარე – ზ. ბ-შვილი იღებს ვალდებულებას აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით უარი თქვას ნებისმიერ დავაზე და მორიგების პირობების შესრულების შემთხვევაში კასატორების მიმართ არ ექნება არავითარი პრეტენზია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს. კ-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2009 წლის 12 დეკემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება გ., ს. დ-ებს, ბ., გი., ქ. დ-ების კანონიერ წარმომადგენლებს – ს. კ-შვილს, ნ. ი-მე-სა და ზ. ბ-შვილს შორის შემდეგი პირობებით:

1. გ., ს. დ-ები, ბ., გი., ქ. დ-ების კანონიერი წარმომადგენლები – ს. კ-შვილი და ნ. ი-მე, ამავდროულად ს. კ-შვილი და ნ. ი-მე, როგორც მხარეები, თანახმა არიან, მოწინააღმდეგე მხარეს – ზ. ბ-შვილს 2010 წლის 20 ივლისს გადაუხადონ 15000 აშშ დოლარი, ხოლო 6 თვის შემდეგ, 2011 წლის 20 იანვარს, გადაუხადონ 2500 აშშ დოლარი.

2. ზ. ბ-შვილი თანახმაა, კასატორებისაგან მიიღოს აღნიშნული თანხა, კერძოდ, მიიღოს 15000 აშშ დოლარი 2010 წლის 20 ივლისს, ხოლო 2500 აშშ დოლარი – 2011 წლის 20 იანვარს.

3. მოწინააღმდეგე მხარე – ზ. ბ-შვილი იღებს ვალდებულებას, კასატორებს ერთი თვის ვადაში გადასცეს საქართველოს ნებისმიერ ბანკში მის სახელზე გახსნილი ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება მორიგების პირობებით დადგენილი თანხა – 17500 აშშ დოლარი.

4. კასატორები იღებენ ვალდებულებას 2011 წლის 20 იანვრამდე რუსთავის საქალაქო სასამართლოდან გამოიხმონ 12-7609 სამოქალაქო საქმე ზიანის ანაზღაურების შესახებ.

5. მორიგების პირობების შესრულების შემთხვევაში ზ. ბ-შვილი თანახმაა უძრავი ქონება, მდებარე ქ.რუსთავში, ... 14-ში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრების უფლებით აღირიცხოს გ. და ს. დ-ების სახელზე.

6. გ., ს. დ-ების, ბ., გი., ქ. დ-ების, ს. კ-შვილისა და ნ. ი-მის მიერ მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ისინი იღებენ ვალდებულებას ნებაყოფლობით გამოათავისუფლონ სადავო უძრავი ქონება.

7. მოწინააღმდეგე მხარე – ზ. ბ-შვილი იღებს ვალდებულებას აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით უარი თქვას ნებისმიერ დავაზე და მორიგების პირობების შესრულების შემთხვევაში კასატორების მიმართ არ ექნება არავითარი პრეტენზია.

შეწყდეს საქმის წარმოება ზ. ბ-შვილის სარჩელის გამო გ. და ს. დ-ების, გი., ქ., ბ. დ-ების, ს. კ-შვილისა და ნ. ი-მის მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვისა და საცხოვრებელი ბინის დაქირავებით მიყენებული ზიანის – 3000 ლარის ანაზღაურების შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები. განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

ს. კ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ 2009 წლის 12 დეკემბერს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-1130-1394-09

20 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილების შეტანა, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღებულად ცნობა, სავალდებულო წილის მესაკუთრედ ცნობა, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. და ნ. ქ-ვების კანონიერმა წარმომადგენელმა ი. ხ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ., ვ. და ი. ქ-ვეების, ქ.ბათუმის მერიის, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ლ-ის», მესამე პირების – ქ. ბათუმის ნოტარიუს ხ. კ-შვილის, ნ. ა-ძის, ნ. უ-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის დადგენის, მესაკუთრედ ცნობის, საჯარო რეესტრისა და სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის, ახალი ჩანაწერის შეტანის დავალდებულების, ადმინისტრაციული ხელშეკრულების, ამხანაგობის საერთო საქმიანობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1999 წლის 9 ივლისს გარდაიცვალა ქ. ბათუმში, ... ქ.110-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე ა. ქ-ვა, რომელსაც დარჩა სამი შვილი – ს., ვ. და თ. ქ-ვები. მამის გარდაცვალების შემდეგ ს. ქ-ვა ცხოვრობდა ა. ქ-ვას დანაშთ სახლში და ფაქტობრივი მფლობელობის გზით მიიღო მისი სამკვიდრო, თუმცა ნოტარიუსისათვის სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნით არ მიუმართავს. 2005 წლის ოქტომბერში ს. ქ-ვა გარდაიცვალა, რის შემდეგაც სამკვიდროს მიღებაზე პრეტენზია განაცხადა მისმა ძმამ – თ. ქ-ვამ და ნოტარიუსს წარუდგინა ანდერძი, რომლითაც ა. ქ-ვამ მთელი თავისი ქონება უანდერძა თ. ქ-ვას. 1997 წლამდე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ს. ქ-ვა, როგორც მძიმე ავადმყოფი, იმყოფებოდა მამის – ა. ქ-ვას კმაყოფაზე და ეკუთვნოდა ა. ქ-ვას სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილი, რაც ს. ქ-ვასა და მის შვილებს ფაქტობრივი მფლობელობის გზით მიღებული ჰქონდათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი 2006 წლის 3 ოქტომბერს ა. ქ-ვას დანაშთ ქონებაზე თ. ქ-ვას სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიღებისას თ. ქ-ვამ ნოტარიუსს დაუმალა, რომ ძმასა და ძმისშვილებს ერგებოდათ სავალდებულო წილი. 2006 წლის ნოემბრამდე თ. ქ-ვა ცხოვრობდა რუსეთში, ქ. ბათუმში გააჩნდა საცხოვრებელი ბინა ... ქ.148-ში. აღსანიშნავია, რომ ვ. ქ-ვა ცხოვრობდა სოფელ ...-ში ბებუის მიერ ნაანდერძე სახლში. ა. ქ-ვას დანაშთ სახლთმფლობელობაში ვ. და ი. ქ-ვები დარეგისტრირდნენ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის მოწმობისა და საქართველოს პასპორტის გაცემის წესის“ დარღვევით, სახლის საბინაო წიგნისა და ა. ქ-ვას გარდაცვალების მოწმობის საფუძველზე, რადგანაც ისინი არ წარმოადგენდნენ ამ სახლის მესაკუთრეებს და არც მესაკუთრის ნებართვა არ გააჩნდათ. სახლის ერთადერთი კანონიერი მფლობელი იყო ს. ქ-ვა, შესაბამისად, რეგისტრაციისათვის სავალდებულო იყო მისი თანხმობა. მათი რეგისტრაცია მიზნად ისახავდა პრივატიზაციისას სადავო არაპრივატიზებული ქონების მიღებას. ამხანაგობა „ლ-ი“ დაფუძნებულია ორი ნაკვეთის ... ქ.110-სა და 112-ში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა შენატანებით, რაც 112-ში მცხოვრები ხუთი ოჯახისათვის შეადგენს საცხოვრებელ 172 კვ.მ-სა და 470 კვ.მ მიწის ნაკვეთს. ხელშეკრულების თანახმად, მათ უნდა გადასცემოდათ 335 კვ.მ, საიდანაც დაახლოებით 100 კვ.მ ეკუთვნოდა ამ ფართის 25% წილის მესაკუთრე გ. ლ-მეს. ... ქუჩის 110-ში 465 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 67.3 კვ.მ საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ, თ. ქ-ვას უნდა გადასცემოდა 150 კვ.მ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ უკანასკნელმა თავის სახელზე რიცხული ქონება შეაფასა კაბა-

ლურ ფასად. თ. ქ-ვას წილი ამხანაგობის წევრებთან შეთანხმებით განზრახ აქვს შემცირებული, რათა დავის შემთხვევაში არ დაკარგოს ქონება, თუმცა გაცილებით მეტ ფართს იღებს, ვიდრე ხელშეკრულებაშია მითითებული. სავალდებულო წილზე კანონისმიერი მემკვიდრეობისა და მესაკუთრის უფლების დადგენა, პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ფართის პრივატიზება გამოიწვევს სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანას. შესაბამისად, ამხანაგობა „ლ-ის“ ხელშეკრულებაში თ. ქ-ვასა და ვ. ქ-ვას წილები აისახა ნაკლის მქონე ნივით, რის გამოც ხელშეკრულება თ. ქ-ვას ნაწილში ბათილად უნდა იქნას ცნობილი.

ი., ვ. და მ. ქ-ვეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი მოტივებით: ნ. და ი. ქ-ვები ა. ქ-ვას პირველი რიგის მემკვიდრეები არ არიან, რადგანაც ა. ქ-ვას გარდაცვალებისას ისინი დაბადებულები არ იყვნენ და სავალდებულო წილი არ ეკუთვნით. მართალია, ს. ქ-ვა ავადმყოფობდა, მაგრამ იგი შრომისუუნარო არ იყო. ს. ქ-ვა არ გარდაცვლილა დროის იმ მონაკვეთში, რაც ა. ქ-ვას სამკვიდროს მიღებისთვის იყო დადგენილი, შესაბამისად მემკვიდრეობის ტრანსმისიის გზით მიღება არ მომხდარა. ა. ქ-ვა გარდაიცვალა 1997 წლის 9 ივლისს, ხოლო ნ. ქ-ვა დაიბადა 1998 წლის 30 ოქტომბერს. მამკვიდრებლის გარდაცვალებისას მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ს. ქ-ვა, ანუ მოსარჩელეთა მამა ცოცხალი იყო და ა. ქ-ვას პირველი რიგის მემკვიდრეს წარმოადგენდა. მას ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა მამასთან, რის გამოც ისინი ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე. არც მისი გარდაცვალების შემდეგ ს. ქ-ვას ა. ქ-ვას სახლში არ უცხოვრია და მის დანაშთს ქონებას არ ფლობდა. ა. ქ-ვამ გამოხატა თავისი ნება, როდესაც მთელი თავისი ქონება უანდერძა თ. ქ-ვას. სასარჩელო მოთხოვნა სადავო სამკვიდროდან სავალდებულო წილის შესახებ ხანდაზმულია, ვინაიდან ა. ქ-ვას გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში მოსარჩელებს სამკვიდრო არც ფაქტობრივი ფლობით და არც ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით არ მიუღიათ.

ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ლ-მა“ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ამხანაგობა „ლ-ი“ დაფუძნებულია ორი ნაკვეთის – ... ქ.110-ისა და 112-ის მესაკუთრეთა შენატანებით, რის შესახებ ხელშეკრულება დაიდო საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე. ერთ-ერთი ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა თ. ქ-ვა. მასთან შესაბამისი ხელშეკრულების დადებისას მესამე პირთა ინტერესები არ დარღვეულა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. და ი. ქ-ვების კანონიერი წარმომადგენლის – ი. ხ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2003 წლის 9 იანვარს რეგისტრირებული, ვ. და ი. ქ-ვების ჩანაწერი, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი ქ.ბათუმის მერიასა და ვ. ქ-ვას შორის 2006 წლის 19 ივლისს ქ. ბათუმში, ... ქ110-ში მდებარე 22.6 კვ.მ-ის თაობაზე დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება, მოსარჩელეს უარი ეთქვა ა. ქ-ვას დანაშთის ქონების მემკვიდრეობით მიღებულად ცნობასა და ქ. ბათუმში, ... ქ110-ში მდებარე 22.6 კვ.მ ფართის მოსარგებლედ და პრივატიზაციის უფლების მქონედ ცნობაზე. ასევე, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ლ-ის» დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების თ. ქ-ვას ნაწილში ბათილად ცნობის, მორალური, მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და სანოტარო აქტის ბათილად ცნობის ნაწილში, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დავალდებულების მოთხოვნის ნაწილში ჩანაწერის შეტანის შესახებ საქმის წარმოება შეწყდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში – ი. და ვ. ქ-ვეებმა, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – ნ. და ი. ქ-ვების კანონიერმა წარმომადგენელმა ი. ხ-ძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 მაისის განჩინებით საქმიდან – ნ. და ი. ქ-ვების კანონიერ წარმომადგენელ ი. ხ-ძის სარჩელის გამო მ., ვ. და ი. ქ-ვების, ქ. ბათუმის მერიის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ლ-ის», ნოტარიუს ხ. კ-შვილის, ნ. ა-ძის, ნ. უ-ძის მიმართ ცალკე წარმოებად გამოეყო ი. და ნ. ქ-ვების კანონიერი წარმომადგენლის – ი. ხ-ძის მოთხოვნა ი. და ნ. ქ-ვების ა. ქ-ვას დანაშთს ქონებაზე ფაქტობრივი ფლობით სავალდებულო წილის მესაკუთრეებად ცნობის, თ. ქ-ვას სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ცვლილების შეტანის დავალდებულების, ქ.ბათუმში, ... ქუჩა 110-ში მდებარე 22.6 კვ.მ-ის კანონიერ მოსარგებლედ ს. ქ-ვას ცნობის, 2007 წლის 23 მარტის სანოტარო აქტით დადასტურებული ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ლ-ის» ხელშეკრულების თ. ქ-ვას ნაწილში და ვ. ქ-ვას მიერთების ნაწილში ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილების გატარების, 100 კვ.მ საცხოვრებელი და 30 კვ.მ კომერციული ფართის მოსარჩელისათვის გამოყოფის დავალდებულებისა და კომპენსაციის სახით ამხანაგობა «ლ-სა» და მ. ქ-ვასათვის 10000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ და ამ ნაწილში საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. და ნ. ქ-ვების კანონიერი წარმომადგენლის – ი. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამოქალაქო დავის ნაწილში გაუქმდა, ი. და ნ. ქ-ვების კანონიერ წარმომადგენელ ი. ხ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა ქ. ბათუმში, ... ქ110-ში მდებარე, ა. ქ-ვას დანაშთის ქონების ფაქტობრივი მფლობელობით მიღებულად ჩათვლისა და სავალდებულო წილის მესაკუთრედ ცნო-

ბის, ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ლ-ის» დაფუძნების თაობაზე ხელშეკრულების (თ. და ვ. ქ-ვების ნაწილში) ნაწილობრივ ბათილად ცნობის, მატერიალური ზიანის ანაზღაურების, თ. ქ-ვას სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილებების შეტანისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულების ნაწილში სარეგისტრაციო ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1997 წლის 9 ივლისს გარდაიცვალა ა. ქ-ვა, რომელიც წარმოადგენდა ქ.ბათუმში, ... ქ.110-ში მდებარე 67,3 კვ.მ შენობა-ნაგებობების მესაკუთრეს. მას დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე – ვ., თ. და ს. ქ-ვები. 1996 წლის 27 სექტემბერს შედგენილი სანოტარო ანდერძით ა. ქ-ვამ მთელი თავისი ქონება უანდერძა თ. ქ-ვას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ქ-ვას სამკვიდროს გახსნის დღიდან ფაქტობრივი ფლობით მიღებულად ჩაეთვალა მამის – ა. ქ-ვას მიერ ანდერძში მითითებული ქ.ბათუმში, ... 110-ში მდებარე სამკვიდრო, ქ.ბათუმის ნოტარიუს ბ. ვ-ვილს დაევალა თ. ქ-ვას სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. 2006 წლის 3 ოქტომბერს ნოტარიუსის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე თ. ქ-ვას სახელზე გაცადა ანდერძისმიერი სამემკვიდრეო მოწმობა. ვ. და ს. ქ-ვას მამის სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის მისაღებად ნოტარიუსისთვის არ მიუმართავთ. ა. ქ-ვას გარდაცვალების შემდეგ ს. ქ-ვამ არარეგისტრირებულად იქორწინა ი. ხ-ძესთან, რომელთანაც 1998 წლის 30 ოქტომბერს შეეძინა შვილი – ნ. ქ-ვა, ხოლო 2002 წლის 10 ოქტომბერს – ი. ქ-ვა. 2005 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა ს. ქ-ვა, ხოლო 2008 წლის 4 აპრილს – თ. ქ-ვა. 2007 წლის 14 ნოემბრის ანდერძით თ. ქ-ვამ ქ.ბათუმში, ... ქ.110-ში მდებარე მთელი თავისი ქონება უანდერძა ძმისშვილს – მ. ქ-ვას. 2007 წლის 23 მარტს ქ.ბათუმში დაფუძნდა ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ლ-ი“, რომლის ერთ-ერთ წევრს წარმოადგენდა თ. ქ-ვა. ამხანაგობის მიზანი იყო ქ.ბათუმში, ... ქ.110-12-ში მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა. თ. ქ-ვამ ამხანაგობაში შენატანი განახორციელა ანდერძისმიერი მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონებით – ქ.ბათუმში, ... ქუჩა 110-ში მდებარე 465 კვ.მ საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთითა და 67,3 კვ.მ შენობა-ნაგებობით. სანაცვლოდ მას უნდა გადასცემოდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულზე მდებარე 80 კვ.მ ბინა და მეორე სართულზე არსებული 70 კვ.მ. ამავდროულად ამხანაგობაში გაწევრიანდნენ ასევე ვ. ქ-ვა და მისი მეუღლე – ი. ქ-ვა. ვ. ქ-ვას შენატანს ამხანაგობაში შეადგენს 37500 აშშ დოლარი, ი. ქ-ვას შენატანს კი 7500 აშშ დოლარი. საქმეში წარმოდგენილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მონაცემებით ს. ქ-ვა 1990 წლის 8 მაისის მდგომარეობით რეგისტრირებულია ქ.ბათუმში, ... 110-ში. იმავე სამსახურის 2006 წლის 21 ნოემბრის 61001/8-5678 წერილის თანახმად, 1957 წლის 14 სექტემბერს დაბადებული ს. ქ-ვა 2001 წლის 31 იანვარს დარეგისტრირდა მისამართზე – ქ.ბათუმში, ... ქუჩა 110, სადაც 2003 წლის 9 იანვრიდან რეგისტრირებული იყვნენ ი. და ვ. ქ-ვები. ი. და ნ. ქ-ვების წარმომადგენელ ი. ხ-ძის რწმუნებულის – მ. ვ-ძის განმარტების შესაბამისად, ა. ქ-ვას მიერ ანდერძით სამკვიდრო ქონების თ. ქ-ვასათვის დატოვების შესახებ ს. ქ-ვამ იცოდა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მხარეთა მოსაზრება, რომ მოცემული დავა წარმოიშვა რა ძველი სამოქალაქო კოდექსის მოქმედების დროს, უნდა გადაწყდეს 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე. პალატამ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოცემული დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნას ახალი სამოქალაქო სამართლის ნორმები, რადგან ა. ქ-ვა გარდაცვლილია 1997 წლის 9 ივლისს. სამოქალაქო კოდექსი ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბერს. სამკვიდროს მიღებისთვის დადგენილი ექვსთვიანი ვადა იჭურებოდა 1998 წლის 9 იანვარს. ამდენად, მართალია, სადავო ურთიერთობა წარმოიშვა 1997 წლის 25 ნოემბრამდე, მაგრამ ამ ურთიერთობათა მოდიფიცირება მოხდა 25 ნოემბრის შემდეგ. პალატის მითითებით, ახალი სამოქალაქო კოდექსის 1371-ე-1382-ე მუხლები განსხვავებულად არეგულირებს სავალდებულო წილის მიღების წესს, ვიდრე ძველი სამოქალაქო კოდექსის 547-ე მუხლი. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე-1372-ე მუხლების, 1421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალიზიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ს. ქ-ვას სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშვა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, თუმცა მხარეები არ დავობენ, რომ ასეთი განაცხადი არც ექვსთვიან ვადაში და არც თავის სიცოცხლეში მას არ გაუკეთებია, შესაბამისად, ასეთი მოთხოვნის უფლება მის მემკვიდრეებზე ვერ გადავიდოდა. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ანდერძით მემკვიდრეობა, რაც გამორიცხავს კანონისმიერ მემკვიდრეობის წარმოშობას და ს. ქ-ვას შეეძლო მხოლოდ სავალდებულო წილის მოთხოვნა. სასამართლომ დაადგინა, რომ ს. ქ-ვამ სამკვიდროს გახსნის დღიდან იცოდა ანდერძის არსებობის შესახებ, რაც აპელანტის წარმომადგენელმა აღიარა და განმარტა, რომ „შვილებისათვის ცნობილი იყო მამის ანდერძის თაობაზე, მაგრამ ს. მას არ მიიჩნევდა გაუგებრობის საბაზად, რადგან ა. ქ-ვა ხშირად ამბობდა, რომ მისი დანატოვარის სწორად გაძლოა შეეძლო თ., თუმც ვარაუდობდა, რომ იგი ეკუთვნოდა ს., ანუ ანდერძი ძმებს შორის კონფლიქტის მიზეზი არ გახდებოდა, რადგან იგი იყო პრავმატული მოსაზრებით გაკეთებული». პალატამ ჩათვალა, რომ ს. ქ-ვამ სავალდებულო წილის მიღებისათვის დადგენილი ექვსთვიანი ვადა გაუშვა, რადგან ს. ქ-ვამ იცოდა ანდერძის არსებობა, აღნიშნული ანდერძის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მთელი ქონების, მათ შორის, სავალდებულო წილის მესაკუთრედ ფაქტობრივი ფლობის გათვალისწინებით აღიარებულ იქნა თ. ქ-ვა. სასამართლომ არსებითი მნიშვნელობის მქონედ არ ჩათვალა ის გარემოება, ფაქტობრივად დაეუფლა თუ არა ს. ქ-ვა სავალდებულო

წილს და განმარტა, რომ ს. ქ-ვას სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში სავალდებულო წილის გამოყოფა არ მოუთხოვია, შესაბამისად ასეთის მოთხოვნის უფლება მის მემკვიდრეებზე – ი. და ნ. ქ-ვებზე ვერ გადავა. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ ს. ქ-ვა სადავო სავალდებულო წილს არც ფაქტობრივად დაუფლებია, ვინაიდან აპელანტის მიერ თავისი მოთხოვნის დასადასტურებლად მითითებული დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობები, ცნობები რეგისტრაციის თაობაზე მითითებული ფაქტის დასადასტურებლად საკმარისი არ არის. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სადავო ქონების ფაქტობრივად ფლობის დასადასტურებლად მხარემ უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად დამტკიცდებოდა ს. ქ-ვას მიერ ა. ქ-ვას დანაშთი ქონების მართვას და მის ნივთებზე ფაქტობრივი მფლობელობის განხორციელებას. ამ გარემოებათა დადასტურება კი შეუძლებელია ა. ქ-ვას რომელიმე ნივთის სარგებლობის დადგენით, მისი გაქირავებით, სხვაზე გადაცემით, მისი მოვლისათვის გაწეული ხარჯებით, კომუნალური გადასახადების გადახდით, მოწმეთა განმარტებებითა და სხვა მტკიცებულებებით. პალატის მითითებით, აპელანტს ასეთი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. მან ვეღარ დაამტკიცა მის მიერ სარჩელსა და განმარტებაში მითითებული გარემოებები, რომ ს. ქ-ვას ჰქონდა მალაზია და აქირავებდა ფართს. სააპელაციო სასამართლომ 1997 წლის ივლისის (სამკვიდროს გახსნის) მდგომარეობით სადავო სახლში ს. ქ-ვას რეგისტრაციის ფაქტი უტყუარად დადგენილად არ ჩათვალა და აღნიშნა, რომ, მართალია, საქმეში არსებობს 1990 წლის მონაცემები ს. ქ-ვას სადავო ბინაში რეგისტრაციის შესახებ, თუმცა ასევე წარმოდგენილია სამოქალაქო რეესტრის ბათუმის სამსახურის ცნობა, რომ ს. ქ-ვამ სადავო მისამართზე რეგისტრაცია გაიარა 2001 წლის 21 იანვარს. ამდენად, სასამართლომ ივარაუდა, რომ 1990 წლიდან 2001 წლამდე ს. ქ-ვა ამოწერილი იყო ა. ქ-ვას ბინიდან და შემდეგ ხელახლა დარეგისტრირდა. სამკვიდროს გახსნის დროისათვის ს. ქ-ვას რეგისტრაციის შესახებ უტყუარ მტკიცებულებად პალატამ არც ბავშვების დაბადების მოწმობები ჩათვალა, კერძოდ, დაბადების მოწმობის თანახმად, ნ. ქ-ვა დაიბადა 1998 წლის 30 ოქტომბერს და რეგისტრაცია გაიარა ქ.ბათუმში, ... 135-ში. ექიმის მიერ გაცემული ცნობების მიხედვით, ნ. და ი. ქ-ვები დაბადებიდან იმყოფებიან აღრიცხვაზე შპს «საოჯახო მედიცინის რეგიონალურ ცენტრში» მისამართზე – ქ.ბათუმი, ... ქ.110. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ცნობები ვერ იძლევა საფუძველს იმის დასადგენად, რომ ა. ქ-ვას გარდაცვალების დროს 1997 წლის 9 ივლისს, ს. ქ-ვა ნამდვილად იყო რეგისტრირებული დასახელებულ მისამართზე, რადგან ს. ქ-ვას შვილი ნ. ქ-ვა დაიბადა 1998 წლის 30 ოქტომბერს, ხოლო ი. ქ-ვა – 2002 წლის 10 ოქტომბერს. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოპასუხე მხარე კატეგორიულად უარყოფს სამკვიდროს გახსნის დროისათვის ს. ქ-ვას სადავო სახლში ცხოვრების ფაქტს და ადასტურებს, რომ ს. ქ-ვა სადავო სახლში გადავიდა 2003 წლიდან, თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში, თ. ქ-ვას თანხმობით, იმის გამო, რომ მას სხვა საცხოვრებელი ადარ გააჩნდა. პალატამ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. მოცემული დავის ძველი სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება, ვინაიდან 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსის 547-ე მუხლის სავალდებულო წილის მიღების უფლებას ანიჭებდა სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვან და არაშრომისუნარიან შვილებს, რა შინაარსისაც არ უნდა ყოფილიყო ანდერძი. პალატამ მიიჩნია, რომ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ს. ქ-ვას შრომისუუნარობას არ ადასტურებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ.ბათუმის სამობილიზაციო შტაბის უფროსის მიერ გაცემული ცნობა 1976 წლის 16 მაისიდან, ავადმყოფობის გამო, ს. ქ-ვას თადარიგში ჩარიცხვის შესახებ, სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის ბრძანების 185-ე მუხლის 36^ბ პუნქტი და ამონაწერი ს. ქ-ვას სამედიცინო ბარათიდან, ვინაიდან აღნიშნულისათვის საჭირო იყო სპეციალური სამედიცინო კომისიის დასკვნა და შრომისუუნარობის კატეგორიის განსაზღვრა, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი არ არის. სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას ი. და ნ. ქ-ვების მიერ სადავო სამკვიდროს ტრანსმისიის წესით მიღების თაობაზე, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1430-ე მუხლის შინაარსის მიხედვით, მემკვიდრეობით ტრანსმისია იარსებებდა, თუ ს. ქ-ვა გარდაიცვლებოდა ა. ქ-ვას სამკვიდროს გახსნის შემდეგ და კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიღებას ვერ მოასწრებდა, განსახილველ შემთხვევაში კი დადგენილია, რომ ა. ქ-ვა გარდაიცვალა 1997 წლის 9 ივლისს და გაიხსნა მისი სამკვიდრო, ს. ქ-ვას სამკვიდრო ქონება უნდა მიეღო ამ მომენტიდან 6 თვის განმავლობაში, როცა ს. ქ-ვა ცოცხალი იყო. პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2007 წლის 23 მარტის ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ლ-ის“ დაფუძნების ხელშეკრულების თ. ქ-ვას ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველებიდან, რადგან მოსარჩელე თვლის, რომ ის ქონება, რომლითაც თ. ქ-ვა შევიდა ამხანაგობა „ლ-ის“ წევრად, არ წარმოადგენდა მის საკუთრებას და იგი ს. ქ-ვას მემკვიდრეობით მიიღეს მოსარჩელეებმა, შესაბამისად, სავალდებულო წილზე კანონისმიერი მემკვიდრეობისა და მესაკუთრის უფლების აღდგენის, პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ფართის მათ მიერ პრივატიზება გამოიწვევს სამკვიდრო მოწმობაში და საჯარო რეესტრში ჩანაწერებში ცვლილებების შეტანას. შესაბამისად, ამხანაგობა „ლ-ის“ ხელშეკრულებაში თ. ქ-ვა წილობრივად შევიდა ნაკლიანი ნივთით. საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ 2007 წლის 23 მარტს დაფუძნდა ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ლ-ი“, ამხანაგობის წევრები სხვებთან ერთად იყვნენ თ., ვ. და ი. ქ-ვები. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 930-ე, 932-ე მუხლებით და მიუთითა, რომ ამხანაგობა „ლ-ის“ ხელშეკ-

რულება დაიდო სანოტარო წესით, მისი მიზანია ამხანაგობის წევრების მიერ მრავალსართულიანი სახლის აშენება, რის გამოც სხვა წევრებთან ერთად თავიანთი წილობრივი შენატანებით ამხანაგობის საერთო საქმიანობას შეუერთდნენ თ., ი. და ვ. ქ-ვები. ხელშეკრულების დადებისას სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თ. ქ-ვამ წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომ უძრავი ქონება, რომელიც მის შენატანს წარმოადგენდა, მისი საკუთრება იყო. ამდენად, პალატის მოსაზრებით, ხელშეკრულების დადებისას თ. ქ-ვა წარმოადგენდა რა ქ.ბათუმში, ... ქ.110-ში მდებარე საერთო საკუთრების 465 კვ.მ-სა და 67 კვ.მ შენობა-ნაგებობების მესაკუთრეს, მას, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილით, უფლება ჰქონდა, საერთო საქმიანობაში შესატანი შეეტანა მისი კუთვნილი უძრავი ქონებით, ხოლო ხელშეკრულების დადების შემდეგ ქონება გადავიდა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობა „ლ-სა“ და თ. ქ-ვას შორის დადებული ხელშეკრულება საერთო საქმიანობის შესახებ არ ეწინააღმდეგება კანონს და იგი არ შეიცავს გარიგების ბათილობისათვის დადგენილ საფუძველებს. დასახელებული ქონება ხელშეკრულების დადების მომენტიდან თანხა მათ საკუთრებას წარმოადგენს და აღნიშნული თანხის ამხანაგობაში შენატანით კანონი არ დარღვეულა. პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა 100 კვ.მ საცხოვრებელი, კომერციული 30 კვ.მ-ის მოსარჩელეთათვის გამოყოფის დავალდებულებისა და კომპენსაციის სახით ამხანაგობა „ლ-სა“ და მ. ქ-ვასათვის 10 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილების შესაბამისად, მხარეთა შორის ვალდებულება კანონით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველით არ წარმოშობილა. პალატამ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული კომპენსაციის ანაზღაურება უკავშირდება ქ.ბათუმში, ... ქ.110-ში მდებარე უძრავი ქონების დემონტაჟს, აღნიშნული ქონების დანგრევით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის შესახებ კი სასამართლო იმსჯელებდა, თუ დადგინდებოდა სახლის უკანონოდ დანგრევის ფაქტი. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა თ. ქ-ვა და იგი უფლებამოსილი იყო, გაეყიდა, გაეჩუქებინა, დაენგრია ან სხვაგვარი ზემოქმედება მოეხდინა მასზე. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტის მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურის სარეგისტრაციო ჩანაწერში ცვლილებების შეტანის დავალდებულების თაობაზე გამომდინარეობს ძირითადი მოთხოვნებიდან, რაზედაც მხარეს უარი ეთქვა, შესაბამისად, მოთხოვნის ეს ნაწილიც უსაფუძვლოა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ი. და ნ. ქ-ვების კანონიერმა წარმომადგენელმა ი. ბ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: ს. ქ-ვამ მამის გარდაცვალების მომენტიდან ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. ქ-ვას ქონების მესაკუთრედ არასწორად იქნა აღიარებული თ. ქ-ვა. იგი მამის დაკრძალვის დღიდან 2006 წლის ბოლომდე საქართველოში არ იმყოფებოდა. ს. ქ-ვა თ. ქ-ვას მიერ სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებით პრეტენზიას ვერ განაცხადებდა, რადგან მის სიცოცხლეში თ. ქ-ვა სადავო სამკვიდროს არ დაუფლებია, ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას იგი ცოცხალი აღარ იყო. სასამართლომ ს. ქ-ვასა და მისი შვილების მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის თვალსაზრისით არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები – სამედიცინო ცნობები, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შედგენილი პირადი ბარათი 1987 წლიდან გარდაცვალებამდე ს. ქ-ვას სადავო სახლის კომუნალური ნაწილის 22,6 კვ.მ-ში ცხოვრების ფაქტის შესახებ. ნ. ქ-ვას დაბადების მოწმობაში მითითებული მისამართი – ... 135, ს. ქ-ვას პასპორტებში მითითებული საცხოვრებელი ადგილის მონაცემები, ასევე ის გარემოება, რომ ს. ქ-ვას გარდაცვალების შემდეგ მისი შვილები პირადი, საოჯახო ნივთებისა და ტანსაცმლის გარეშე გამოსახლდნენ, რის გამოც თავდაპირველი სარჩელით მხარე მოითხოვდა მათ საცხოვრებელ სახლში შესახლებასაც და აღნიშნულზე მოპასუხეს საწინააღმდეგო არგუმენტი არ გამოუთქვამს. სასამართლო გასცდა მხარის მოთხოვნის ფარგლებს და ი.ხაბაძეს უარი უთხრა მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე, რაც მას არ მოუთხოვია. პალატამ კასატორის პროტესტის მიუხედავად, თ. ქ-ვას უფლებამონაცვლე მ. ქ-ვას ნაცვლად განმარტების უფლება არასწორად მისცა დედამისს – ი. ქ-ვას, რომელიც მოცემულ დავაში მხარეს არ წარმოადგენდა, ამასთან, ს. ქ-ვას შრომისუუნარობის სამტკიცებლად საკმარის საფუძველად არასწორად არ იქნა მიჩნეული მისი ავადმყოფობის გამო სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლებისა და თადარიგში ჩარიცხვის ფაქტები, ასევე, ის გარემოება, რომ მემკვიდრის შრომისუუნარობისა და მემკვიდრეობის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს შრომისუუნარობის კატეგორიის განსაზღვრა არ სჭირდება. დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა ახალი სამოქალაქო კოდექსით და არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 1507-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. მ., ი. და ვ. ქ-ვები იღებენ ვალდებულებას, 2010 წლის 1 სექტემბრამდე ი. და ნ. ქ-ვებს შეუძინონ ორთახიანი ბინა არანაკლებ 60 კვ. მეტრისა, საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში ქ.ბათუმში, ... ქ.110-ის მიმდებარედ 200 კვადრატული მეტრის ფარგლებში (რადიუსით).

2. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მ., ი. და ვ. ქ-ვები ი. და ნ. ქ-ვებს გადაუხდიან აუდიტის მიერ დადგენილ საცხოვრებლად ვარგისი 60 კვ.მ-ის ღირებულებას.
3. მ., ი. და ვ. ქ-ვები ბინას გააფორმებენ ი. და ნ. ქ-ვების საკუთრებად.
4. ამ საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდება მხოლოდ მორიგების პირობების შესრულების შემდეგ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. მ., ი. და ვ. ქ-ვები იღებენ ვალდებულებას 2010 წლის 1 სექტემბრამდე ი. და ნ. ქ-ვებს შეუძინონ ოროთახიანი ბინა არანაკლებ 60 კვ. მეტრისა, საცხოვრებლად ვარგისი მდგომარეობაში, ქ.ბათუმში, ... ქ'10-ის მიმდებარედ 200 კვადრატული მეტრის ფარგლებში (რადიუსით).
2. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მ., ი. და ვ. ქ-ვები ი. და ნ. ქ-ვებს გადაუხდიან აუდიტის მიერ დადგენილ, საცხოვრებლად ვარგისი 60 კვ.მ-ის ღირებულებას.
3. მორიგების პირველი პირობის შესაბამისად შემენილი ბინა საკუთრებად გადაეცემათ ი. და ნ. ქ-ვებს.
4. ამ საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდეს მხოლოდ მორიგების პირობების შესრულების შემდეგ.

შეწყდეს საქმის წარმოება ი. და ნ. ქ-ვების კანონიერი წარმომადგენლის ი. ხ-ძის სარჩელის გამო თ., ვ. და ი. ქ-ვების, ქ.ბათუმის მერიის, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ლ-ის», მესამე პირების – ქ.ბათუმის ნოტარიუს ხ.კ-შვილის, ნ.ა-ძის, ნ.უ-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ გარიგების ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილების შეტანის, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღებულად ცნობის, სავალდებულო წილის მესაკუთრედ ცნობისა და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
 შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
 ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
 ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. უ-ევმა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ა-შვილის მიმართ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქ.თბილისში, ... ქ.14-ში მდებარე სახლთმფლობელობის 4/7 საკუთრების უფლებით ირიცხება მოპასუხის სახელზე. მოსარჩელე წლების განმავლობაში ცხოვრობს აღნიშნული ფართის ნაწილში, რეგისტრირებულია იქ და საკუთარი სახელით იხდის კომუნალურ გადასახადებს. მან არა ერთხელ უშედეგოდ მიმართა თ.უ-ევს სადგომის სანაცვლოდ კომპენსაციის გადახდის შემდეგ სადავო უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მხარეები არიან ნათესავეები, შესაბამისად, ს.უ-ევი სადავო სახლში ცხოვრობდა არა რაიმე სახის ნასყიდობის ხელშეკრულების, არამედ მესაკუთრესთან ნათესაური კავშირის საფუძველზე. ამდენად – «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის გამოყენების საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ს. უ-ევის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ს. უ-ევმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს. უ-ევის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ს. უ-ევის სარჩელი დაკმაყოფილდა – იგი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ... შესახვევ 14/17-ში მდებარე თ. ა-შვილის კუთვნილი ფართიდან 41,5 კვ.მ-ს მესაკუთრედ თ. ა-შვილისათვის 7262,50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის სანაცვლოდ შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: ქ.თბილისში, ... შესახვევის 14ა/17-ში მდებარე უძრავი ქონების 4/7 წარმოადგენს მოპასუხე თ. ა-შვილის საკუთრებას. სადავო უძრავი ნივთის ფლობის წესზე მესაკუთრეებს შორის არსებობს ფაქტობრივი შეთანხმება და სადავო არ არის, რომ ის ფართი, რომელზეც მოსარჩელე მხარე ითხოვს საკუთრების უფლების აღიარებას, სწორედ მოპასუხის კუთვნილ წილში შედის. სადავო უძრავი ქონების მისამართი არაერთხელ შეიცვალა, საბოლოოდ დადგინდა, რომ ... შესახვევი 14ა/17, ... შეს. 14ა, ... პირველი შეს. 14ა/17, ... 14ა და ... 17 ერთი და იგივე მისამართია. გადაწყვეტილებით დადგენილია და სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ არის გამხდარი ნათესაური კავშირი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, კერძოდ, მოსარჩელე ს. უ-ევის პაპა (მამამისი – სპ. უ-ევის მამა) – სა. უ-ევი სახლის პირვანდელი მესაკუთრის – სო. უ-ევის შვილია. სო. უ-ევისაგან ქონება ანდერძით მიიღო მისმა შვილიშვილმა შ. უ-ევმა (მოსარჩელის მამის ძმამ), რომელმაც, თავის მხრივ, იგი მემკვიდრეობით გადასცა დის შვილს – თ. ა-შვილს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელესა და სახლის ადრინდელ თუ ამჟამინდელ მესაკუთრეს შორის ნათესაური კავშირი თავისთავად არ გამორიცხავს მათ, როგორც მესაკუთრესა და მოსარგებლეს, შორის ურთიერთობის (გარიგების) არსებობას. პალატის მითითებით, მოსარჩელე ს. სპ-ის ძე უ-ევი 1976 წლიდან დღემდე რეგისტრირებულია ქ.თბილისში, ... 4ა-ში (ანუ ამჟამინდელ ... შესახვევი 14ა/17-ში), იგივე რეგისტრაციის ადგილია აღნიშნული 2000 წელს გაცემულ მოწმობაშიც, ხოლო მამამისი სპ. უ-ევი ამავე მისამართზეა ჩაწერილი 1952 წლიდან. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ 41,5 კვ.მ-ს ფლობის ფაქტი სადავო არ არის, არამედ მხარეთა დავას იწვევს აღნიშნული ფართის ფლობის საფუძველი. პალატამ აღნიშნა, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები უ-ევის გვარზე ინიციალის მითითების გარეშე, ასევე, ს. უ-ევის სახელზეც. ამ უკანასკნელი ქვითრებით ძირითადად დასტურდება კომუნალური გადასახადების 1984 წელს გადახდა. სასამართლოს მითითებით, საქმეში ასევე წარმოდგენილია 1974 წლის 1 იანვარს მოსარჩელის მამას – «მოზინადრე» სპ. უ-ევსა და რაიონის დასუფთავების სამსახურს შორის გაფორმებული ხელშეკრულება დასუფთავებაზე (საოჯახო ნარჩენების გატანაზე). პალატამ უდავო გარემოებად მიიჩნია, რომ მოსარჩელე და მამამისი – სპ. უ-ევი რეალურად ცხოვრობდნენ სადავო უძრავ ქონებაში. სასამართლომ ჩათვალა, რომ ს. უ-ევი წარმოადგენს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე მოსარგებლეს, რომელიც რეგისტრირებულია სადავო საცხოვრებელ სადგომში და იხდის კომუნალურ გადასახადებს. გადაწყვეტილებით დადგენილია და სააპელაციო საჩივრით სადავო არ არის, რომ სახლის მესაკუთრე შ. უ-ევი სომხეთში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად და მხოლოდ 80-იან წლებში დაბრუნდა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სადავო ქონებაში ცხოვრობდნენ მოსარჩელე და მამამისი. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ, 1967 და 1981 წლების ხელწერილებზე, რომლებიც ადასტურებს, რომ სპ. უ-ევმა (ანუ მოსარჩელის მამამ) გადაუხადა თანხა ხ-შვილსა და

გ-ოვს. ხელწერილებში თანხის მიმღები პირები მითითებული არიან მოსარგებლებად („ასტუპნოით“, „აც-ტუპნოით“ მცხოვრებ პირებად). სასამართლო დაეთანხმა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მსჯელობას, რომ არც სპ. უ-ევი და არც მოსარჩელის ბაბუა ს.ა. უ-ევი (ვისი სახელობის ბეჭედიც არის ხელწერილებზე დასმული), არ წარმოადგენდნენ სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეებს და არამესაკუთრის მიერ მოსარგებლებისათვის თანხის გადახდის ფაქტი მოსარჩელისათვის მოსარგებლის სტატუსს თავისთავად არ წარმოშობს. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოსარგებლობა დასტურდება სადავო ფართში მისი ჩაწერთა და კომუნალური გადასახადების გადახდით. სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნით დადასტურებულად ჩათვალა, რომ სადავო საცხოვრებელი 41,5 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულებაა 29 050 აშშ დოლარი. აღნიშნული შეფასება არ არის სადავო. პალატამ იხელმძღვანელა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის «ა» ქვეპუნქტით, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით და სადავო ფართში მოსარჩელის რეგისტრაციისა და მის მიერ კომუნალური გადასახადების გადახდის ფაქტები დადგენილად ჩათვალა. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ კანონმდებელი ითვალისწინებს მოსარგებლის მესაკუთრედ ცნობას თანხის გადახდის სანაცვლოდ, თუ მესაკუთრე არ იყენებს უფლებას – თავად გადაუხადოს კომპენსაცია, მოცემულ შემთხვევაში კი მესაკუთრეს აღნიშნული უფლებით არ უსარგებლია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. ა-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ ს.უ-ევი «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სადავო ფართის მოსარგებლედ არასწორად ცნო და არ დაადგინა, რეალურად არსებობდა თუ არა სადავო ფართზე უფლების დათმობის გარიგება. სასამართლოს სადავო ურთიერთობა ზემოხსენებული კანონის საფუძველზე არ უნდა მოეწესრიგებინა, ვინაიდან მხარეები წარმოადგენენ ოჯახის წევრებს და მათ შორის საცხოვრებელ სადგომთან დაკავშირებით არანაირი გარიგება დადებულია. მოცემული დავა უნდა გადაწყვეტილიყო სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის საფუძველზე, რომელიც არეგულირებდა სპ. და შ. უ-ევეებს შორის რეალურად არსებულ ქონებრივ ურთიერთობას. ამავე კოდექსის 554-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მამა იმავე რიგის კანონისმიერი მემკვიდრე იყო, რაც მოპასუხის მამკვიდრებელი – შ. უ-ევი. სპ. უ-ევი დაბადებიდან ცხოვრობდა სადავო ფართში და 1962 წლამდე სრული უფლება გააჩნდა, პრეტენზია განეცხადებინა მასზე, რაც ამ უკანასკნელს არ განუხორციელებია. სასამართლოს მიერ ს.უ-ევის სადავო ფართის მოსარგებლედ მიჩნევის შემთხვევაშიც მისი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა, ვინაიდან მხარემ მიატოვა სადავო ფართი. ამდენად, სააპელაციო პალატას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 29 აპრილის 133/678-01 გადაწყვეტილებით და სადავო შემთხვევაზე გავერცელებინა სამოქალაქო კოდექსის 156-ე მუხლის დანაწესი. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსრ საბინაო კოდექსის 62-ე-69-ე მუხლები და დაედგინა, რომ მხარეები იყვნენ ოჯახის წევრები, მათ გააჩნდათ სადავო საცხოვრებელი ფართით ფლობის უფლება და მათ შორის არსებული ურთიერთობა მითითებულ ქონებასთან დაკავშირებით “საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით არ უნდა მოწესრიგდეს. სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა ზემოხსენებული კანონი, როდესაც სარჩელი დააკმაყოფილა მოსარჩელის მხრიდან სადავო ფართით სარგებლობისდ ფაქტის დადგენის საფუძველზე, საცხოვრებელი სადგომის დათმობაზე გარიგების არარსებობის პირობებში. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტი, როდესაც წარმოებაში მიიღო და განიხილა სრულიად დაუსაბუთებელი სააპელაციო საჩივარი. პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ შ. უ-ევმა სო. უ-ევისაგან ქონება ანდერძით მიიღო. რეალურად, აღნიშნული ქონება შ.უ-ევმა მიიღო კანონისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე. მითითებული გარემოება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შ.უ-ევის მამა და მოსარჩელის მამა – სპ. უ-ევი იმავე რიგის მემკვიდრე იყო და შეეძლო, მიეღო სადავო სამკვიდრო საკუთრების უფლებით. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე სადავო ფართში დარეგისტრირდა 1976 წლიდან, ხოლო მამამისი – 1952 წლიდან. პალატამ უგულვებელყო მხარეთა განმარტებები, რომ ს.უ-ევი და მამამისი სადავო ფართში ცხოვრობდნენ დაბადებიდან. გასაჩივრებული განჩინებით არასწორად დადგინდა, რომ ს.უ-ევის დაკავებული ჰქონდა სადავო სახლთმფლობელობიდან 41,5 კვ.მ. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ აღნიშნული ფართის ნაწილი 1993 წელს ხანძრის დროს განადგურდა, ხოლო დარჩენილი ნაწილის ფლობა მოსარჩელემ მიატოვა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. კასატორი თ. ა-შვილი 2011 წლის 1 თებერვლამდე გადაუხდის ს. უ-ევს 21788 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს;

2. თ. ა-შვილი თანახმაა, რომ მორიგების პირობების საფუძველზე მის მიერ ნაკისრი 21788 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის ვალდებულება აღრიცხოს საჯარო რეესტრში, როგორც სადავო ქონების (თ. ა-შვილის კუთვნილი ქონების ნაწილი – 41 კვ.მ, მდებარე ქ.თბილისში, ... ქ.14ა/17-ში, საკადასტრო კოდი 101.17.01.138.021) მესაკუთრის მიერ ნაკისრი უძრავი ქონების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება და ეს ჩანაწერი უნდა გაუქმდეს თ. ა-შვილის მიერ 21788 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის

ს. უ-ევისათვის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის ან ს. უ-ევის სადავო ქონების თანამესაკუთრედ ცნობის შემთხვევაში;

3. იმ შემთხვევაში, თუ თ. ა-შვილი 2011 წლის 1 თებერვლამდე არ გადაუხდის ს. უ-ევს 21788 აშშ დოლარს, ის ვალდებულია, ამ ვადის გასვლის შემდეგ აღრიცხოს ს.უ-ევი სადავო ქონების ნაწილის 41 კვ.მ-ს თანამესაკუთრედ, ს. უ-ევის მიერ თ. ა-შვილისათვის 7262 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ;

4. წინამდებარე მორიგების პირობებით ს. უ-ევი უარს ამბობს თ. ა-შვილის წინააღმდეგ მიმდინარე დავაზე (საქმე ¹ას-187-178-2010, რომელიც იმყოფება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაში) და ყველა არსებულ მოთხოვნაზე, რომელიც სადავოდ ხდის თ. ა-შვილის საკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე და/ან სხვა რაიმე ფორმით შელახავს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მის ქონებრივ ინტერესებს;

5. ს. უ-ევი იღებს ვალდებულებას, რომ არ შეუშლის ხელს თ. ა-შვილს უძრავი ქონების გასხვისებაში და/ან ამ შეთანხმებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებაში;

6. ს. უ-ევის უფლება აქვს, თ. ა-შვილის მიერ თავისი ვალდებულების შესრულებამდე იცხოვროს სადავო ფართის ნაწილში – 21 კვ.მ ერთ ოთახში;

7. მხარეები უფლებამოსილი არიან, შეიტანონ ცვლილებები და დამატებები მორიგების პირობებში მათი დამტკიცების შემდეგ სანოტარო წესით დამოწმებული ორმხრივი ხელშეკრულებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ა-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 18 თებერვალს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება თ. ა-შვილსა და ს. უ-ევს შორის შემდეგი პირობებით:

1. კასატორი თ. ა-შვილი 2011 წლის 1 თებერვლამდე გადაუხდის ს. უ-ევს 21788 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს;

2. თ. ა-შვილი თანახმაა, რომ მორიგების პირობების საფუძველზე მის მიერ ნაკისრი 21788 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის ვალდებულება აღრიცხოს საჯარო რეესტრში, როგორც სადავო ქონების (თ. ა-შვილის კუთვნილი ქონების ნაწილი – 41 კვ.მ, მდებარე ქ.თბილისში, ... ქ.14ა/17-ში, საკადასტრო კოდი ¹01.17.01.138.021) მესაკუთრის მიერ ნაკისრი უძრავი ქონების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება და ეს ჩანაწერი უნდა გაუქმდეს თ. ა-შვილის მიერ 21788 (ოცდაერთი ათას შვიდას ოთხმოცდარვა) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ს. უ-ევისათვის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის ან ს. უ-ევის სადავო ქონების თანამესაკუთრედ ცნობის შემთხვევაში;

3. იმ შემთხვევაში, თუ თ. ა-შვილი 2011 წლის 1 თებერვლამდე არ გადაუხდის ს. უ-ევს 21788 აშშ დოლარს, ის ვალდებულია, ამ ვადის გასვლის შემდეგ აღრიცხოს ს.უ-ევი სადავო ქონების ნაწილის 41 კვ.მ-ს თანამესაკუთრედ, ს. უ-ევის მხრიდან თ. ა-შვილისათვის 7262 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ;

4. წინამდებარე მორიგების პირობებით ს. უ-ევი უარს ამბობს თ. ა-შვილის წინააღმდეგ მიმდინარე დავაზე (საქმე 1ას-187-178-2010, რომელიც იმყოფება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაში) და ყველა არსებულ მოთხოვნაზე, რომელიც სადავოდ ხდის თ. ა-შვილის საკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე და/ან სხვა რაიმე ფორმით შელახავს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მის ქონებრივ ინტერესებს;

5. ს. უ-ევი იღებს ვალდებულებას, რომ არ შეუშლის ხელს თ. ა-შვილს უძრავი ქონების გასხვისებაში და/ან ამ შეთანხმებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებაში;

6. ს. უ-ევს უფლება აქვს, თ. ა-შვილის მიერ თავისი ვალდებულების შესრულებამდე იცხოვროს სადავო ფართის ნაწილში – 21 კვ.მ ერთ ოთახში;

7. მხარეები უფლებამოსილი არიან, შეიტანონ ცვლილებები და დამატებები მორიგების პირობებში მათი დამტკიცების შემდეგ სანოტარო წესით დამოწმებული ორმხრივი ხელშეკრულებით.

შეწყდეს საქმის წარმოება ს. უ-ევის სარჩელის გამო თ. ა-შვილის მიმართ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემართოს მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

თ. ა-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 18 თებერვალს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-366-338-2010

7 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: საკრედიტო დავალიანების დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით სს „პროკრედიტ ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა – შპს „ი-ს“, ნ. დ-მეს, მ. დ-მესა და გ. ტ-მეს სს „პროკრედიტ ბანკის“ სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ საბანკო პროდუქტებით მომსახურების შესახებ გენერალური საკრედიტო და შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე არსებული დავალიანება 955 036,01 აშშ დოლარი (ძირითადი თანხა – 696 299,48 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო ხელშეკრულების ვადის ბოლომდე – 242 902,12 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო – 15 834,41 აშშ დოლარი). გენერალური საკრედიტო 6788 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაფარვის მიზნით, აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული შემდეგი ქონება:

ი. დ-მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემდეგი ტექნიკური და საინდენტიფიკაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა ქ.ბათუმი, კოდი 105, სექტორის 1VI, კოდი 106, კვარტლის 130, ნაკვეთის 1002, ფართობი 31600 კვ.მ (დაუზუსტებელი), მისამართი – ... 15, ნაკვეთის არასასოფლო, 31600 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 2000 კვ.მ და შენობა-ნაგებობების სასარგებლო 10 941,20 კვ. მ-ის 1\13 არის ი. დ-მის საკუთრება;

დ. ნ-მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემდეგი ტექნიკური და საინვენტარიზაციო მონაცემებით, სარეგისტრაციო ზონა გარდაბანი, კოდი 181, სექტორი ... სატყეო უბანი, კოდი 122, კვარტლის 100, ნაკვეთის 1405, ფართობი 0.10 ჰექტარი (დაუზუსტებელი), მისამართი ..., ... სატყეო უბანი, უფლება – კერძო საკუთრება, ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო საკუთრება: ნაკვეთი, მესაკუთრე დ. ნ-მე;

დ. ნ-მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემდეგი ტექნიკური და საინვენტარიზაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა გარდაბანი კოდი 181, სექტორი ... სატყეო უბანი, კოდი 122, კვარტლის 100, ნაკვეთის 1403, ფართობი 0,10 ჰექტარი (დაუზუსტებელი) ..., ... სატყეო უბანი, უფლება-კერძო საკუთრება, ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო საკუთრება: ნაკვეთი, მესაკუთრე დ. ნ-მე;

ც. ზ-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემდეგი ტექნიკური და საინვენტარიზაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა ხელვაჩაური, კოდი 122, სექტორი ..., კოდი 1046, კვარტლის 102, ნაკვეთის 1030, 900 კვ.მ, მისამართი: ..., უფლება-საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების 475,7 კვ.მ სასარგებლო ფართის მესაკუთრე ც. ზ-ძე.

გენერალური საკრედიტო 17413 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების დაფარვის მიზნით, აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა სესხის უზრუნველსაყოფად მ. დ-ძის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება შემდეგი ტექნიკური და საინდენტიფიკაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა ქ.თბილისი, კოდი 101, სექტორის კოდი 114, კვარტლის 111, ნაკვეთი 113/004, დამატებით კოდი 01/06, ფართობი 876 კვ.მ ნაკვეთის წინა 113 შენობა-ნაგებობები 11 და 12, შენობა-ნაგებობების საერთო 2910,20 კვ.მ სხვა ფართი: მიწისქვეშა ავტოსადგომი საერთო 649,50 კვ.მ, მისამართი – თბილისი, ... 181, კორპუსი 1, სართული 3, ბინა 6, უფლება – საერთო საკუთრება, ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო, მესაკუთრე მ. დ-ძე, ფართი 223,40 კვ.მ;

გენერალური საკრედიტო 17801 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების დაფარვის მიზნით, აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა სესხის უზრუნველსაყოფად მ. დ-ძის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება შემდეგი ტექნიკური და საინდენტიფიკაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა, ქ.თბილისი, კოდი 101, სექტორის კოდი 114, კვარტლის 111, ნაკვეთი 113/004, დამატებით კოდი 01/06, ფართობი – 876 კვ.მ, ნაკვეთის წინა 113 შენობა-ნაგებობები 11 და 12, შენობა-ნაგებობების საერთო – 2910,20 კვ.მ სხვა ფართი: მიწისქვეშა ავტოსადგომი საერთო ფართობი 649,50, მისამართი: თბილისი, ... 181, კორპუსი 1, სართული მე-3, ბინა 16, უფლება – საერთო საკუთრება, ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო, მესაკუთრე მ. დ-ძე, ფართი – 223,40 კვ.მ.

მ. დ-ძეს, ნ. დ-ძესა და გ. ტ-ძეს სს „პროკრედიტ ბანკის“ სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრათ თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო თითოეულს 3000-3000 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს «ი-მა», მ. დ-ძემ, ნ. დ-ძემ, გ. ტ-ძემ, ც. ზ-ძემ და ი. დ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 მარტის განჩინებით შპს «ი-ის», მ. დ-ძის, ნ. დ-ძის, გ. ტ-ძის, ც. ზ-ძისა და ი. დ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე გასცდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილ საკრედიტო ლიმიტს და გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 2.2 მუხლის დარღვევით გასცა კრედიტი, აგრეთვე, დაარღვია ამავე ხელშეკრულების 2.3 მუხლი, რომლითაც „გაცემული კრედიტების ერთდროულად მოქმედი ჯამური ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს წინა პუნქტით დადგენილ საკრედიტო ლიმიტს“.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2004 წლის 21 დეკემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება 16788-ის საკრედიტო ლიმიტი იყო 400 000 აშშ დოლარი. ამ ხელშეკრულების საფუძველზე დაიდო სამი ცალკეული სასესხო ხელშეკრულება: ა) შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება 167788/1, რომლითაც ირკვევა, რომ ზემოხსენებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე 2005 წლის 30 დეკემბერს გაიცა კრედიტი 150 000 აშშ დოლარი; ბ) იმავე რიცხვის შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება 16788, რომლითაც გაიცა კრედიტი 100 000 აშშ დოლარი; და გ) 2006 წლის 9 ივნისის შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც გაიცა კრედიტი 150 000 აშშ დოლარი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გაცემული სესხების ჯამი 150 000 + 150 000 უტოლდებოდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება 16788-ით დადგენილ საკრედიტო ლიმიტს – 400 000 აშშ დოლარს. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზოგადად შპს „ი-ს“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა საკრედიტო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული მოსარჩელესთან და შესაძლებელია ყველა ამ კრედიტის ერთობლიობა აღმატებული ყოფილიყო ზემოხსენებულ ლიმიტზე, მაგრამ გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება 16788-ში საუბარია მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ სესხების ოდენობაზე და არა სხვა დანარჩენი ცალკეული საკრედიტო ხელშეკრულებით მიღებული სესხების ჯამზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მითითება იმის თაობაზე, რომ შპს „იუნისკ“ ზიანი მიადგა ბანკის მოქმედებით ან უმოქმედობით, ვინაიდან სესხების უმეტესი ნაწილის მიზნობრიობა ყოფილა სესხების გადაფარვა, რამაც შეადგინა 650 000 აშშ დოლარი, ხოლო ხელშეკრულებებში მითითებული არ ყოფილა, თუ რომელი ხელშეკრულებით აღებული სესხი დაიფარა, რითაც ემატებოდა ბანკს შესაძლებლობა, გაეზარდა მოთხოვნის ოდენობა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, თუ მხარეებმა გამოხატეს ნება დაედოთ ხელშეკრულება სწორედ იმიტომ, რომ გადაეფარათ სხვა სესხები, ეს მათი უფლება იყო. გარდა ამისა, ხელშეკრულების შინაარსსაც მხარეები ურთიერთმეთანხმებით განსაზღვრავენ და თუ ამ შინაარსში არ იყო ასახული, რომელი ხელშეკრულების გადაფარვას ახდენდნენ მხარეები, მათ შეეძლოთ, ეს ნებისმიერ დროს გამოესწორებინათ ხელშეკ-

რულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რაც მათ არ განუხორციელებიათ. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აპელანტმა ვერ დაასაბუთა, კონკრეტულად რა ქმედებაში გამოიხატა ბანკის ბრალეულობა გენერალური თუ შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების დადებისას.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 2007 წლის 12 მარტის შეტყობინების შემდეგ ბანკს ბრალი მიუძღვოდა მისი უმოქმედობით გამოწვეული ზიანის დადგომაში, რადგან ბანკს რომ შეეწყვიტა ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, აპელანტთა დავალიანება მხოლოდ 33 119,68 აშშ დოლარი იქნებოდა და რომ შეუწყვეტლობით მან დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული წერილი შეეხებოდა მხოლოდ მიმდინარე დავალიანებას და არა სრულ დავალიანებას, ვინაიდან გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული თანხები (რომლებიც გაცემულ იქნა შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე) მნიშვნელოვნად აღემატება ზემოხსენებულ წერილში მოყვანილ მონაცემებს, რაც გამორიცხავს, რომ მასში მოვალეთა სრული დავალიანების შესახებ ეწერა რაიმე.

ამასთან, სააპელაციო პალატამ განმარტა სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის მე-2 ნაწილი. სააპელაციო პალატამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მითითება სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლზე.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს «ი-მა», მ. დ-ემ, ნ. დ-ემ, გ. ტ-ემ, ც. ზ-ემ, ი. დ-ემ.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების თაობაზე შემდეგი პირობებით:

ერთი მხრივ, კრედიტორი სს „პროკრედიტ ბანკი“ რეგისტრირებული ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 15\5-84, რეგისტრაციის თარიღი 4\01\1999, საიდენტიფიკაციო კოდი: 204851197, ადგილსამყოფელი: ქ.თბილისი, ... 1154, წარმომადგენელი გარიგებითი წარმომადგენლის – ნ. ზ-უას სახით (გენერალური რწმუნებულება გაცემული დირექტორ ს. ტ-ესის და დირექტორ მ. მ-ოვას მიერ), შემდგომში წოდებული როგორც „პ-ი“ და, მეორე მხრივ, კასატორები: შპს „ი-ი“ სკ 1..., მ. დ-ემ პ/ნ ..., ნ. დ-ემ პ/ნ ... გ. ტ-ემ პ/ნ ..., ც. ზ-ემ პ/ნ ...,

ი. დ-ემ პ/ნ ... შემდგომში ერთობლივად წოდებული სოლიდარული მოვალეები წარმომადგენლის – ე. მ-შვილის (პირადი 1...) სახით ითვალისწინებენ რა საქართველოს უზენაეს სასამართლოში კასატორების მიერ მოწინააღმდეგე მხარის წინააღმდეგ წარდგენილი, საკასაციო საჩივრის გამო, მხარეებს შორის წარმოქმნილი სამართლებრივი დავის გადაწყვეტის ერთობლივ სურვილს, ხელს აწერენ და ეთანხმებიან წინამდებარე მორიგებას შემდეგი პირობებით:

1. მოვალეები სოლიდარულად აღიარებენ მოსარჩელის წინაშე საკრედიტო დავალიანებას – 955036.01 აშშ დოლარს;

2. მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ, თუ მოვალეების ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ წინამდებარე მორიგების აქტის გაფორმებიდან 2010 წლის ივნისამდე გადახდილი იქნება საკრედიტო დავალიანება 500 000 აშშ დოლარი, კრედიტორის, სს „პროკრედიტ ბანკის“ მოთხოვნა სოლიდარული მოვალეების – მ. დ-მის, ნ. დ-მისა და გ. ტ-მის მიმართ ჩაითვლება შესრულებულად და აღნიშნული პირები გათავისუფლდებიან თავდებობის, სოლიდარული სუბსიდიური და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან;

3. მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ამ მორიგების აქტის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული პირობის შესრულების შემდეგ, დარჩენილ საკრედიტო დავალიანებაზე – 455036.01 აშშ დოლარზე სს „პროკრედიტ ბანკის“ მოთხოვნა დარჩება მხოლოდ შპს „ი-ს“ მიმართ აღნიშნული თანხის 2010 წლის ივნისის ბოლომდე გადაუხდელობის შემთხვევაში. თანხის გადახდის უზრუნველსაყოფად, შპს „ი-ს“ მიმართ განხორციელდება აღსრულება 455036.01 აშშ დოლარზე, მის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონების რეალიზაციის გზით;

4. მოვალეები თანახმა არიან და იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მოსარჩელეს მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 5000 ლარი 2010 წლის ივნისის ბოლომდე;

5. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მორიგების აქტის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულებამდე მხარეებს შორის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებების 16788-ის, 17413-ის და 17801-ის უზრუნველსაყოფად გაფორმებული ყველა იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის, სუბსიდიური და სოლიდარული ვალდებულებების შესახებ ხელშეკრულებები რჩება ძალაში;

6. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მორიგების აქტის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში კრედიტორი თანახმაა, იპოთეკისა და გირავნობისგან გაათავისუფლოს შემდეგი ქონება:

ქ.თბილისი, ..., ნაკვეთი 10\266, საკადასტრო კოდი 101.20.01.010.266;

ქ.თბილისი, ..., ნაკვეთი 110\267, საკადასტრო კოდი 101.20.01.010.267;

ქ.თბილისი, ... ქუჩა 181, კორპ. 116, ბინა 16, საკადასტრო კოდი 101.14.11.13.004.01.06;

ქ.ბათუმი, ... ქ.15, ნაკვეთი 1002, საკადასტრო კოდი 05.06.30.002;

ხელვაჩაურის რაიონი, ..., ნაკვეთი 1031, საკადასტრო კოდი 22.04.02.031;

ხელვაჩაურის რაიონი, ... ნაკვეთი 1030, საკადასტრო კოდი 22.04.02.030;

ავტომანქანა «ფორდ ტრანზიტი», ფერი ნარინჯისფერი 4\8, გამოშვების წელი 1994, სარეგისტრაციო მოწმობა – AV1067302, საიდენტიფიკაციო ნომერი

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც 208», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი 1991, სარეგისტრაციო მოწმობა – 0064023, საიდენტიფიკაციო ნომერი –

ავტომანქანა «ფორდ ტრანზიტი», ფერი თეთრი, გამოშვების წელი 1993, სარეგისტრაციო მოწმობა – 0057784, საიდენტიფიკაციო ნომერი –

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც 208», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი 1994, სარეგისტრაციო მოწმობა – 0057791, საიდენტიფიკაციო ნომერი –

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც 208», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი 1993, სარეგისტრაციო მოწმობა – AE0064022, საიდენტიფიკაციო ნომერი –

7. მოპასუხეები იღებენ ვალდებულებას, აცნობონ ბანკს, თუ მათ მიმართ გამოტანილი იქნება სასამართლოს (არბიტრაჟის) გადაწყვეტილება სხვა კრედიტორების სასარგებლოდ, გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

8. მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ წინამდებარე მორიგების ნებისმიერი პუნქტის დარღვევის ანდა ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ბანკისთვის ცნობილი გახდება, რომ მოპასუხეების მიმართ არსებობს სხვა კრედიტორების სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება ან მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება მორიგება მიქცეული იქნება იძულებითი წესით აღსარულებლად. იძულებითი აღსრულება განხორციელდება ამ მორიგების 1 და მე-4 პუნქტებში მითითებულ თანხებზე, თუ დაირღვა წინამდებარე მორიგების აქტის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობა;

9. მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ მხარეების მიერ მორიგების აქტის მე-2 პუნქტის დარღვევის ანდა ნებაყოფლობით შეუსრულებლობის, მათ შორის, გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მოხდეს იძულებითი აღსრულება და სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად, სააღსრულებო ბიუროს მიერ აღსრულება განხორციელდეს სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონებით:

ქ.თბილისი, ... ნაკვეთი 110\266, საკადასტრო კოდი 01.20.01.010.266;

ქ.თბილისი, ... ნაკვეთი 110\267, საკადასტრო კოდი 01.20.01.010.267;

ქ.თბილისი, ... ქუჩა 181, კორპ. 116, ბინა 16, საკადასტრო კოდი 01.14.11.13.004.01.06;

ქ.ბათუმი, ... ქ.15, ნაკვეთი 1002, საკადასტრო კოდი 05.06.30.002;

ხელვაჩაურის რაიონი, ..., ნაკვეთი 1031, საკადასტრო კოდი 22.04.02.031;

ხელვაჩაურის რაიონი, ..., ნაკვეთი 1030, საკადასტრო კოდი 22.04.02.030;

ავტომანქანა «ფორდ ტრანზიტი», ფერი ნარინჯისფერი 4\8, გამოშვების წელი 1994, სარეგისტრაციო მოწმობა – AV1067302, საიდენტიფიკაციო ნომერი ...;

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც 208», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი 1991, სარეგისტრაციო მოწმობა – 0064023, საიდენტიფიკაციო ნომერი – ...;

ავტომანქანა «ფორდ ტრანზიტი», ფერი თეთრი, გამოშვების წელი 1993, სარეგისტრაციო მოწმობა – 0057784, საიდენტიფიკაციო ნომერი – ...;

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც 208», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი 1994, სარეგისტრაციო მოწმობა – 0057791, საიდენტიფიკაციო ნომერი – ...;

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც 208», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი 1993, სარეგისტრაციო მოწმობა – AE0064022, საიდენტიფიკაციო ნომერი – ...;

10. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ მიმართავენ ყველა ზომას წინამდებარე მორიგებით გათვალისწინებული ყველა პირობის დროულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრულყოფილად შესასრულებლად;

11. წინამდებარე მორიგების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ამ მორიგებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე;

12. წინამდებარე მორიგების ხელმოწერით მხარეები აცხადებენ, რომ მორიგების ყველა პირობა წარმოადგენს მათი ნამდვილი ნების გამოვლენას, სრულად ეთანხმებიან ყველა პირობას და აცხადებენ თანხმობას მის ნებაყოფლობით შესრულებაზე;

13. მოვალეები თანახმა არიან და უფლებამოსილებას ანიჭებენ კრედიტორს, ვალდებულების (დარღვევის ანდა) გადახდის მორიგი თარიღის დადგომისას კრედიტორმა დაფაროს მორიგების აქტით გათვალისწინებული ნებისმიერი გადასახდელები მოვალეების კრედიტორთან გახსნილ ნებისმიერი საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის უაქცეპტო ჩამოწერით, (მათ შორის – დავალიანების თანხისაგან განსხვავებულ ვალუტაში არსებული ანგარიშიდან). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება მიმდინარე დავალიანების ვალუტისაგან, კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალეების ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია კრედიტორის კომერციული კურსის თანახმად;

14. წინამდებარე მორიგების აქტით მოვალეები ადასტურებენ, რომ ისინი წარმოადგენენ თანამონაწილეებს. წერილის, ცნობის, უწყებისა და სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ჩაბარება ერთ-ერთი თანამონაწილისათ-

ვის ნიშნავს წერილის, ცნობის, უწყების და სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის. აღნიშნული წესი მოქმედებს როგორც სასამართლოში საქმის წარმოების, ასევე, მორიგების აქტის მოქმედების პერიოდში და აღსრულების ნებისმიერ სტადიაზე და მისი გაუქმება წინამდებარე მორიგების სრულად შესრულებამდე დაუშვებელია;

15. სასამართლოს, კრედიტორის, აღმასრულებლის მიერ საჯარო შეტყობინების გამოყენების შემთხვევაში მოვალეებს ეკისრებათ საჯარო შეტყობინებასთან დაკავშირებული გაწეული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება, კრედიტორის მიერ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსათვის ანდა აღმასრულებლისათვის წარდგენის შემთხვევაში;

16. კრედიტორს უფლება აქვს და მოვალეები თანახმა არიან, მოვალეებისაგან მიიღოს ყველანაირი საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტები და კომენტარები ვალის დაბრუნების საიმედოობის შესამოწმებლად. მოვალე ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები კრედიტორს წარუდგინოს მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში;

17. მოვალეები ვალდებული არიან წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე აცნობოს კრედიტორს ფაქტობრივი ადგილსამყოფელის (მისამართის) შეცვლის შესახებ მისამართის შეცვლიდან არა უმეტეს 5 დღის ვადაში. კრედიტორისათვის ასეთი ცნობის უქონლობისას ინფორმაცია კრედიტორის მიერ გაიგზავნება კრედიტორისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც მოვალე ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს;

18. მოვალეები უფლებას ანიჭებენ კრედიტორს ნებისმიერი პირისაგან მიიღოს მოპასუხეების შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის – ადგილსამყოფელის, იურიდიული მისამართის შესახებ, ნებისმიერი პერსონალური ინფორმაციები, ინფორმაცია დაბადების აქტის ჩანაწერის, ინფორმაცია ფინანსური და ქონებრივ მდგომარეობის შესახებ და ა.შ.;

19. წინამდებარე მორიგება შესრულებულია ქართულ ენაზე რვა ეგზემპლარად. თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს, ერთი საქმის განმხილველ სასამართლოს. მორიგების რვავე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, მხარეთა მორიგების გამო, უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება, ერთი მხრივ, კრედიტორი სს „პროკრედიტ ბანკი“ რეგისტრირებული ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი ..., რეგისტრაციის თარიღი 4\01\1999, საიდენტიფიკაციო კოდი:204851197, ადგილსამყოფელი: ქ.თბილისი, ... 1154, წარმომადგენელი გარიგებითი წარმომადგენლის – ნ. ზ-უას სახით (გენერალური რწმუნებულება გაცემული დირექტორ ს. ტ-ესის და დირექტორ მ. მ-ოვას მიერ), შემდგომში წოდებული როგორც „კრედიტორი“ და, მეორე მხრივ, კასატორები: შპს „იუნეიკი“ ს\კ 1..., მ. დ-ძე პ\ნ ..., ნ. დ-ძე პ\ნ ..., გ. ტ-ძე პ\ნ ..., ც. ზ-ძე პ\ნ ..., ი. დ-ძე პ\ნ ... შემდგომში ერთობლივად წოდებული სოლიდარული მოვალეები წარმომადგენლის – ე. მ-შვილის (პირადი 1...) სახით ითვალისწინებენ რა საქართველოს უზენაეს სასამართლოში კასატორების მიერ მოწინააღმდეგე მხარის წინააღმდეგ წარდგენილი, საკასაციო საჩივრის გამო, მხარეებს შორის წარმოქმნილი სამართლებრივი დავის გადაწყვეტის ერთობლივ სურვილს, ხელს აწერენ და ეთანხმებიან წინამდებარე მორიგებას შემდეგი პირობებით:

1. მოვალეები სოლიდარულად აღიარებენ მოსარჩელის წინაშე საკრედიტო დავალიანებას – **955036.01** აშშ დოლარს;

2. მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ, თუ მოვალეების ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ წინამდებარე მორიგების აქტის გაფორმებიდან **2010** წლის ივნისის თვის ბოლომდე გადახდილი იქნება საკრედიტო დავალიანება **500 000** აშშ დოლარი, კრედიტორის – სს „პროკრედიტ ბანკის“ მოთხოვნა სოლიდარული მოვალეების – მ. დ-ის, ნ. დ-ისა და გ. ტ-ის მიმართ ჩაითვლება შესრულებულად და აღნიშნული პირები თავისუფლდებიან თავდებობის, სოლიდარული, სუბსიდიური და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან;

3. მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ამ მორიგების აქტის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული პირობის შესრულების შემდეგ, დარჩენილ საკრედიტო დავალიანებაზე – **455036.01** აშშ დოლარზე სს „პროკრედიტ ბანკის“ მოთხოვნა დარჩება მხოლოდ შპს „ი-ს“ მიმართ აღნიშნული თანხის **2010** წლის ივნისის ბოლომდე გადაუხდელობის შემთხვევაში. თანხის გადახდის უზრუნველსაყოფად, შპს „ი-ს“ მიმართ განხორციელდება აღსრულება **455036.01** აშშ დოლარზე, მის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონების რეალიზაციის გზით;

4. მოვალეები თანახმა არიან და იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მოსარჩელეს მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი **5000** ლარი **2010** წლის ივნისის ბოლომდე;

5. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მორიგების აქტის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულებამდე მხარეებს შორის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებების **16788-ის**, **17413-ის** და **17801-ის** უზრუნველსაყოფად გაფორმებული ყველა იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის, სუბსიდიური და სოლიდარული ვალდებულებების შესახებ ხელშეკრულებები რჩება ძალაში;

6. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მორიგების აქტის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში, კრედიტორი თანახმაა, იპოთეკისა და გირავნობისგან გაათავისუფლოს შემდეგი ქონება:

ქ.თბილისი, ..., ნაკვეთი **10\266**, საკადასტრო კოდი **101.20.01.010.266**;

ქ.თბილისი, ..., ნაკვეთი **110\267**, საკადასტრო კოდი **101.20.01.010.267**;

ქ.თბილისი, ... ქუჩა **181**, კორპ. **116**, ბინა **16**, საკადასტრო კოდი **101.14.11.13.004.01.06**;

ქ.ბათუმი, ... ქ.15, ნაკვეთი **1002**, საკადასტრო კოდი **05.06.30.002**;

ხელვაჩაურის რაიონი, ..., ნაკვეთი **1031**, საკადასტრო კოდი **22.04.02.031**;

ხელვაჩაურის რაიონი, ... ნაკვეთი **1030**, საკადასტრო კოდი **22.04.02.030**;

ავტომანქანა-«ფორდ ტრანზიტი», ფერი ნარინჯისფერი **4\8**, გამოშვების წელი **1994**, სარეგისტრაციო მოწმობა –**AV1067302**, საიდენტიფიკაციო ნომერი –

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც **208**», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი **1991**, სარეგისტრაციო მოწმობა – **0064023**, საიდენტიფიკაციო ნომერი –

ავტომანქანა «ფორდ ტრანზიტი», ფერი თეთრი, გამოშვების წელი **1993**, სარეგისტრაციო მოწმობა – **0057784**, საიდენტიფიკაციო ნომერი –

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც **208**», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი **1994**, სარეგისტრაციო მოწმობა – **0057791**, საიდენტიფიკაციო ნომერი –

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც **208**», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი **1993**, სარეგისტრაციო მოწმობა –**AE0064022**, საიდენტიფიკაციო ნომერი –

7. მოპასუხეები იღებენ ვალდებულებას, აცნობონ ბანკს თუ მათ მიმართ გამოტანილი იქნება სასამართლოს (არბიტრაჟის) გადაწყვეტილება სხვა კრედიტორების სასარგებლოდ, გადაწყვეტილების გამოტანიდან **5** სამუშაო დღის ვადაში;

8. მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ წინამდებარე მორიგების ნებისმიერი პუნქტის დარღვევის ანდა ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ბანკისთვის ცნობილი გახდება, რომ მოპასუხეების მიმართ არსებობს სხვა კრედიტორების სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება ან მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება მორიგება მიქცეული იქნება იძულებითი წესით აღსასრულებლად. იძულებითი აღსრულება განხორციელდება ამ მორიგების **1** და მე-**4** პუნქტებში მითითებულ თანხებზე, თუ დაირღვა წინამდებარე მორიგების აქტის მე-**2** პუნქტით გათვალისწინებული პირობა;

9. მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ მხარეების მიერ მორიგების აქტის მე-2 პუნქტის დარღვევის ანდა ნებაყოფლობით შეუსრულებლობის, მათ შორის, გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მოხდეს იძულებითი აღსრულება და სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად, სააღსრულებო ბიუროს მიერ აღსრულება განხორციელდეს სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონებით:

ქ.თბილისი, ... ნაკვეთი **110\266**, საკადასტრო კოდი **101.20.01.010.266**;

ქ.თბილისი, ... ნაკვეთი **110\267**, საკადასტრო კოდი **101.20.01.010.267**;

ქ.თბილისი, ... ქუჩა **181**, კორპ. **116**, ბინა **16**, საკადასტრო კოდი **101.14.11.13.004.01.06**;

ქ.ბათუმი, ... ქ.15, ნაკვეთი **1002**, საკადასტრო კოდი **05.06.30.002**;

ხელვაჩაურის რაიონი, ..., ნაკვეთი **1031**, საკადასტრო კოდი **22.04.02.031**;

ხელვაჩაურის რაიონი, ..., ნაკვეთი 1030, საკადასტრო კოდი 22.04.02.030;

ავტომანქანა-«ფორდ ტრანზიტი», ფერი ნარინჯისფერი 4\8, გამოშვების წელი 1994, სარეგისტრაციო მოწმობა –AV1067302, საიდენტიფიკაციო ნომერი ...;

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც 208», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი 1991, სარეგისტრაციო მოწმობა – 0064023, საიდენტიფიკაციო ნომერი – ...;

ავტომანქანა «ფორდ ტრანზიტი», ფერი თეთრი, გამოშვების წელი 1993, სარეგისტრაციო მოწმობა – 0057784, საიდენტიფიკაციო ნომერი – ...;

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც 208», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი 1994, სარეგისტრაციო მოწმობა – 0057791, საიდენტიფიკაციო ნომერი – ...;

ავტომანქანა «მერსედეს-ბენც 208», ფერი – თეთრი, გამოშვების წელი 1993, სარეგისტრაციო მოწმობა – AE0064022, საიდენტიფიკაციო ნომერი – ...;

10. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ მიმართავენ ყველა ზომას წინამდებარე მორიგებით გათვალისწინებული ყველა პირობის დროულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრულყოფილად შესასრულებლად;

11. წინამდებარე მორიგების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ამ მორიგებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე;

12. წინამდებარე მორიგების ხელმოწერით მხარეები აცხადებენ, რომ მორიგების ყველა პირობა წარმოადგენს მათი ნამდვილი ნების გამოვლენას, სრულად ეთანხმებიან ყველა პირობას და აცხადებენ თანხმობას მის ნებაყოფლობით შესრულებაზე;

13. მოვალეები თანახმა არიან და უფლებამოსილებას ანიჭებენ კრედიტორს, ვალდებულების (დარღვევის ანდა) გადახდის მორიგი თარიღის დადგომისას კრედიტორმა დაფაროს მორიგების აქტით გათვალისწინებული ნებისმიერი გადასახდელი მოვალეების კრედიტორთან გახსნილ ნებისმიერი საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის უაქცეპტო ჩამოწერით, (მათ შორის – დავალიანების თანხისაგან განსხვავებულ ვალუტაში არსებული ანგარიშიდან). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა გამსხვავდება მიმდინარე დავალიანების ვალუტისაგან, კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალეების ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია კრედიტორის კომერციული კურსის თანახმად;

14. წინამდებარე მორიგების აქტით მოვალეები ადასტურებენ, რომ ისინი წარმოადგენენ თანამონაწილეებს. წერილის, ცნობის, უწყებისა და სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ჩაბარება ერთ-ერთი თანამონაწილისათვის ნიშნავს წერილის, ცნობის, უწყების და სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის. აღნიშნული წესი მოქმედებს როგორც სასამართლოში საქმის წარმოების, ასევე, მორიგების აქტის მოქმედების პერიოდში და აღსრულების ნებისმიერ სტადიაზე და მისი გაუქმება წინამდებარე მორიგების სრულად შესრულებამდე დაუშვებელია;

15. სასამართლოს, კრედიტორის, აღმასრულებლის მიერ საჯარო შეტყობინების გამოყენების შემთხვევაში მოვალეებს ეკისრებათ საჯარო შეტყობინებასთან დაკავშირებული გაწეული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება, კრედიტორის მიერ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსათვის ანდა აღმასრულებლისათვის წარდგენის შემთხვევაში;

16. კრედიტორს უფლება აქვს და მოვალეები თანახმა არიან, მოვალეებისაგან მიიღოს ყველანაირი საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტები და კომენტარები ვალის დაბრუნების საიმედოობის შესამოწმებლად. მოვალე ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები კრედიტორს წარუდგინოს მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში;

17. მოვალეები ვალდებული არიან წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე აცნობოს კრედიტორს ფაქტობრივი ადგილსამყოფელის (მისამართის) შეცვლის შესახებ მისამართის შეცვლიდან არა უმეტეს 5 დღის ვადაში. კრედიტორისათვის ასეთი ცნობის უქონლობისას ინფორმაცია კრედიტორის მიერ გაიზავნება კრედიტორისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც მოვალე ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს;

18. მოვალეები უფლებას ანიჭებენ კრედიტორს, ნებისმიერი პირისაგან მიიღოს მოპასუხეების შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის – ადგილსამყოფელის, იურიდიული მისამართის შესახებ, ნებისმიერი პერსონალური ინფორმაციები, ინფორმაცია დაბადების აქტის ჩანაწერის, ინფორმაცია ფინანსური და ქონებრივ მდგომარეობის შესახებ და ა.შ;

19. წინამდებარე მორიგება შესრულებულია ქართულ ენაზე რვა ეგზემპლარად. თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს, ერთი საქმის განმხილველ სასამართლოს. მორიგების რვავე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად შეწყდეს საქმის წარმოება;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო

განჩინება

1ას-107-101-2010

8 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ნ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ნ-ძის მიმართ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე დაიბადა და 1964 წლიდან ცხოვრობდა ქ.ბათუმში, ... ქ.161/12-ში, სადაც 1936 წლიდან ცხოვრობდა მისი პაპა – მ. ნ-ძე. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო მიიღო ე. ნ-მემ (მოსარჩელის დედინაცვალმა), ხოლო 1988 წელს, ე. ნ-ძის გარდაცვალების შემდეგ უძრავი ნივთი მემკვიდრეობით გადავიდა ნა. ნ-ძეზე. 1992 წლის 30 დეკემბრის ჩუქების ხელშეკრულებით ე. ნ-მემ ზემოხსენებულ მისამართზე არსებული სამზარეულო, სავაჭრო ობიექტი და 14, 7, 10 და 12 ოთახები აჩუქა ე. ნ-ძეს, რაზეც 2002 წლის 5 მაისს შესდგა აქტი, თუმცა ჩუქების კანონით დადგენილი წესით გაფორმება ვერ მოხერხდა. 1992 წლის 30 დეკემბრის გარიგებაზე ე. ნ-ძის ხელმოწერა დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნით. ე. ნ-მემ ე.წ «ატსტუპნო-ის» წესით ასევე გაასხვისა ამავე სახელმძღვანელოებლობაში არსებული სხვა ოთახების ნაწილიც. 2004 წელს ნა. ნ-ძე გარდაიცვალა და მისი სამკვიდრო მიიღო მისმა შვილმა – დ. ნ-მემ. ამდენად, «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» კანონის 1¹ მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე სადავო ფართის მოსარგებლეა და ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნულ ნივთზე უნდა გადაეცეს საკუთრების უფლება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: მოსარჩელის განმარტებით, სადავო ჩუქების ხელშეკრულება დადებულია 1992 წლის 30 დეკემბერს, ძველი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედების დროს, რომლის 269-ე და 239-ე მუხლი ითვალისწინებს უძრავ ნივთის ნაჩუქრობის გარიგების გაფორმების წესსა და პირობებს. აღნიშნული კანონის მოთხოვნები სადავო ჩუქებისას დაცული არ არის, რაც გარიგების ბათილობაზე მეტყველებს. ამასთან, მოსარჩელის მიერ მითითებული ექსპერტიზის დასკვნა სადავო გარიგებაზე ე. ნ-ძის ხელმოწერის არსებობის თაობაზე სავარაუდო ხასიათისაა და ე. ნ-ძის მიერ აღნიშნული ხელმოწერის შესრულების უტყუარ მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით ე. ნ-ძის სარჩელი დ. ნ-ძის მიმართ თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, ე. ნ-ძეს დ. ნ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 2508 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ე. ნ-ძე ცნობილ იქნა ქ.ბათუმში, ... 161/12-ში მდებარე საცხოვრებელი 70 კვ.მ-ის, მათ შორის, ეზოში არსებული 19 კვ.მ სამზარეულოს – ოთახი «დ-ს», 10 კვ.მ სავაჭრო ჯიხურის – ოთახი «გ-ს», 9 კვ.მ ოთახი «ანტრესოლის», 9 კვ.მ ოთახი «4-ის», 15 კვ.მ ოთახი «10-სა» და 14 კვ.მ ოთახი «12-ის» მესაკუთრედ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ნ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ე. ნ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1992 წლის 30 დეკემბერს ნა. და ე. ნ-ძეებს შორის მარტივი წერილობითი ფორმით დაიდო ჩუქების ხელშეკრულება. გარიგების მიხედვით, ნა. ნ-მემ ე. ნ-ძეს აჩუქა საცხოვრებელი ფართი, რომელიც მისი ოჯახის წევრებს ჰქონდათ დაკავებული. 2004 წელს ნა. ნ-ძე გარდაიცვალა და მისი სამკვიდრო მიიღო დ. ნ-მემ. ე. ნ-მემ სარჩელი აღძრა და მოითხოვა სადავო ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას, რომ სასამართლო ვალდებული იყო, შეეწყვიტა საქმის წარმოება, ვინაიდან იმავე მხარეებს შორის უკვე დასრულებული დავის საგანი იყო მემკვიდრედ აღიარება, მაშინ, როცა მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია კომპენსაციის სანაცვლოდ ქონების საკუთრებაში გადაცემა, შესაბამისად, აღნიშნული დავების საგანი ხვადასხვა და სამოქალაქო საპროცესო კოდექს-

სის 272-ე მუხლით დადგენილი საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები არ არსებობს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქალაქო სასამართლომ შეცდომით განმარტა საქართველოს კანონი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“, როდესაც ე. ნ-მე ამ კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლედ მიიჩნია, რადგან დასახელებული კანონის 1¹ მუხლის «ა» ქვეპუნქტი ზუსტად განსაზღვრავს მოსარგებლედ პირის მიჩნევის პირობებს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ იყო დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება. ეს გარიგება წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულების ერთგვარ ნაირსახეობას, რომლის დადებისას მოვალე, მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, კრედიტორს სარგებლობაში გადასცემდა საცხოვრებელ ფართს. ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში საცხოვრებელი ფართი რჩებოდა კრედიტორის სარგებლობაში. 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსი ასეთი ტიპის სამართალურთიერთობებს არ ითვალისწინებდა, რის გამოც მხარეები, ჩვეულებრივ, ხელშეკრულებას დებდნენ ზეპირად ან ფარავდნენ სხვა ტიპის ხელშეკრულებით.

პალატამ მიიჩნია, რომ სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ამ სამართალურთიერთობის სპეციალური დარეგულირება, ამდენად, გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ იყო სასყიდლიანი ხელშეკრულება, რომლითაც მოსარგებლე მესაკუთრეს უხდიდა თანხას და სანაცვლოდ, თანხის დაბრუნებამდე, იღებდა სადგომით სარგებლობის უფლებას. სასამართლომ დაადგინა, რომ ე. ნ-მეს ნა. ნ-მისათვის არავითარი საზღაური არ გადაუხდია და ნა. ნ-მემ ე. ნ-მეს ქონება გადასცა არა სასყიდლით, არამედ კეთილი ნებით. შესაბამისად, პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ ე. ნ-მესა და ნა. ნ-მეს შორის დაიდო არა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება, არამედ, ფორმის დაუცველობის გამო, ბათილი ჩუქების ხელშეკრულება.

პალატის მითითებით, დასაჩუქრებულს კანონი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ მოსარგებლედ არ მიიჩნევს და ამ კანონის მე-2 მუხლით დადგენილი უფლებები დასაჩუქრებულზე არ ვრცელდება. ამასთანავე, სასამართლომ დაადგინა, რომ ე. ნ-მე მესაკუთრესთან ფორმის დაუცველად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე სადავო ქონებას არ დაუფლებია, რის გამოც იგი, ზემოხსენებული კანონის შესაბამისად, მოსარგებლე არ არის და ამ კანონით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის თაობაზე მხარის მოთხოვნა უსაფუძვლოა. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლომ შეცდომით განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი, რასაც შედეგად მცდარი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ნ-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი, რომ ე. ნ-მე რეგისტრირებულია სადავო ფართში, იგი იხდიდა და დღესაც იხდის კომუნალურ გადასახადებს. წლების განმავლობაში და ამჟამადაც ე. ნ-მე ფლობს სადავო ფართს. მხარეები არიან ბიძაშვილები, ხოლო ნა. ნ-მე იყო კასატორის ბიოლა. სადავო ბინა თავის დროზე ირიცხებოდა მხარეთა ბაბუის – მ. ნ-მის სახელზე და ე. ნ-მე ბაბუასთან ერთად სადავო ფართში ცხოვრობდა მის გარდაცვალებამდე. ამდენად, სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა ის გარემოება, რომ კასატორი ზემოხსენებულ ბინაში ცხოვრობდა ნა. ნ-მის მიერ სადავო ნივთის უანგაროდ ჩუქებისა და ქონების დათმობის თაობაზე 1992 წლის ნაჩუქრობის ხელწერილის, ასევე 2002 წლის აქტით ნების გამოვლენის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ სწორად გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონი, თუმცა სამართლებრივად არასწორად შეაფასა იგი, რადგან მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ე. ნ-მე მოსარგებლედ შეცდომით ჩათვალა. მართალია, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილით საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის გარიგება დასტურდება მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდით, თუმცა ნ. ნ-მესთან ნათესაური კავშირიდან გამომდინარე, სადავო ფართი კასატორს გადაეცა უსასყიდლოდ. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი, ვინაიდან, საქართველოში დამკვიდრებული ჩვეულებებისა და ადათ-წესების შესაბამისად, ნა. ნ-მემ ვალდებულად ჩათვალა თავი, თავისი მათშვილისათვის – ე. ნ-მისათვის დაეთმო საცხოვრებელი სადგომი და საფასურში იგულისხმებოდა ის ანაზღაურება, რაც კასატორის წინაპრებმა ნ. ნ-მეს დაუტოვეს.

სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო დ. ნ-მის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც გამოკვლეულ იქნა 1992 წლის 30 დეკემბრის ნაჩუქრობის ხელშეკრულებისა და 2002 წლის 5 მაისის გაფორმების აქტის ქსეროასლები, მიუხედავად კასატორის არაერთი თხოვნისა, სასამართლომ არ დანიშნა გრაფიკული ექსპერტიზა დოკუმენტების დედნებზე. სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მასალები, კერძოდ, ე. ნ-მის მამა – რ. ნ-მე სადავო სახლში ცხოვრობდა 1936-53 წლებში, 1967 წელს იგივე მისამართი დაფიქსირდა მის მიერ შეცვლილ პასპორტშიც. საბინაო წიგნის 1991 წლის ამონაწერის თანახმად, რ. და ე. ნ-მეები აღირიცხებიან სადავო სახლში. რ. ნ-მე ამ ბინაში ცხოვრობდა 1992 წლამდე, ანუ გარდაცვალებამდე, ხოლო კასატორი 1973 წლიდან რეგისტრირებულია სადავო ფართში, რაც დასტურდება ფორმა 11 და მისი პირადობის მოწმობით.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. დ. ნ-ძე სადავო ბინის სანაცვლოდ ე. ნ-ძეს კომპანიის სახით გადაუხდის 20 000 აშშ დოლარს. თანხის გადახდა უნდა მოხდეს 2011 წლის 8 ივნისამდე;
2. ე. ნ-ძე მის მიერ დაკავებულ ქ.ბათუმში, ... 12-ში მდებარე 75 კვ.მ ფართს ზემოთ მითითებული თანხის დადგენილ ვადაში სრულყოფილად მიღების შემდეგ თავისუფალ მდგომარეობაში გადასცემს დ. ნ-ძეს;
3. თანხის კომპენსაციის გადაუხდელობის შემთხვევაში ქ.ბათუმში, ... 12-ში მდებარე სადავო 75 კვ.მ დარჩება ე. ნ-ძის საკუთრებაში;
4. მორიგების აქტის შესრულების შემდეგ მხარეებს ქ.ბათუმში, ... 12-ში მდებარე სადავო 75 კვ.მ-ზე ან ამავე მისამართზე არსებულ სხვა ნებისმიერ ფართზე პრეტენზია არ ექნებათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ნ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 18 თებერვალს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება დ. და ე. ნ-ძეებს შორის შემდეგი პირობებით:

1. დ. ნ-ძე სადავო ბინის სანაცვლოდ ე. ნ-ძეს კომპანიის სახით გადაუხდის 20 000 აშშ დოლარს. თანხის გადახდა უნდა მოხდეს 2011 წლის 8 ივნისამდე;
2. ე. ნ-ძე მის მიერ დაკავებულ, ქ.ბათუმში, ... 12-ში მდებარე 75 კვ.მ-ის ზემოთ მითითებული თანხის დადგენილ ვადაში სრულყოფილად მიღების შემდეგ თავისუფალ მდგომარეობაში გადასცემს დ. ნ-ძეს;
3. თანხის კომპენსაციის გადაუხდელობის შემთხვევაში ქ.ბათუმში, ... 12-ში მდებარე სადავო 75 კვ.მ დარჩება ე. ნ-ძის საკუთრებაში;
4. მორიგების აქტის შესრულების შემდეგ მხარეებს ქ.ბათუმში, ... 12-ში მდებარე სადავო 75 კვ.მ-ზე ან ამავე მისამართზე არსებულ სხვა ნებისმიერ ფართზე პრეტენზია არ ექნებათ.

შეწყდეს საქმის წარმოება ე. ნ-ძის სარჩელის გამო დ. ნ-ძის მიმართ საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

ე. ნ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 18 თებერვალს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო

განჩინება

1ას-220-209-2010

29 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების აღრიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ი-ძემ, ს. ქ-ძემ, თ. კ-ძემ, ზ. კ-ძემ, მ. თ-ძემ, ვ. ბ-შვილმა, ნ. გ-იანმა, თ. და დ. ა-იანებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხეების სს «ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატის», საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირების – ო. წ-ისა და ნოტარიუს ე. გ-შვილის მიმართ გარიგების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების აღრიცხვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: **2000 წლის 8 ივნისს ზ. კ-ძემ შეიძინა ქ.ქუთაისში, ... 12-ში მდებარე 314,16 კვ.მ შენობა-ნაგებობა, რაზეც გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება სს «ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატის» დირექტორ ო. თ-ძესთან. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს სამეთვალყურეო საბჭოს 2000 წლის 5 ივნისის 118 ოქმში ასახული თანხმობა. საკუთრების უფლება დარეგისტრირდა ქ.ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში.**

თ. კ-ძესა და სს „ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატის“ დირექტორს შორის სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით **2000 წლის 8 სექტემბერს** დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ქ.ქუთაისში, ... გამზ. 12-ში მდებარე არასაცხოვრებელ **620,84 კვ.მ-ზე**. საკუთრების უფლება დარეგისტრირდა ქ.ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში.

მოსარჩელებმა მიმართეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სამსახურს მათი კუთვნილი შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით დარეგისტრირების შესახებ, რაზეც უარი ეთქვათ, ვინაიდან რეგისტრაცია უნდა განხორციელებულიყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული უარი უკანონოა და არღვევს მოსარჩელეთა უფლებებს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი მოტივებით: მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებით ნასყიდობის საგნის საკუთრების უფლება მოსარჩელებზე კანონით დადგენილი წესით არ გადასულა. მიწის მართვის დეპარტამენტის **1998 წლის 10 იანვრის** ბრძანებით საჯარო რეესტრი გაიმდიჯნა ტექნიკურსაგან და თავად ახდენდა საკუთრების უფლების რეგისტრაციას, ხოლო ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახური წარმოადგენდა საკუთრების ობიექტის ტექნიკურ მახასიათებლების დამდგენ ორგანოს. სს „ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატი“ კეთილსინდისიერი შემძენია და გარიგების დადების მომენტში მისთვის უცნობი იყო, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, რა სამართლებრივი მდგომარეობა გააჩნდა მოსარჩელების შენობებს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **2008 წლის 11 თებერვლისა და 21 აპრილის** განჩინებებით დავაში მოპასუხეებად ჩაებნენ ო. წ-ი და ლ. კ-ინი, ამავე სასამართლოს **2008 წლის 5 მაისისა და 6 ივნისის** განჩინებებით კი ნ. გ-იანის, ს. ქ-ძის, ვ. ბ-შვილის, თ. ა-იანის, დ. ა-იანის, მ. თ-ძის, ასევე ზ. ი-ძის მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა მხარეთა მორიგების გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **2008 წლის 12 სექტემბრის** გადაწყვეტილებით თ.კ-ძისა და ზ.კ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი **2007 წლის 8 ოქტომბრისა და 2008 წლის 27 მარტის** ხელშეკრულებები თ. კ-ძისა და ზ. კ-ძის კუთვნილი **620.84 კვ.მ** ლიტ «ე», «ე1» და **314.16 კვ.მ** ლიტ «ზ» შენობა-ნაგებობების მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის ნაწილში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საკუთრების უფლების აღრიცხვა ქ.ქუთაისში, ... 12-ში მდებარე შენობა-ნაგებობის – **620.84 კვ.მ** ლიტ «ე» და «ე1» თ. კ-ძის საკუთრებად, ხოლო **314.16 კვ.მ** ლიტ «ზ» – ზ. კ-ძის საკუთრებად, გაუქმდა საჯარო რეესტრის **2007 წლის 12 სექტემბრის** ჩანაწერი სს «ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატის» საკუთრებად **620.84 კვ.მ** და **314.16 კვ.მ** მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. კ-ინმა, ო. წ-მა და სს «ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატმა» გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის განჩინებით მოცემული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ზ.კ-ძისა და თ.კ-ძის სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში და გადაეცა განსჯად სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის“, ლ. კ-ინისა და ო. წ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ქ.ქუთაისში, ... 12-ში მდებარე უძრავი ქონების 2007 წლის 8 ოქტომბრისა და 2008 წლის 27 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებები თ.კ-ძისა და ზ.კ-ძის კუთვნილი 620,84 კვ.მ ლიტ «ე», ლიტ «ე1» და 314,16 კვ.მ ლიტ «ზ» შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება თ.კ-ძისა და ზ.კ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2000 წლის 8 ივნისის ხელშეკრულებით სს „ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატმა“ ზ. კ-ძეს მიჰყიდა ქ.ქუთაისში, ... ქ.12-ში მდებარე 314,16 კვ.მ ლიტერ „ზ“ არასაცხოვრებელი ფართი. ხელშეკრულება დამოწმდა სანოტარო წესით და დარეგისტრირდა ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში. 2000 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებით სს „ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატმა“ თ. კ-ძეს მიჰყიდა ქ.ქუთაისში, ... ქ.12-ში მდებარე არასაცხოვრებელი 620,84 კვ.მ ლიტერ „ე“, რაც დამოწმდა სანოტარო წესით და აღირიცხა ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში.

მხარეები არ დავობენ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი იყო მხოლოდ შენობა-ნაგებობები და არა მიწის ნაკვეთი და ხელშეკრულებები დარეგისტრირდა ტექსტურის ბიუროში 2000 წელს. 2007 წელს სს „ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატმა“ გააფორმა ორი ნასყიდობის ხელშეკრულება და გაასხვისა 43,572 კვ.მ უძრავი ქონება, რომელიც შეიძინა ო. წ-მა და შემდგომ გაასხვისა ლ. კ-ინზე. აღნიშნული ქონება კომბინატის მთლიან ტერიტორიას მოიცავდა მიწის ნაკვეთითა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. პალატამ აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარე დავის საგნად მხოლოდ მიწის ნაკვეთს უთითებს, რაც უსაფუძვლოა, რადგან შეუძლებელია მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა სხვადასხვა პირს ეკუთვნოდეს. ო. წ-ისა და ლ. კ-ინის მიერ უძრავი ქონების შეძენისას საჯარო რეესტრის ამონაწერში შენიშვნის სახით ფიქსირდებოდა, რომ ლიტ „ა-სა“ და ლიტ „გ-ში“ დარჩენილი ფართი გასხვისებული იყო. აღნიშნულ ლიტერებზე უფლებამოსილი პირები მორიგდნენ, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეების (მოსარჩევეების) უფლებების შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული არ ყოფილა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერით არ დადასტურდა თ. კ-ძისა და ზ. კ-ძის განმარტება ლიტერ „ე-სა“ და ლიტერ „ზ-ში“ არსებული ფართის მათი კუთვნილების თაობაზე, მყიდველისათვის ქონების შეძენის დროს აღნიშნულის შესახებ ცნობილი არ იყო, ანუ მყიდველი მოქმედებდა კეთილსინდისიერად. გამყიდველმა გაასხვისა მთლიანი მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ სადავო ლიტერებზე უფლება ტექსტურის ბიუროში დაარეგისტრირეს, რომელიც 1998 წლიდან უძრავ ნივთზე უფლების მარეგისტრირებელ ორგანოს არ წარმოადგენდა. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ, ვინაიდან საჯარო რეესტრში თ. კ-ძისა და ზ. კ-ძის საკუთრების შესახებ ჩანაწერი არ იყო, სადავო გარიგებების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლით, სადავო შენობა-ნაგებობაზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით და მიიჩნია, რომ 2000 წლის 8 ივნისის და 8 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებები დამოწმებულია სანოტარო წესით, ხოლო საქმის მასალებით ასევე უდავოდ დადგენილია, რომ ხელშეკრულებები ტექსტურის ბიუროში 2000 წელს დარეგისტრირდა. პალატის მითითებით, 2000 წლისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1514-ე მუხლის შესაბამისად, ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურები ახდენდნენ მიწასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის აღრიცხვას, რომელსაც არ გააჩნია საკუთრების უფლების იურიდიულად უფლებამოსილი მნიშვნელობა. კანონი იმპერატიულად აწესებდა აღნიშნული მონაცემების საჯარო რეესტრის სამსახურში წარდგენის აუცილებლობას, რაც თ. კ-ძისა და ზ. კ-ძის მხრიდან არ განხორციელებულა, ხოლო ო. წ-მა და ლ. კ-ინმა კანონის ეს დანაწესი დაიცვეს, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროს მყიდველი და გამყიდველი მოქმედებდა კანონის ფარგლებში. მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით დარეგისტრირდა ერთი უფლების ობიექტად.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტების განმარტება, რომ თ. კ-ძემ და ზ. კ-ძემ ნასყიდობის ხელშეკრულებები აღრიცხეს რა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში და არა საჯარო რეესტრში, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის საფუძველზე სადავო შენობა-ნაგებობის მიმართ მათ საკუთრების უფლება არ წარმოშობიათ, შესაბამისად, ამავე კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, მათ სადავო საკუთრების უფლების არსებობა ვერ დაადასტურეს.

პალატამ მიიჩნია, რომ სს „ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატს“, ო. წ-სა და ლ. კ-ინს შორის 2007 წელს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები კანონის დაცვითაა გაფორმებული და მისი ბათილობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეები არიან კეთილსინდისიერები, ვინაიდან შეძენის მომენტისათვის საჯარო რეესტრის ამონაწერში არსებული შენიშვნიდან გამომდინა-

რე, მათთვის ცნობილი ვერ იქნებოდა მიწის ნაკვეთზე განთავსებული სადავო შენობების ლიტერ „ე-სა“ და ლიტერ „ზ-ს“ სხვა პირებზე გასხვიების შესახებ. პალატამ მიიჩნია, რომ მხარე კეთილსინდისიერი შემძენია სადავო შენობების ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთის მიმართაც, რადგან საჯარო რეესტრის 2007 წლის 27 სექტემბერს და 8 ოქტომბრისათვის არსებულ ამონაწერებში მოსარჩელეთა უფლებების შესახებ ჩანაწერი არ არსებობდა, მასში ასახული იყო მხოლოდ სხვა პირთა უფლებები კონკრეტულ შენობაზე. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 185-ე, 312-ე და 477-ე მუხლების თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „ქუთაისის ტყავებს-საცმელების კომბინატი“ წარმოადგენს სადავო მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეს, სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის შესაბამისად, სს „ქუთაისის ტყავებს-საცმელების კომბინატმა“ ო. წ-ს, ხოლო ამ უკანასკნელმა ლ. კ-ის გადასცა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზ. კ-მე და თ. კ-მე გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 185-ე, 312-ე და 477-ე მუხლები, როდესაც იმსჯელა მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების სიზუსტეზე და სათანადოდ არ გამოიკვლია, იცოდა თუ არა შემძენმა სადავო უძრავი ნივთის ნაკლისა და უზუსტობის თაობაზე. ამ კუთხით გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას. სააპელაციო პალატას უნდა გაეზიარებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ სს „ქუთაისის ტყავებს-საცმელების კომბინატმა“ სადავო ფართი მიჰყიდა კასატორებს, ხოლო შემდეგ ხელმეორედ გაასხვისა იგივე ქონება ო.წ-სა და ლ.კ-ინზე. ამასთან, როგორც კომბინატის, ისე ო.წ-ისა და ლ.კ-ინის წარმომადგენლად გამოდიოდა ერთი და იგივე პირი. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვინაიდან კომბინატმა სადავო ფართი ო.წ-ზე გაასხვისა, როგორც არაუფლებამოსილმა პირმა, უძრავი ნივთის მესაკუთრეთა – კასატორთა ნებართვის გარეშე, რის გამოც გარიგება ამავე კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე ბათილია. სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ ლ.კ-ინმა, შემდეგ კი ო.წ-მა შეიძინა როგორც მიწის ნაკვეთი, ისე შენობა-ნაგებობა. პალატას პრეიუდიციული ძალა არ უნდა მიენიჭებინა ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც სადავო ნაგებობის ქვეშ არსებული სახელმწიფოს კუთვნილი მიწა უკანონოდ მიჩნეულ იქნა სს „ქუთაისის ტყავებს-საცმელების კომბინატის“ საკუთრებად. ადმინისტრაციულ დავაში მონაწილეობდა საჯარო რეესტრის სააგენტო, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მხარეა ო.წ-ი და ლ.კ-ინი.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ლ. კ-ინი გადასცემს საკუთრების უფლებას ზ. კ-მეს და თ. კ-მეს ქ.ქუთაისში, 12-ში მდებარე 2000 კვ.მ-ის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 1030407342);

2. მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდება საკუთრების უფლებით, რომლის ტექნიკური დახასიათება, გამოსახულება და ზომები მოცემულია მორიგების შეთანხმებაზე თანდართულ საკადასტრო ნახაზზე ნიმუშის სახით, კერძოდ, მიწის ნაკვეთი ქ.ქუთაისში, ... ქუჩაზე გადის 5 მეტრი სიგანის საავტომობილო შემოსასვლელით, ხოლო მთლიანობაში შიდა პერიმეტრის გათვალისწინებით შეადგენს 2000 კვ.მ-ს;

3. მხარეები თანხმდებიან, რომ საკუთრებაში გადასაცემ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით დამატებით შეადგენენ საკადასტრო აზომვით ნახაზს საჯარო რეესტრში წარსადგენად და სარეგისტრაციოდ ერთი თვის ვადაში. საჯარო რეესტრში საკადასტრო აზომვითი ნახაზის შედგენისა და წარდგენის ვალდებულებას კისრულობს ლ. კ-ინი;

4. ზ. კ-მე და თ. კ-მე უარს აცხადებენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებზე მოცემულ საქმეზე სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით და გამოხატავენ ნებას, გააფორმონ მორიგება მიწის ნაკვეთის თანასაკუთრებაში მიღების შესახებ თანდართული საკადასტრო აზომვით ნახაზში მითითებული კონფიგურაციითა და მოცემულობით;

5. წინამდებარე მორიგების შეთანხმება მხარეთა ნებას ემყარება და ისინი თანახმა არიან, ნებაყოფლობით აღასრულონ აღნიშნული განჩინება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აღსრულდება იძულებით;

6. მხარეები თანხმდებიან, რომ ზ. კ-მე და თ. კ-მე 12 თვის განმავლობაში ისარგებლებენ ამჟამად მათ მფლობელობაში არსებული სადავო შენობა-ნაგებობით, რომლის შემდგომ ლ.კ-ინის მოთხოვნისთანავე დაიცვლება სადავო ქონება, ხოლო 12 თვე აითვლება მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში, მორიგების პირობების თანახმად, ზ. კ-მეზე და თ. კ-მეზე რეგისტრაციის მომენტიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებ-

ლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. კ-ძეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 19 აპრილს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 628 ლარის ოდენობით, ხოლო თ. კ-ძეს – მის მიერ 2010 წლის 19 აპრილს გადახდილი 1240 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე, მე-3, მე-4 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

დამტკიცდეს მორიგება, ერთი მხრივ, ლ. კ-ინს, ხოლო, მეორე მხრივ, ზ. კ-ძესა და თ. კ-ძეს შორის შემდეგი პირობებით:

1. ლ. კ-ინი გადასცემს საკუთრების უფლებას ზ. კ-ძეს და თ. კ-ძეს ქ.ქუთაისში, 12-ში მდებარე 2000 კვ.მ-ის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 1030407342);

2. მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდება საკუთრების უფლებით, რომლის ტექნიკური დახასიათება, გამოსახულება და ზომები მოცემულია მორიგების შეთანხმებაზე თანდართულ საკადასტრო ნახაზზე ნიშნის სახით, კერძოდ, მიწის ნაკვეთი ქ.ქუთაისში, ... ქუჩაზე გადის 5 მეტრი სიგანის საავტომობილო შემოსასვლელით, ხოლო მთლიანობაში შიდა პერიმეტრის გათვალისწინებით შეადგენს 2000 კვ.მ-ს;

3. მხარეები თანხმდებიან, რომ საკუთრებაში გადასაცემ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით დამატებით შეადგენენ საკადასტრო აზომვით ნახაზს საჯარო რეესტრში წარსადგენად და სარეგისტრაციოდ ერთი თვის ვადაში. საჯარო რეესტრში საკადასტრო აზომვითი ნახაზის შედგენისა და წარდგენის ვალდებულებას კისრულობს ლ. კ-ინი;

4. ზ. კ-ძე და თ. კ-ძე უარს აცხადებენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებზე მოცემულ საქმეზე სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით და გამოხატავენ ნებას, გააფორმონ მორიგება მიწის ნაკვეთის თანასაკუთრებაში მიღების შესახებ თანდართული საკადასტრო აზომვით ნახაზში მითითებული კონფიგურაციითა და მოცემულობით;

5. წინამდებარე მორიგების შეთანხმება მხარეთა ნებას ემყარება და ისინი თანახმა არიან, ნებაყოფლობით აღსრულონ აღნიშნული განჩინება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აღსრულდება იძულებით;

6. მხარეები თანხმდებიან, რომ ზ. კ-ძე და თ. კ-ძე 12 თვის განმავლობაში ისარგებლებენ ამჟამად მათ მფლობელობაში არსებული სადავო შენობა-ნაგებობით, რომლის შემდგომ ლ.კ-ინის მოთხოვნისთანავე გამოთავისუფლდება სადავო ქონება. 12 თვე ათვლება მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში, მორიგების პირობების თანახმად, ზ. კ-ძეზე და თ. კ-ძეზე რეგისტრაციის მომენტიდან.

შეწყდეს საქმის წარმოება ზ. კ-ძის და თ. კ-ძის სარჩელისა გამო სს «ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატის», საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირების ო. წ-ისა და ნოტარიუს ე. გ-შვილის მიმართ გარიგების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების აღრიცხვის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

ზ. კ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 628 ლარი.

თ. კ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1240 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მორიგების გამო

განჩინება

1ას-28-27-2010

15 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ალიმენტის ოდენობის შეცვლა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ფ-ავამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ნ-ძის მიმართ ალიმენტის ოდენობის შეცვლის შესახებ.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ფ-ავას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ა. ნ-ძის მიმართ დადგენილი ალიმენტის ოდენობა შეიცვალა და დაეკისრა ალიმენტის გადახდა თავისი არასრულწლოვანი შვილის – 1999 წლის 13 დეკემბერს დაბადებული ბ. ნ-ძის სასარგებლოდ ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით მისი სრულწლოვანების მიღწევამდე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. ფ-ავამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინებით ნ. ფ-ავას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ 2009 წლის 7 მაისს, ნ. ფ-ავას სარჩელის წარდგენის დროისათვის, ალიმენტის გადამხდელის – ა. ნ-ძის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა ისეთივეა, როგორც იყო 2006 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის, კერძოდ, საკუთრებაში გააჩნია ერთი მიკროავტობუსი, რომლითაც თვეში მუშაობს მხოლოდ 10 დღეს, მისი წლიური მოგება შეადგენს 500 ლარს, იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, მისი ოჯახი შესდგება შვიდი სულისაგან, მათ შორის, არასრულწლოვანისა და პენსიონერებისაგან, მეუღლე კი უმუშევარია, პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს, სამოქალაქო კოდექსის 1231-ე მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვანი შვილის – ბ. ნ-ძის სასარგებლოდ დაკისრებული ალიმენტის ოდენობის გაზრდის ფაქტობრივი საფუძველი.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ნ. ფ-ავამ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი შვილის რჩენაში ა. ნ-ძე მონაწილეობას არ ღებულობს და მისი დახმარება შემოიფარგლება მხოლოდ 40 ლარის გადახდით თვეში ალიმენტის სახით. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 22 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შემდეგ მან შეიძინა ძვირადღირებული მიკროავტობუსი, რაც ნიშნავს იმას, რომ ა. ნ-ძის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

ა. ნ-ძე კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს მის შვილს – ბ. ნ-ძეს მის სრულწლოვანებამდე ყოველთვიურად 65 ლარი. მითითებულ თანხას გადაუხდის ივლისიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. ამავ კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, მხარეთა მორიგების გამო, უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით:

ა. ნ-მე კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს მის შვილს – ბ. ნ-მეს მის სრულწლოვან ასაკის მიღწევამდე, ყოველთვიურად 65 ლარი. მითითებულ თანხას გადაუხადის ივლისიდან;

მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1-ას-956-1235-09

20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი გარეშე საკასაციო პალატამ განიხილა შპს «საქართველოს რკინიგზისა» და სს «... ბანკის» ერთობლივი განცხადება მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული შპს «საქართველოს რკინიგზის» საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის განჩინებაზე, სამოქალაქო საქმეზე შპს «საქართველოს რკინიგზის» სარჩელის გამო მოპასუხე სს «... ბანკი-ს» თაობაზე. ამავე პალატის 2010 წლის 11 იანვრის განჩინებით განსახილველად მიღებულ იქნა შპს «საქართველოს რკინიგზის» საკასაციო საჩივარი.

2010 წლის 23 აპრილს მხარეთა მორიგების მიზნით დაინიშნა სასამართლოს სხდომა. საქმის განხილვა არაერთხელ გადაიდო მხარეთა ინიციატივით მორიგების პირობების შესათანხმებლად.

2010 წლის 10 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების შესრულებაზე, ხოლო და მათ შორის ურთიერთობა მოწესრიგდება 2010 წლის 3 სექტემბერს შპს «საქართველოს რკინიგზის», სს «... ბანკს», შპს სადაზღვევო კომპანია «...», სს «...» და შპს «...» შორის დადებული ხელშეკრულებით (მორიგების აქტი).

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა მორიგების აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ.

ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს «საქართველოს რკინიგზისა» და სს «... ბანკს» შორის დამტკიცდეს მორიგება შემდეგი პირობებით:

შპს «საქართველოს რკინიგზის» უარი განაცხადა სს «... ბანკის»¹ 618211-693937 და 1618211-693939 საბანკო გარანტიებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე (თანხის გადახდაზე).

მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, რომ მათ შორის არსებული უფლება-მოვალეობანი დარეგულირდეს 2010 წლის 3 სექტემბერს შპს «საქართველოს რკინიგზის», სს «... ბანკს», შპს სადაზღვევო კომპანია «...», სს

«...» და შპს «...» შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად (შპს «საქართველოს რკინიგზის» საკუთრებაში არსებული ორი სადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.)

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო, უნდა გაუქმდეს საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» პუნქტის თანახმად, შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი სახით:

შპს «საქართველოს რკინიგზამ» უარი განაცხადა სს «... ბანკის»¹ 618211-693937 და 1618211-693939 საბანკო გარანტიებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე (თანხის გადახდაზე).

მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, რომ მათ შორის არსებული უფლება-მოვალეობანი დარეგულირდეს 2010 წლის 3 სექტემბერს შპს «საქართველოს რკინიგზას», სს «... ბანკს», შპს სადაზღვევო კომპანია «...», სს «...» და შპს «...» შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად (შპს «საქართველოს რკინიგზის» საკუთრებაში არსებული ორი სადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.)

გაუქმდეს საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყდეს.

განემართოთ მხარეებს, რომ იგივე მხარეებს შორის იგივე დავაზე სასამართლოსათვის მიმართვა დაუშვებელია.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-331-308-2010

27 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ჯ. ბ-ურმა მოპასუხეების – კ. მ-ძის, თ. მ-ძის, თ. ქ-ძის, ლ. მ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის მის სასარგებლოდ სოლიდარულად 65 730 აშშ დოლარის დაკისრება (მათ შორის: 1. უძრავი ნივთის შესაძენად მის მიერ გადახდილი 12 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი – 23 160 ლარი; 2. აღნიშნული თანხის 3% ყოველთვიურად – 694,80 ლარი; 3. სატელეფონო დავალიანებისა და აზომვითი ნახაზის შესადგენად გადახდილი თანხა – 247 ლარი; 4. აღნიშნული თანხის 3% ყოველთვიურად – 7,41 ლარი; 5. მის მიერ გადახდილი ელექტროენერგიის დავალიანების თანხა – 521,40 ლარი; 6. აღნიშნული თანხის 3% – ყოველთვიურად 15.64 ლარი; 7. სახლის რემონტზე გაწეული ხარჯი – 8 557 ლარი; 8. აღნიშნული თანხის 3% – ყოველთვიურად 256.71 ლარი), ასევე 2007 წლის 29 სექტემბრიდან ვალის საბოლოოდ გასტუმრებამდე ყოველთვიურად 1 971 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2003 წლის 18 მაისს მოპასუხეებთან – და-ძმა კ. და თ. მ-ძებთან, თ. ქ-ძესთან დადო თბილისში, ... ქ. 154ა-ში მდებარე სახლზე ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით. სახლის ნასყიდობის ფასი შეადგენდა 14 000 აშშ დოლარს. ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელემ მოპასუხეებს გადაუხადა 9 400 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი თანხა უნდა დაეფარა 2005 წლის 10 ნოემბრამდე. მოსარჩელის სახელზე სახლის გადაფორმება უნდა მომხდარიყო თანხის სრულად დაფარვის შემდეგ. 2004 წლის აგვისტოში თვეში მოპასუხეებმა დაცალეს სახლი და მას შემდეგ მოსარჩელე ცხოვრობს აღნიშნულ სახლში ოჯახთან ერთად. პარალელურად მოსარჩელემ დაიწყო სახლის გადასაფორმებლად საჭირო დოკუმენტების შეგროვება, კერძოდ, 2004 წლის 10 მაისს აიღო სახლის საკადასტრო რუქა, დაამზადებინა სახლის გეგმა, გადაიხადა არსებული ელექტროენერგიის დავალიანება – 521,40 ლარი, რაზეც მოსარჩელესა და სს

«თელასს» შორის გაფორმდა გადახდის განაწილვადების ხელშეკრულება, ასევე, გადაიხადა ტელეფონის დავალიანება – 187 ლარი, სახლის აზომვითი სამუშაოების ჩატარების საფასური – 60 ლარი, ე.ი. მოსარჩელემ დამატებით გასწია ხარჯი 768,40 ლარის ოდენობით, რაც მოპასუხესთან შეთანხმებით შედიოდა სახლის დირებულებაში – 14 000 აშშ დოლარში. მოსარჩელემ მოპასუხეებს ასევე გადაუხადა სახლის ნასყიდობის ფასის ნაწილი – 500 აშშ დოლარი და 2 100 აშშ დოლარი. გარდა ამისა, მოსარჩელემ სახლში ჩაატარა რემონტი, რაზეც გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 8 557 ლარი.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2001 წლის მაისში მოპასუხეებმა მოსარჩელეს განუცხადეს, რომ ბინები გამვირდა, შეთანხმებულ ფასში ვეღარ გაუფორმებდნენ სახლს და მოითხოვეს სახლის დაცლა. ამ დროისათვის მოსარჩელეს სახლის ნასყიდობის ფასის სახით გადახდილი ჰქონდა სულ 12 000 აშშ დოლარი, რაც მაშინდელი მდგომარეობით შეადგენდა 23 160 ლარს. სულ მოპასუხეებისათვის გადახდილი თანხა და მოსარჩელის მიერ სახლზე გაწეული ხარჯი შეადგენდა 32 485,40 ლარს.

მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ის, რაც ვალდებულების გარეშე გადახდილი, შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით, ასევე, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ, ვინაიდან კანონით დადგენილი წესით მხარეებს შორის არ გაფორმებულა სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, მოპასუხეებისათვის გადაცემული თანხა და გაწეული ხარჯი, რაც შეადგენს 32 485,40 ლარს, მოსარჩელს მთლიანად უნდა დაუბრუნდეს.

მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ფულად ვალზე პროცენტის დაკისრება სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის საფუძველზე, სულ 33 245 ლარის ოდენობით, რომელშიც შედიოდა:

1. 2004 წლის 18 მაისისათვის მოპასუხეებისათვის გადაცემული 9 400 აშშ დოლარის (18 142 ლარის) ყოველთვიური 3% – 544,26 ლარი, 2004 წლის 18 მაისიდან 18 სექტემბრამდე, ე.ი. 4 თვის განმავლობაში – 2 177 ლარი;

2. 2004 წლის 29 სექტემბრისათვის მოპასუხეებისთვის გადაცემული 12 000 აშშ დოლარის (23 160 ლარი), რომლის ყოველთვიური 3% შეადგენდა 694,80 ლარს. 2004 წლის 29 სექტემბრიდან სარჩელის აღძვრამდე – 2007 წლის 29 სექტემბრამდე – გასული იყო 36 თვე, ე.ი. 36 თვის სარგებელი შეადგენდა 25 012,80 ლარს;

3. 2004 წლის 10 ივნისისთვის მოსარჩელემ დაფარა ტელეფონის დავალიანება და აზომვითი ნახაზის საფასური – სულ 247 ლარი, რომლის ყოველთვიური 3% შეადგენდა 7,41 ლარს, ხოლო სარჩელის შეტანამდე გასული იყო 39 თვე, რომლის სარგებელი შეადგენდა 288,99 ლარს;

4. 2005 წლის 9 სექტემბრისთვის მოსარჩელეს დაფარული ჰქონდა ელექტროენერგიის დავალიანება – 521,40 ლარი, რომლის ყოველთვიური 3% შეადგენდა 15,64 ლარს. სარჩელის შეტანამდე გასული იყო 24 თვე, რომლის სარგებელი შეადგენდა სულ 375,36 ლარს;

5. 2005 წლის დეკემბრისათვის მოსარჩელეს სახლის რემონტზე დახარჯული ჰქონდა 8 557 ლარი, რომლის ყოველთვიური 3% შეადგენდა 256,71 ლარს. სარჩელის შეტანამდე გასულია 21 თვე, რომლის სარგებელი შეადგენდა სულ 5 390,91 ლარს.

მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სარჩელის შეტანიდან – 2007 წლის 29 სექტემბრიდან ვალის საბოლოოდ გასტუმრებამდე ყოველთვიურად 1 971 ლარის ანაზღაურება, მის მიერ გადახდილი სახელწიფო ბაჟისა და ადვოკატების მიერ გაწეული მომსახურების თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ბ-ურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: კ. მ-ძეს, თ. მ-ძეს, ლ. მ-ძესა და თ. ქ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ 31 933,74 ლარი, ამავე გადაწყვეტილებით თ. მ-ძეს და ლ. მ-ძეს ჯ. ბ-ურის სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ 9 325 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ბ-ურმა, რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს აგრეთვე ლ. მ-ძემ, თ. მ-ძემ, კ. მ-ძემ და თ. ქ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება 18 309,52 ლარის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით ჯ. ბ-ურის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ასევე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კ. მ-ძის, თ. მ-ძის, თ. ქ-ძისა და ლ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც კ. მ-ძეს, თ. მ-ძეს, თ. ქ-ძესა და ლ. მ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ 31 933 ლარი, 74 თეთრი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ჯ. ბ-ურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – კ. მ-ძეს, თ. მ-ძეს, თ. ქ-ძეს და ლ. მ-ძეს ჯ. ბ-ურის სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ 13 894,16 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2004 წლის 18 მაისს ჯ. ბ-ურსა და მოპასუხეებს: კ. მ-მეს, თ. მ-მეს და თ. ქ-მეს შორის დაიდო მარტივი წესრიგითი ფორმით თბილისში, ... ქ. 154-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. ბინის ღირებულება განისაზღვრა 14 000 აშშ დოლარით. ხელშეკრულების დადებისას ჯ. ბ-ურმა მოპასუხეებს გადაუხადა 9 400 აშშ დოლარი. დარჩენილი 4 600 აშშ დოლარი ჯ. ბ-ურს უნდა გადაეხადა 2005 წლის 10 ნოემბერს. 2004 წლის 2 აგვისტოს მოპასუხე თ. ქ-მეს ჯ. ბ-ურმა გადასცა 500 აშშ დოლარი. 2004 წლის 29 სექტემბერს კ. მ-მეს ჯ. ბ-ურმა გადასცა 2 100 აშშ დოლარი, საერთო ჯამში – 12 000 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმის გამო, რომ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას არ იქნა დაცული სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის იმ დროისათვის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული მოთხოვნები, 2004 წლის 18 მაისს დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ბათილ გარიგებას, რასაც არც მხარეები ხდიდნენ სადავოდ.

სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის (2007 წლის 29 ივნისის 15127 კანონით განხორციელებულ ცვლილებებამდე რედაქცია) გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფულად ვალზე უნდა გადახდილიყო პროცენტი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში განთავსებულ 2005 წლის 6 ივლისის შეტყობინებაზე, რომლითაც მოპასუხეები ატყობინებდნენ ჯ. ბ-ურს, რომ, რადგან 2004 წლის 18 მაისს შედგენილი გარიგება დადებული იყო სამოქალაქო კოდექსის 68-ე-69-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევით და ამავე კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა ბათილ გარიგებას, მხარეები სთავაზობდნენ ერთმანეთს იმის დაბრუნებას, რაც გარიგების საფუძველზე ერთმანეთისაგან ჰქონდათ მიღებული. დასახელებული შეტყობინებით მოპასუხეებმა განსაზღვრეს მიღებული ქონების ერთმანეთისათვის დასაბრუნებლად 2 თვის ვადა. ჯ. ბ-ურმა შეთავაზებულ წინადადებაზე უარი განაცხადა, 2005 წლის ივლისში სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად და ბინის მესაკუთრედ ცნობა.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ ფულად ვალზე (12 000 აშშ დოლარი) პროცენტის დაკისრების პერიოდი – 2004 წლის 18 მაისიდან 2005 წლის 7 ივლისამდე დროის მონაკვეთი, განსაზღვრა მართებულიად. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მხარეებს შორის ვალდებულება უნდა შეწყვეტილიყო სამოქალაქო კოდექსის 427-ე-454-ე და 434-ე მუხლების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემული შემთხვევა არ წარმოადგენდა სტანდარტულ ვალდებულებით ურთიერთობას, რომელიც წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით. მხარეთა შორის ბათილი გარიგების საფუძველზე წარმოიშვა კონდიქციური ვალდებულება, რომლის დროსაც ხელშეკრულების ორივე მხარის ვალდებულებას შეადგენს მიღებული სარგებლის (ქონების) უკან დაბრუნება და ვალდებულების შეწყვეტა არ შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ კრედიტორის მიმართ ცალმხრივად ვალდებულების შესრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეებს მართებულიად არ დააკისრა 2005 წლის 6 ივლისიდან 2007 წლის 29 სექტემბრამდე პერიოდის სარგებელი – 18 597.48 ლარი. სააპელაციო სასამართლომ ამავე თვალსაზრისით უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე 2007 წლის 29 სექტემბრიდან ფულადი ვალის საბოლოო გასტუმრებამდე სარგებლის დაკისრების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა ელექტროენერჯის, ტელეფონის დავალიანების, სახლის აზომვითი სამუშაოების ჩატარებასა და რემონტის თანხებზე სარგებლის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები; თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელების მიერ საქმეზე წარდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა, რომ ჯ. ბ-ურმა მოპასუხეებს გადასცა ელექტროენერჯის, ტელეფონის დავალიანების, სახლის აზომვითი სამუშაოების ჩატარებისა და რემონტის თანხები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებს მოსარჩელის მიმართ არ წარმოშობიათ თანხის გადაუხდელობისათვის პროცენტის გადახდის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და მიიჩნია, რომ მოპასუხეების – თ. მ-მისა და ლ. მ-მის, როგორც სახლის მესაკუთრეების, უსაფუძვლო გამდიდრება მოხდა თბილისში, ... ქ. 154-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოებით, დაფარული კომუნალური დავალიანებებითა და სახლის აზომვითი ნახაზის შესრულებით. თ. მ-მესა და ლ. მ-მეს წარმოეშვათ ვალდებულება, ჯ. ბ-ურისათვის დაებრუნებინათ 9 325 ლარი (სარემონტო სამუშაოების ღირებულება) 8 557 ლარს + ელექტროენერჯის დავალიანებისათვის გადახდილი 521 ლარი + ტელეფონის დავალიანებისათვის გადახდილი 187 ლარი + სახლის აზომვითი სამუშაოებისათვის გაწეული 60 ლარი).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლზე და განმარტა, რომ პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს

(მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი შესაგებლით მოპასუხეებმა სარჩელი ცნეს ნაწილობრივ – 12 000 აშშ დოლარისა და მოსარჩელის მიერ გადახდილი ელექტროენერჯის დავალიანების – 521.40 ლარის დაბრუნების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა ბინის ღირებულების გადახდის დროისათვის დოლარის კურსის ლართან შესაბამისობის დადგენისა და მასზე ყოველთვიური 3%-ის დარიცხვის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის თანახმად, თუ მიმღებმა იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან 979-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე, ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე. დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეემლო მიელო მეურნეობის სათანადოდ გაძღოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. ამავე კოდექსის 403-ე მუხლით (2007 წლის 29 ივნისის 15127 კანონით განხორციელებულ ცვლილებებამდე რედაქცია) მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია ვადაგადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი. ამავე კოდექსის 625-ე მუხლის (2007 წლის 29 ივნისის 15127 კანონით განხორციელებულ ცვლილებებამდე რედაქცია) თანახმად, სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია.

სააპელაციო სასამართლომ ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებული 2004-2005 წლების წლიური საპროცენტო განაკვეთების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან შესაბამისად გონივრულ წლიურ საპროცენტო განაკვეთად მიიჩნია 15%-იანი განაკვეთი.

მოპასუხეებისათვის დასაკისრებელი თანხების ოდენობა სააპელაციო სასამართლომ შემდეგნაირად გამოიანგარიშა:

2004 წლის 18 მაისისათვის გადახდილი იყო 9 400 აშშ დოლარი, რომლის ყოველთვიური პროცენტი შეადგენდა 117.5 აშშ დოლარს (წლიური 15% : 12 თვეზე = 1.25%) (9 400 : 100 X 1.25 = 117.5);

2004 წლის 18 მაისიდან 2004 წლის 29 სექტემბრამდე გასულია 4 თვე და 10 დღე. შესაბამისად, მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენდა 117.5×4 თვეზე = 470 აშშ დოლარს, რომელსაც უნდა დამატებოდა 10 დღის ზიანი ($470/30 \times 10 = 39.16$) – 39.16 აშშ დოლარი;

2004 წლის 29 სექტემბრიდან მოპასუხეებს ჯ. ბ-ურისაგან მიღებული ჰქონდათ 12 000 აშშ დოლარი, რომლის 1.25% თვეში შეადგენდა 150 აშშ დოლარს;

2004 წლის 29 სექტემბრიდან 2005 წლის 6 ივლისამდე გასული იყო 9 თვე და 7 დღე. შესაბამისად, მიყენებული ზიანის ოდენობა 9 თვეზე შეადგენდა 1 350 აშშ დოლარს ($150 \times 9 = 1 350$), რომელსაც უნდა დამატებოდა 7 დღის ზიანი 35 აშშ დოლარი ($150/30 \times 7 = 35$).

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო ჯამში მოსარჩელის მიერ გადახდილ ძირითად თანხას, რაც შეადგენდა 12 000 აშშ დოლარს დოლარს, უნდა დამატებოდა ყოველთვიური სარგებელი – 1 894.16 აშშ დოლარი, რაც შეადგენდა 13 884 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს და რაც სოლიდარულად გადასახდელად უნდა დაკისრებოდათ მოპასუხეებს ჯ. ბ-ურის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ბ-ურმა. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილებში გაუქმებას, რომლითაც გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება კ. მ-ძის, თ. მ-ძის, თ. ქ-ძისა და ლ. მ-ძისათვის 31 933.74 ლარის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით დასახელებულ პირებს ჯ. ბ-ურის სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ 13 894.16 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. სარგებლის მიღებისა და პროცესის ხარჯების მოპასუხეებისათვის დაკისრებაზე ნაწილობრივ უარის თქმის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, კ. მ-ძეს, თ. მ-ძეს, თ. ქ-ძესა და ლ. მ-ძეს ჯ. ბ-ურის სასარგებლოდ გადახდათ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 416.82 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ჯ. ბ-ურის მიერ სააპელაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩა ბიუჯეტში გადახდილად, ჯ. ბ-ურს კ. მ-ძის, თ. მ-ძის, თ. ქ-ძისა და ლ. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელთა მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 219.11 აშშ დოლარის ანაზღაურება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნებას.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველები მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გააუქმა იმ ნაწილში, რომლითაც კ. მ-ძეს, თ. მ-ძეს, თ. ქ-ძეს და ლ. მ-ძეს ჯ. ბ-ურის სასარგებლოდ დაეკისრათ **31 933.74** ლარის გადახდა და ამ ნაწილში მიიღო ახალი გადაწყვეტილება: მოპასუხეებს ჯ. ბ-ურის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრათ **13 894.16** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. საქმის განმხილველმა სასამართლომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა იმით დაასაბუთა, რომ ფულადი მოთხოვნების შესრულებისას მოქმედებს ნომინალიზმის პრინციპი. ეს პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ვალი უნდა დაიფაროს ნაკისრ თანხაში. რამდენადაც მოპასუხეებმა ბათილი გარიგების საფუძველზე ჯ. ბ-ურისაგან მიიღეს **12 000** აშშ დოლარი, თანხის უკან დაბრუნება უნდა მოხდეს იმავე ვალუტაში, ანუ, ჯ. ბ-ურს უნდა დაუბრუნდეს **12 000** აშშ დოლარი.

კასატორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის **377-ე** მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეებს – კ. მ-ძეს, თ. მ-ძეს, თ. ქ-ძეს და ლ. მ-ძეს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ საქალაქო სასამართლოს **2008** წლის **22** დეკემბრის გადაწყვეტილება **24 186.98** ლარის (გადახდილი **12 000** აშშ დოლარის ანუ **22 961.5** ლარის, გადახდილი ელექტროენერგიის ღირებულების – **521** ლარის და ამ თანხებზე დაკისრებული **3%**-ის, სახელმწიფო ბაჟის **688.85** ლარის, **15.63** ლარის) დაკისრების ნაწილში. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა დასახელებულ ნაწილში.

კასატორი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის **383-ე** მუხლის თანახმად ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც. სადავო შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ შესაძენ სახლში ჯ. ბ-ურს მოპასუხეებისათვის უნდა გადაეხადა **14 000** აშშ დოლარი. კასატორმა მოპასუხეებს გადასცა **23 160** ლარი. «საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ» ორგანული კანონის **34-ე** მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე. დაუშვებელია გადახდის ვალუტას წარმოადგენდეს არაეროვნული ვალუტა. ამ კანონზე დაყრდნობით კასატორი მიიჩნევს, რომ მოპასუხეებს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ არა დოლარის (როგორც ეს განახორციელა სააპელაციო სასამართლომ), არამედ ლარის გადახდა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეებს ჯ. ბ-ურის სასარგებლოდ დააკისრა სარგებელი – **1 894.16** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია საქართველოს ეროვნული ბანკის **2009** წლის **6** აპრილის ცნობა ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთის შესახებ, კერძოდ, წლიურ საპროცენტო განაკვეთად ჩათვალა **15%**. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ეროვნული ბანკის **2009** წლის **15** ოქტომბრის ცნობა საქმეს დაურთო ინფორმაციის სახით, სიტყვიერად კი განმარტა, რომ მას საქმეში მტკიცებულებად არ გამოიყენებდა. მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ცნობის ინფორმაციის სახით საქმეზე დართვას. ამასთან, აღნიშნული ცნობა, როგორც დაგვიანებით წარდგენილი, სააპელაციო სასამართლოს საქმეზე არ უნდა დაერთო.

საკასაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე მხარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა მორიგების აქტი, რომლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. კ. მ-ძე, თ. ქ-ძე, ლ. და თ. მ-ძეები იღებენ ვალდებულებას, ჯ. ბ-ურს **2011** წლის **28** თებერვლამდე გადაუხადონ **25 000** აშშ დოლარი.

2. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ანუ ამ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კ. მ-ძე, ლ. და თ. მ-ძეები და თ. ქ-ძე კისრულობენ ვალდებულებას, ჯ. ბ-ურს გადაუხადონ პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე **800** აშშ დოლარი.

3. ჯ. ბ-ური ვალდებულებას იღებს, ხელი არ შეუშალოს მეორე მხარეს დავის პერიოდში დაყადაღებული ბინის (მისამართი: ქ. თბილისი, ... **54**) გასხვისებაში, ანუ მოეხსნას ყადაღა ბინას მთლიანი თანხის მიღებისთანავე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის **272-ე** მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **272-ე** მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

I. დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. კ. მ-ძე, თ. ქ-ძე, ლ. და თ. მ-ძეები იღებენ ვალდებულებას, ჯ. ბ-ურს 2011 წლის 28 თებერვლამდე გადაუხადონ 25 000 აშშ დოლარი;

2. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ანუ ამ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კ. მ-ძე, ლ. და თ. მ-ძეები და თ. ქ-ძე კისრულობენ ვალდებულებას, ჯ. ბ-ურს გადაუხადონ პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 800 აშშ დოლარი;

3. ჯ. ბ-ური ვალდებულებას იღებს, ხელი არ შეუშალოს მეორე მხარეს დავის პერიოდში დაყადაღებული ბინის (მისამართი: ქ. თბილისი, ... 54) გასხვისებაში, ანუ მოეხსნას ყადაღა ბინას მთლიანი თანხის მიღების-თანავე.

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად შეწყდეს საქმის წარმოება.

III. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

IV. ჯ. ბ-ურს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 2 036.02 ლარი;

V. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-410-383-2010

28 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 აგვისტოს თელავის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს ს., ე. და ნ. თ-შვილებმა მოპასუხეების – დ. თ-შვილისა და ნოტარიუს ც. კ-შვილის მიმართ. მოსარჩელების საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა: ა. ი. თ-შვილის დანაშთ ქონებაზე, თელავში, ... ქ. 115-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6-ზე 2006 წლის 25 დეკემბერს დ. თ-შვილის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება; ბ. საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ს., ე. და ნ. თ-შვილების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ი. თ-შვილის დანაშთ ქონებაზე – თელავში, ... ქ. 115-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6-ზე 2006 წლის 25 დეკემბერს დ. თ-შვილის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა ბათილად იქნა ცნობილი დანაშთი ქონების 2/3-ზე; საჯარო რეესტრის ჩანაწერში: სარეგისტრაციო ზონა – თელავი, კოდი ..., სექტორი ქ. თელავი, კოდი ..., კვარტალი 1..., ნაკვეთი 1..., ფართობი კვ.მ დაზუსტებული 1250, ნაკვეთის მისამართი – თელავი, ... ქ. 1..., საერთო საკუთრება, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი, შვიი-და შესაბამისი ცვლილება და რეგისტრაცია გაუქმდა დ. თ-შვილზე აღრიცხული საერთო ფართის 2/6-ის 2/3-ზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

დ. თ-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ბათილად იქნებოდა ცნობილი მის სახელზე 2006 წლის 25 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობა ი. თ-შვილის დანაშთი ქონების 1/3-ში.

ს., ე. და ნ. თ-შვილებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. გარდა ამისა, აპელანტებმა მოითხოვეს თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც სასამართლომ მათი შუამდგომლობა დ. თ-შვილის 1985 წლის 17 ოქტომბრით დათარიღებული განცხადების საქმიდან ამორიგების შესახებ არ დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. თ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ს., ე. და ნ. თ-შვილების სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ს., ე. და ნ. თ-შვილების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ი. თ-შვილის დანაშთი ქონებაზე – თელავში, ... ქ. 115-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6-ზე 2006 წლის 25 დეკემბერს დ. თ-შვილის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა ბათილად იქნა ცნობილი დანაშთი ქონების 1/2-ზე; საჯარო რეესტრის ჩანაწერში: სარეგისტრაციო ზონა – თელავი, კოდი ..., სექტორი ქ. თელავი, კოდი ..., კვარტალი 1..., ნაკვეთი 1..., ფართობი 1250 კვ.მ დაზუსტებული, ნაკვეთის მისამართი – თელავი, ... ქ. 1..., საერთო საკუთრება, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი, შევიდა შესაბამისი ცვლილება და რეგისტრაცია გაუქმდა დ. თ-შვილზე აღრიცხული საერთო ფართის 2/6-ის 1/2-ზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თელავში, ... ქ. 1...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა ი. თ-შვილის (4/6) და ე. ჯ-შვილის (2/6) საკუთრებას;

1971 წლის 9 მარტის ჩუქების ხელშეკრულებით ი. თ-შვილმა კუთვნილი საცხოვრებელი სახლის ნახევარი (პირველი სართული) საკუთრების უფლებით უსასყიდლოდ გადასცა დედას – ს. თ-შვილს, რაც აღირიგნა თელავის ტექნიკური ინჟინერიის ბიუროში;

1972 წელს გარდაიცვალა ს. თ-შვილი. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის გზით დაეუფლა მისი შვილი ი. თ-შვილი;

1980 წლის 18 ივლისის ჩუქების ხელშეკრულებით ი. თ-შვილმა მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის მეორე ნახევარი (მეორე სართული) საკუთრების უფლებით, უსასყიდლოდ გადასცა თავის შვილს – სა. თ-შვილს;

ი. თ-შვილი გარდაიცვალა 1985 წლის 14 ივნისს. სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის მისი პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ: მეუღლე – ნ. თ-შვილი; შვილები – სა. და დ. თ-შვილები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ დავაში სასამართლოს უნდა ემსჯელა როგორც ი. თ-შვილის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს გახსნასა და განაწილებაზე, ასევე, ნ. თ-შვილის (ი. თ-შვილის მეუღლე) გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს გახსნასა და განაწილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ ი. თ-შვილის სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდათ მისი პირველი რიგის მემკვიდრეებს: ნ. თ-შვილს 1/3, სა. თ-შვილს 1/3 და დ. თ-შვილს 1/3. 1989 წელს გარდაიცვალა ნ. თ-შვილი. ამ უკანასკნელის სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის მემკვიდრეების I რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ სა. თ-შვილი და დ. თ-შვილი. სამკვიდრო არც ერთ მათგანს სანოტარო ბიუროში განცხადების შეტანის გზით არ მიუღიათ. რაც შეეხება ფაქტობრივი ფლობის გზით ნ. თ-შვილის სამკვიდროს მიღებას, სა. თ-შვილი სრულად დაეუფლა ნ. თ-შვილის სამკვიდრო ქონებას, რამაც ი. თ-შვილის დანაშთი ქონებასთან ერთად შეადგინა $2/3 (1/3+1/3=2/3)$.

სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ნ. თ-შვილის გარდაცვალების დროისათვის სა. თ-შვილი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა თელავში, ... ქუჩაზე მამისეულ სახლში. შესაბამისად, სა. თ-შვილი ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა დედის – ნ. თ-შვილის სამკვიდროს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა დ. თ-შვილის მოსაზრება, რომ ნ. თ-შვილის სამკვიდრო უნდა განაწილებულიყო მისი პირველი რიგის მემკვიდრეებს შორის. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ის გარემოება, რომ სა. თ-შვილი ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა დედის – ნ. თ-შვილის სამკვიდრო ქონებას, მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა. რაც შეეხებოდა დ. თ-შვილის მიერ სამკვიდროს დაუფლების ფაქტს, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ დ. თ-შვილი აგრძელებდა მშობლების სახლში სიარულს, სადავო საცხოვრებელ სახლში ამ დროისთვისაც ეწყო მისი ნივთები და ავეჯი, რითაც დასტურდებოდა დედის სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობის ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დედის – ნ. თ-შვილის დანაშთი ქონება 2/6-ის 1/3-ის ნაწილში უნდა განაწილებულიყო მის I რიგის მემკვიდრეებზე – დ. თ-შვილზე 1/6 და სა. თ-შვილზე 1/6. მთლიანობაში სა. თ-შვილის სამკვიდრო ქონება (ი. თ-შვილის და ნ. თ-შვილის სამკვიდრო ერთად) შეადგენდა 1/2-ს ($1/3+1/6=3/6=1/2$), ხოლო დ. თ-შვილის სამკვიდრო ქონება – ასევე 1/2-ს ($1/3+1/6=3/6=1/2$).

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ს., ე. და ნ. თ-შვილებმა (წარმომადგენელი ა. ლ-ია), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორები არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დ. თ-შვილი ფაქტობრივი ფლობის გზით დაეუფლა ნ. თ-შვილის სამკვიდროს. მათი მითითებით, სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დაუფლუნა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ დ. თ-შვილის კუთვნილი ნივთები ამჟამადაც არის განთავსებული სადავო ბინაში, რაც არასწორია. 1989 წელს გარდაიცვალა ნ. თ-შვილი. ნ. თ-შვილის სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ ს. თ-შვილი და დ. თ-შვილი. სამკვიდრო არც ერთ მათგანს განცხადების შეტანის გზით არ მიუღია. რაც შეეხება ფაქტობრივი დაუფლებით ნ. თ-შვილის სამკვიდროს მიღების ფაქტს, მამკვიდრებლის კუთვნილ წილს – 1/6-ს ფაქტობრივი ფლობის გზით დაეუფლა მისი ერთ-ერთი მემკვიდრე – ს. თ-შვილი.

საკასაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე მხარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა მორიგების აქტი, რომლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. კასატორები: ს. თ-შვილი, ნ. თ-შვილი და ე. თ-შვილი (წარმომადგენელი ა. ლ-ია) თანხმობას აცხადებენ, მოწინააღმდეგე მხარეს დ. თ-შვილს (წარმომადგენელი ლ. ჩ-შვილი) სადავო ფართის (ქ. თელავში, ... 1...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6) სანაცვლოდ გადაუხადონ მთლიანობაში 12 000 აშშ დოლარი. ამ თანხიდან 5 000 აშშ დოლარს მხარეები (კასატორები) გადაუხდიან დ. თ-შვილს არაუგვიანეს 2010 წლის 31 დეკემბრისა, ხოლო დანარჩენ თანხას – 7 000 აშშ დოლარს კასატორები მოწინააღმდეგე მხარეს გადაუხდიან არაუგვიანეს 2013 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით;

2. მოწინააღმდეგე მხარე დ. თ-შვილი წინამდებარე მორიგების აქტის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში უარს ამბობს სადავო ქონებაზე და ადასტურებს ხელმოწერით, რომ პრეტენზია აღარ ექნება კასატორებთან ქ. თელავში, ... 1...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6 ნაწილზე;

3. მას შემდეგ, რაც კასატორები სრულად გადაუხდიან დ. თ-შვილს პირველ პუნქტში მითითებულ თანხას (12 000 აშშ დოლარს); სადავო ქონება, მდებარე ქ. თელავში, ... 1...-ში, 2/6, მთლიანად გადავა კასატორების – ს., ე. და ნ. თ-შვილების სახელზე და აღირიცხება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, როგორც მათი საკუთრება. აღნიშნული ვალდებულების შესრულებამდე სადავო ქონებაზე არსებული ყადაღა რჩება ძალაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

I. დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. კასატორები: ს. თ-შვილი, ნ. თ-შვილი და ე. თ-შვილი (წარმომადგენელი ა. ლ-ია) თანხმობას აცხადებენ, მოწინააღმდეგე მხარე დ. თ-შვილს (წარმომადგენელი ლ. ჩ-შვილი) სადავო ფართის (ქ. თელავში, ... 1...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6-ს) სანაცვლოდ გადაუხადონ მთლიანობაში 12 000 აშშ დოლარი. ამ თანხიდან 5 000 აშშ დოლარს მხარეები (კასატორები) გადაუხდიან დ. თ-შვილს არაუგვიანეს 2010 წლის 31 დეკემბრისა, ხოლო დანარჩენ თანხას – 7 000 აშშ დოლარს კასატორები მოწინააღმდეგე მხარეს გადაუხდიან არაუგვიანეს 2013 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით;

2. მოწინააღმდეგე მხარე დ. თ-შვილი მორიგების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში უარს ამბობს სადავო ქონებაზე და ადასტურებს ხელმოწერით, რომ პრეტენზია აღარ ექნება კასატორებთან ქ. თელავში, ... 1...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/6-ზე;

3. მას შემდეგ, რაც კასატორები სრულად გადაუხდიან დ. თ-შვილს პირველ პუნქტში მითითებულ თანხას (12 000 აშშ დოლარს), სადავო ქონების, მდებარე ქ. თელავში, ... 1...-ში, 2/6, მთლიანად გადავა კასატორების – ს., ე. და ნ. თ-შვილების სახელზე და აღირიცხება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, როგორც

მათი საკუთრება. აღნიშნული ვალდებულების შესრულებამდე სადავო ქონებაზე არსებული ყადაღა რჩება ძალაში.

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

III. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შესრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

IV. ს., ე., ნ. თ-შვილებს დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე მ. დ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

V. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

¹ ას-515-483-2010

5 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ო-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. და თ. ჭ-შვილების მიმართ სამკვიდრო მოწმობის ბათილობისა და დედის – ქ. ჭ-შვილის კუთვნილ, ქ.თბილისში, ... '16-ში მდებარე '12 ბინის 1/3-ის მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელე არის ქ. ჭ-შვილის ერთ-ერთი შვილი და და-ძმასთან ერთად ითვლება მის მემკვიდრედ თანასწორი უფლებით. 2008 წლის 28 თებერვალს მოპასუხეებმა მიმართეს ნოტარიუს ნ. თ-იას ექსთენიანი ვადის გასვლის შემდეგ და უკანონოდ მიიღეს სადავო სამკვიდრო მოწმობა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2008 წლის 28 თებერვალს გ. და თ. ჭ-შვილებმა მიიღეს კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა და 2008 წლის 4 მარტს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდნენ ქ.თბილისში, ... ქ.'16-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის თანამესაკუთრეებად. ქ. ჭ-შვილი გარდაიცვალა 1998 წელს, სარჩელი კი აღძრულ იქნა 2008 წლის ნოემბერში, შესაბამისად, მ.ო-ძემ სამკვიდროს მიღების შედაგების 2-თვიანი ვადა დაარღვია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინებით გ. და თ. ჭ-შვილების სახელზე რიცხულ, ქ.თბილისში, '16-ში მდებარე '12 ბინას დაედო ყადაღა. ამავე სასამართლოს 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინებით თ. ჭ-შვილის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა ე. ჭ-შვილი, ხოლო 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ო-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა და სადავო ბინას ყადაღა მოეხსნა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ო-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით მ. ო-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – მ. ო-ძე ცნობილ იქნა ქ.ბილისში, ... ქ.'16-ში მდებარე უძრავი ქონების 1/3-ის მესაკუთრედ შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1998 წლის 5 მარტს მამკვიდრებელი ქ. ჭ-შვილი გარდაიცვალა. მას დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე – მ. ო-ძე, გ. და თ. ჭ-შვილები. სამკვიდრო ქონება წარმოადგენს ქ.თბილისში, ... '16-ში მდებარე '12 ბინას. გ. და თ. ჭ-შვილებმა ფაქტობრივი ფლობით მიიღეს დედის სამკვიდრო და აღნიშნულის საფუძველზე 2008 წლის 28 თებერვალს მათზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა. დედის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში მ. ო-ძეს სანოტარო ორგანოსათვის სამკვიდროს მიღების თაობაზე არ მიუმართავს, ხოლო 2008 წლის 20 ოქტომბერს წარდგენილი განცხადების საფუძველზე, მას უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე – სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე. 2006 წელს მ. ო-ძე, თ. და გ. ჭ-შვილების ნების საწინააღმდეგოდ, საცხოვრებლად გადავიდა სადავო ბინაში. 2008 წლის 22 მაისს თ. ჭ-შვილი გარდაიცვალა. 2008 წლის 1 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, მეუღლე ე. ჭ-შვილი წარმოადგენს თ. ჭ-შვილის მემკვიდრეს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. ო-ძეს დედის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში სამკვიდრო ფაქტობრივი დაუფლებით არ მიუღია. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს დასკვნა ემყარება მოპასუხის განმარტებას და თავად მოსარჩელის მითითებას იმაზე, რომ იგი ბინაში საცხოვრებლად გადავიდა 2006 წელს, რასაც ადასტურებს ასევე ქ.თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის მიმართულებით მეორე ოცეულის პატრულ-ინსპექტორის შეტყობინება და ოქმი.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა აპელანტის მითითებას, რომ მ.ო-ძის სადავო სახლში 2006 წლიდან საცხოვრებლად გადასვლა არ გამოირიცხავს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის ვადაში ფაქტობრივი დაუფლებითა და მართვით სამკვიდროს მიღების ფაქტს. პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმის ჩვენებები, როდესაც დაადგინა, რომ მ.ო-ძე კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდროს არ დაუფლებია. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე მუხლებით და მიუთითა მ. ო-ძის განმარტებაზე, რომ 1998 წლიდან იგი რეგისტრირებული იყო სხვა მისამართზე, ... ქუჩაზე. საცხოვრებლად უვარგისი პირობების გამო, დედის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის განმავლობაში და მას შემდეგაც მ.ო-ძე ძირითადად ... ქ.116-ში მდებარე მშობლების ბინაში ცხოვრობდა და მუშაობდა იმავე ქუჩის 114-ში ძიძად. ასევე, მხოლოდ იგი სარგებლობს დედის კუთვნილი სააგარაკო მიწის ნაკვეთით. მოწმის სახით დაკითხული მ. ჟ-ის ჩვენებით, ... ქუჩაზე მდებარე მ. ო-ძის ბინა საცხოვრებლად უვარგისი იყო და მ.ო-ძე მუდმივად, მათ შორის, ქ. ჭ-შვილის გარდაცვალების შემდეგ 40 დღის განმავლობაში ცხოვრობდა ... ქუჩაზე მდებარე ბინაში.

ამდენად, თავად მ. ო-ძისა და მოწმის სახით დაკითხული მ. ჟ-ის განმარტების ერთობლიობაში, შინაგანი რწმენით შეფასების საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ჭ-შვილის გარდაცვალების დღიდან მ. ო-ძე დაეუფლა დედის სამკვიდრო ქონებას. ამდენად, მან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში მიიღო სამკვიდრო.

სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მ. ო-ძე, გ. და თ. ჭ-შვილებთან ერთად, წარმოადგენს ქ. ჭ-შვილის პირველი რიგის მემკვიდრეს. ამავე კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი სარჩელით სადავოდ გამხდარი ქონება წარმოადგენდა 1998 წელს გარდაცვლილი ქ. ჭ-შვილის სამკვიდრო ქონებას. პალატამ დაადგინა, რომ მამკვიდრებელი ქ. ჭ-შვილი გარდაიცვალა 1998 წლის 5 მარტს. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1424-ე და 1319-ე მუხლების მიხედვით, ამავე დღიდან გაიხსნა სამკვიდრო. სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში მ. ო-ძემ გამოავლინა სამკვიდროს მიღების ნება – დაეუფლა სამკვიდრო ქონებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მან ფაქტობრივი ფლობით მიიღო დედის სამკვიდრო. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მ. ო-ძეს დანარჩენ ორ მემკვიდრესთან ერთად გააჩნია თანასწორი წილის უფლება სამკვიდრო ქონებაზე. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. და ე. ჭ-შვილებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატამ საქმის განხილვისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, სრულყოფილად არ გამოიკვლია და არ დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადოდ და ობიექტურად არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის გამოც საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება უკანონო და იურიდიულად დაუსაბუთებელია.

მოცემულ შემთხვევაში სადავოა, მოსარჩელე მ. ო-ძემ კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში მიიღო თუ არა დედის დანაშთი სამკვიდრო ქონება და, შესაბამისად, ეკუთვნის თუ არა მას წილი ქ.თბილისში, ... 116-ში მდებარე საცხოვრებელი ბინიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ აწ გარდაცვლილი ქ. ჭ-შვილის შვილ მ. ო-ძეს კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში არც ფაქტობრივი ფლობით და არც სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით სამკვიდრო ქონება არ მიუღია. სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია ის მტკიცებულებები (მათ შორის – მოსარჩელის განმარტებებიც), რომლებსაც ეფუძნება სასამართლოს დასკვნები. სააპელაციო პალატამ მოსარჩელე მ. ო-ძისა და მისი მეგობრის – მოწმე მ. ჟ-ის განმარტებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ო-ძე დადგენილ ვადაში დაეუფლა სამკვიდრო ქონებას.

სასამართლომ არ გაითვალისწინა მოსარჩელის განმარტებები, რომელთა მიხედვით დადასტურებულია, რომ მ. ო-ძეს დედის გარდაცვალებიდან, ანუ 1998 წლის 5 მარტიდან 6 თვის ვადაში ნოტარიუსისათვის განცხადებით არ მიუმართავს. 2008 წლის 20 ოქტომბერს მ. ო-ძემ ნოტარიუსს მიმართა და მას ნოტარიუსის დადგენილებით უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, ვინაიდან გაშვებულ იქნა სამკვიდროს მიღების ვადა, ასევე, წარდგენილი დოკუმენტებითაც ვერ დადგინდა, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა. დადგენილებაში აღინიშნა, რომ ქ. ჭ-შვილის დანაშთი სამკვიდრო ქონება, რომელზედაც მ. ო-ძე ითხოვდა სამკვიდრო მოწმობის გაცემას, აღარ არსებობდა.

პალატამ ყურადღება არ გამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მ. ო-ძეს, როგორც ქ.ჭ-შვილის შვილს და პირველი რიგის მემკვიდრეს, ნებისმიერ დროს შეეძლო, მოეთხოვა და დაუბრკოლებლად მიეღო დედის სამკვიდრო. სწორედ ამიტომ, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელეს არც კი უცდია დაემალა ის ფაქტი, რომ 1986-2004 წლებში ცხოვრობდა თავის ბინაში, ... გამზირის '110-ის '46 ბინაში (სადაც იგი დღემდე რეგისტრირებული), შესაბამისად, 1998 წელს გარდაცვლილი დედის სამკვიდროს არ დაუფლებია. აღნიშნული დასტურდება სასარჩელო განცხადებაზე თანდართული საპატრულო პოლიციის დოკუმენტაციით. 2009 წლის 11 ივნისის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა აღიარა, რომ გარდა საპატრულო პოლიციის 2006 წლის 24 ნოემბრის ოქმებისა, მათ ქ.ჭ-შვილის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის შესახებ არავითარი მტკიცებულება არ გააჩნდათ. ასევე, მ. ო-ძეს დედის სამკვიდრო სანოტარო წესით არ მიუღია. მიუხედავად იმისა, რომ მამკვიდრებელს ქ. თბილისში, ... ქ.'116-ში მდებარე ბინის გარდა, სხვა ნივთი არ გააჩნდა, სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 312-ე მუხლების მოთხოვნათა უგულვებელყოფით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მ. ო-ძის განმარტება იმის შესახებ, რომ კანონით დადგენილ ვადაში იგი დაეუფლა ხაშურის რაიონის სოფელ ტეხერში არსებულ ქ.ჭ-შვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. გ.ჭ-შვილი და ე.ჭ-შვილი კისრულობენ სოლიდარულ ვალდებულებას, გადაუხადონ მ. ო-ძეს 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი;

2. ამ თანხის (5000 აშშ დოლარის) მ. ო-ძისათვის გადახდამდე მ. ო-ძე უფლებამოსილია, იცხოვროს (ფლობდეს და სარგებლობდეს) ქ.თბილისში, ... ქ.'116-ში მდებარე სადავო ბინაში;

3. პირველ პუნქტში მითითებული თანხის (5000 აშშ დოლარის) მიღების მომენტიდან 2 კვირის განმავლობაში მ. ო-ძე ვალდებულია, სრულად გამოათავისუფლოს ქ.თბილისში, ... ქ.'116-ში მდებარე ბინა და გადასცეს გ.ჭ-შვილსა და ე.ჭ-შვილს;

4. მხარეები აღიარებენ, რომ მ. ო-ძისათვის 5000 აშშ დოლარის გადახდის მომენტამდე ქ.თბილისში, ... ქ.'116-ში მდებარე სადავო ბინას დადებული ექნება ყადაღა. ყადაღა მოხსნას ექვემდებარება მ. ო-ძისათვის თანხის სრულად გადაცემისთანავე, რაზეც იგი ვალდებულია, შეადგინოს ხელწერილი თანხის მიღებაზე და განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრის სამსახურს ყადაღის მოხსნის თაობაზე;

5. გ. და ე.ჭ-შვილები უარს აცხადებენ ქ.ჭ-შვილის სამკვიდრო ქონებაზე, მათ შორის, ხაშურის რაიონის სოფელ ტეხერში მდებარე უძრავ ქონებაზე, მ. ო-ძის სასარგებლოდ, გარდა ქ.თბილისში, ... ქ.'116-ში მდებარე სადავო ბინისა, რომელიც რჩება გ. და ე.ჭ-შვილების თანასაკუთრებაში და ამ ბინაში არსებული ნივთებისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. და გ.ჭ-შვილებს უნდა დაუბრუნდეს ე.ჭ-შვილის მიერ 2010 წლის 15 ივნისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი და ნ. კ-ძის მიერ 2010 წლის 30 ივნისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 350 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

დამტკიცდეს მორიგება მ. ო-ძეს, გ. და ე. ჭ-შვილების შორის შემდეგი პირობებით:

1. გ. ჭ-შვილი და ე. ჭ-შვილი კისრულობენ სოლიდარულ ვალდებულებას, გადაუხადონ მ. ო-ძეს 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი;

2. ამ თანხის (5000 აშშ დოლარის) მ. ო-ძისათვის გადახდამდე მ. ო-ძე უფლებამოსილია, იცხოვროს (ფლობდეს და სარგებლობდეს) ქ.თბილისში, ... ქ.116-ში მდებარე სადავო ბინაში;

3. პირველ პუნქტში მითითებული თანხის (5000 აშშ დოლარის) მიღების მომენტიდან 2 კვირის განმავლობაში მ. ო-ძე ვალდებულია, სრულად გამოათავისუფლოს ქ.თბილისში, ... ქ.116-ში მდებარე ბინა და გადასცეს გ. ჭ-შვილსა და ე. ჭ-შვილს;

4. მხარეები აღიარებენ, რომ მ. ო-ძისათვის 5000 აშშ დოლარის გადახდის მომენტამდე ქ.თბილისში, ... ქ.116-ში მდებარე სადავო ბინას დადებული ექნება ყადაღა. ყადაღა მოხსნას ექვემდებარება მ. ო-ძისათვის თანხის სრულად გადაცემისთანავე, რაზეც იგი ვალდებულია, შეადგინოს ხელწერილი თანხის მიღებაზე და განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრის სამსახურს ყადაღის მოხსნის თაობაზე;

5. გ. და ე. ჭ-შვილები უარს აცხადებენ ქ. ჭ-შვილის სამკვიდრო ქონებაზე, მათ შორის, ხაშურის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, მ. ო-ძის სასარგებლოდ, გარდა ქ.თბილისში, ... ქ.116-ში მდებარე სადავო ბინისა, რომელიც რჩება გ. და ე. ჭ-შვილების თანასაკუთრებაში და ამ ბინაში არსებული ნივთებისა.

შეწყდეს საქმის წარმოება მ. ო-ძის სარჩელის გამო ე. და გ. ჭ-შვილების მიმართ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

ე. და გ. ჭ-შვილებს დაუბრუნდეს ე. ჭ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი და ნ. კ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 350 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა

მორიგების გამო

განჩინება

1ას-574-540-2010

5 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. დ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ბ-იას მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების – სესხის ძირითადი თანხის – 3000 აშშ დოლარისა და სამი წლის საპროცენტო სარგებლის, სულ – 10500 აშშ დოლარის გადახდის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2006 წლის დასაწყისში მოსარჩელემ თავის ნაცნობ ნ. ბ-იას 3 წლის ვადით ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ასესხა 5000 აშშ დოლარი, თვეში 7%-ის დარიცხვით. მოპასუხეს სარგებელი უნდა გადაეხადა მოსარჩელისათვის თანხის გადაცემიდან მომდევნო თვეში, მაგრამ, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მას ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია. ნ. ბ-იამ 2009 წლის 3 ივლისს განცხადებით მიმართა ქუთაისის შს სამმართველოს 11 განყოფილებას, სადაც მოპასუხემ აღიარა ვალის არსებობა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ნ. დ-იანისაგან 2006 წლის დასაწყისში მართლაც ისესხა 3000 აშშ დოლარი, რომელიც მას უკვე დაუბრუნა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. დ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. დ-იანმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 აპრილის განჩინებით ნ. დ-იანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სასარჩელო განცხადებით, მხარეთა განმარტებებითა და მოწმეების – მ. ნ-შვილისა და დ. ბ-იას ჩვენებებით, 2006 წლის იანვრის დასაწყისში, სავარაუდოდ 5-14 იანვარს მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლითაც ნ. დ-იანმა ნ. ბ-იას ასესხა თანხა. მოწმეების – მ. ნ-შვილისა და დ. ბ-იას განმარტებით, მოსარჩელე ნერვიულობდა იმის გამო, რომ მო-

პასუხე თანხას არ უხდოდა. ნ.დ-იანმა მოვალეს თანხის გადახდა მოსთხოვა ფულის გადაცემიდან მომდევნო თვეში.

ნ. ბ-იას მიერ ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ¹¹ განყოფილებაში 2009 წლის 3 ივლისს შეტანილი განცხადების მიხედვით, მოპასუხემ დაადასტურა, რომ ნ. დ-იანისაგან ისესხა 3000 აშშ დოლარი თვეში 7% სარგებლით და კრედიტორი მას თანხის დაბრუნებას რეგულარულად სთხოვდა.

სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 624-ე და 625-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ მიუთითა, რომ, როგორც სესხის გადაცემა, ასევე მისი დაბრუნება, არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოწმეთა ჩვენებებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ. ისინი მხედველობაში მიიღება, მაგრამ მხოლოდ ასეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ შეიძლება არა მარტო მსესხებლის მიერ სესხის მიუღებლობის, არამედ – გამსესხებლის მიერ ამა თუ იმ პირისათვის სესხის გადაცემის ნამდვილობის განსაზღვრა. მოწმეთა ჩვენებებთან ერთად წერილობითი მტკიცებულებები წარმოადგენენ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საფუძველს.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის, 129-ე მუხლის პირველი ნაწილის, 130-ე, 131-ე მუხლების თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ამასთან, ივარაუდება, რომ მან დარღვევის განხორციელებისთანავე შეიტყო აღნიშნული. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით, 341-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-4, 103-ე მუხლებით და მიუთითა, რომ მხარე ვალდებულია, სათანადოდ დაადასტუროს იმ მტკიცებულებაში ასახული ფაქტების ნამდვილობა, რომელსაც იგი თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად იყენებს.

სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა, რომ სესხის ხელშეკრულების ვადა, რომელიც მოპასუხემ სადავო გახადა, უნდა დადგინდეს მოწმეთა ჩვენებით და განისაზღვროს სამი წლით, ვინაიდან სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობების განსასაზღვრად მხოლოდ მოწმეთა ჩვენება საკმარისი არ არის.

პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას, რომ მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება (თვეში 7% სარგებლით) ზეპირი ფორმით დაიდო 2006 წლის იანვრის დასაწყისში, ძველით ახალ წლამდე და მოპასუხე ნ. ბ-იას მისი გადახდა უნდა დაეწყო მომდევნო თვიდან, ე.ი. 2006 წლის თებერვლიდან. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მოწმეების – მ. ნ-შვილისა და დ. ბ-იას ჩვენებებით, მომდევნო თვიდან, ე.ი. 2006 წლის თებერვლიდან ნ. დ-იანი ნ. ბ-იას სთხოვდა სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულებას, რასაც ეს უკანასკნელი არ ასრულებდა და ამის გამო მოსარჩელე ძალიან ნერვიულობდა. ამდენად, აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სესხის ხელშეკრულება დადებული იყო განუსაზღვრელი ვადით და მოვალის – ნ. ბ-იას მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისა და თავისი უფლების დარღვევის შესახებ ნ. დ-იანმა შეიტყო (ან უნდა შეეტყო) 2006 წლის თებერვალში, შესაბამისად, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად უნდა ჩაითვალოს 2006 წლის თებერვალი და ხანდაზმულობის ვადის ათვლაც ამ დროიდან უნდა დაიწყოს.

პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლითა და სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით გათვალისწინებული სათანადო მტკიცებულება ვალის დაბრუნების თაობაზე საქმეში არ მოიპოვება, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სესხი – 3000 აშშ დოლარი და სარგებელი ნ. ბ-იას ნ. დ-იანისათვის დაბრუნებული აქვს, მაგრამ, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებაზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რაც ნ. დ-იანის შემთხვევაში 2009 წლის თებერვალში ამოიწურა, ამდენად, მის მიერ 2009 წლის ოქტომბერში წარმოდგენილი სარჩელი ხანდაზმულია, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ ნ. ბ-იას მიერ 2009 წლის 3 ივლისს ქუთაისის შს სამმართველოს ¹¹ განყოფილებაში შეტანილი განცხადება ვალის აღიარებად ვერ მიიჩნევა, რადგან აღნიშნულ განცხადებაში საუბარია მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ ნ. ბ-იამ 3 წლის წინ, ოჯახური საჭიროებისათვის, ნ. დ-იანისაგან ისესხა 3000 აშშ დოლარი თვეში 7%-ის სარგებლით და განცხადებაში არსად არ არის აღნიშნული, რომ მოპასუხეს აქვს ნ. დ-იანის ვალი და ის აპირებს მის დაბრუნებას. ვალის აღიარებად კი მხოლოდ მოვალის მიერ ერთმნიშვნელოვნად და ნათლად გამოვლენილი ნება უნდა ჩაითვალოს.

მოცემულ შემთხვევაში არც მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტიდან და არც მოპასუხე მხარის მოქმედებებიდან არ ირკვევა, რომ მოვალე ვალის არსებობას აღიარებს, რაც გამორიცხავს აღნიშნული საფუძველით სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. დ-იანმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა და სრულყოფილად, მხარეთა და მოწმეთა განმარტებებთან ერთობლიობაში არ შეუფასებია ნ. ბ-იას განცხადება ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ¹¹ განყოფილების უფროსისადმი, რომლითაც მოპასუხე (მსესხებელი) ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ვერ დაფარა პროცენტი და თანხა ნაწილ-ნაწილ გადაი-

ხადა მოგვიანებით. სასამართლოს არ გამოურვევია, რას გულისხმობდა მოპასუხე თავის განცხადებაში მითითებული თანხის დაგვიანებით გადახდაში, კონკრეტულად როდის გადაიხადა პროცენტი და ძირითადი თანხა და რით ადასტურებდა აღნიშნულის გადახდას მოპასუხე მხარე.

დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება, რომ, სამოქალაქო კოდექსის 624-ე-625-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხემ სადავო გახადა რა სესხის ხელშეკრულების ვადა, იგი მხოლოდ მოწმეთა ჩვენების საფუძველზე ვერ დადგინდება, ვინაიდან მხარე ითხოვდა, მოწმეთა ჩვენებები შეფასებულიყო მოპასუხის წერილობით განცხადებასთან ერთად.

სააპელაციო პალატა არასწორად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს, სარჩელი არ დააკმაყოფილა ხანდაზმულობის გამო და მიიჩნია, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2006 წლის თებერვლიდან, იმ დროიდან, როცა ნ. დ-იანმა მოსთხოვა, ხოლო ნ. ბ-იამ არ გადაიხადა სესხის ძირითადი თანხა და პროცენტი. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ 2009 წლის 3 ივლისს მოპასუხემ აღიარა ვალის არსებობა, შესაბამისად, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი და ნ. ბ-ასათვის სადავო ვალდებულების შესრულება დაეკისრებინა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ნ. ბ-ია თანახმაა, ნ. დ-იანს გადაუხადოს წინამდებარე მორიგების დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში 2500 აშშ დოლარი;

2. ნ. დ-იანი თანახმაა, მიიღოს აღნიშნული თანხა, რის შემდეგ მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ ექნებათ;

3. შეთანხმებული თანხის გადაცემამდე ნ. დ-იანის მოთხოვნით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი ნ. ბ-იას კუთვნილ უძრავ ნივთებზე დარჩება უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ნ. დ-იანსა და ნ. ბ-იას შორის შემდეგი პირობებით:

1. ნ. ბ-ია თანახმაა, ნ. დ-იანს გადაუხადოს წინამდებარე მორიგების დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში 2500 აშშ დოლარი;

2. ნ. დ-იანი თანახმაა, მიიღოს აღნიშნული თანხა, რის შემდეგ მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ ექნებათ;

3. შეთანხმებული თანხის გადაცემამდე ნ. დ-იანის მოთხოვნით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი ნ. ბ-იას კუთვნილ უძრავ ნივთებზე დარჩება უცვლელად.

შეწყდეს საქმის წარმოება ნ. დ-იანის სარჩელის გამო ნ. ბ-იას მიმართ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო**

განჩინება

1-ას-273-258-10 18 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი გარეშე საკასაციო პალატამ განიხილა ლ. ნ-შვილის და მ. გ-შვილის, დ. ა-შვილის, ო. გ-შვილის და გ. გ-შვილის განცხადება მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის განჩინებით განსახილველად იქნა მიღებული ლ. ნ-შვილის და მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 მაისის განჩინებაზე, სამოქალაქო საქმეზე ლ. ნ-შვილის და მ. გ-შვილის სარჩელის გამო მოპასუხე დ. ა-შვილის, ო. გ-შვილის და გ. გ-შვილის მიმართ მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარების თაობაზე.

საკასაციო საპალატის 2010 წლის 15 ოქტომბრის მთავარ სხდომაზე მხარეთა შორის შედგა მორიგების აქტი.

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა მორიგების აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ.

ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. ნ-შვილს, მ. გ-შვილისა და დ. ა-შვილის, ო. გ-შვილის და გ. გ-შვილის შორის დამტკიცდეს მორიგება შემდეგი პირობებით:

მ. გ-შვილი და ლ. ნ-შვილი იღებენ ვალდებულებას, რომ დ. ა-შვილს, ო. გ-შვილსა და გ. გ-შვილს თანაბარი წილობრივი მონაწილეობით შეუძინონ და გაუფორმონ სოფ. ...-ში, კოდისწყაროს ტერიტორიაზე ორი მიწის ნაკვეთი – 1500 კვ.მ და 750 კვ.მ. აქედან, სოფ. ...-ში, ... ტერიტორიაზე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეძენა განხორციელდება ამ მორიგების აქტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მეორე მიწის ნაკვეთი – 750 კვ.მ-ით მ. გ-შვილმა და ლ. ნ-შვილმა უნდა შეუძინონ და უნდა გაუფორმონ მორიგების აქტის დამტკიცებიდან 1 წლის განმავლობაში სოფ. ...-ში, ... ტერიტორიაზე.

ამ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ლ. ნ-შვილის და მ. გ-შვილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება სოფ. ...-ში, ... ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების ანაზღაურებით პრეტენზიის წარმოშობის მომენტისათვის.

დ. ა-შვილი, ო. გ-შვილი და გ. გ-შვილი იღებენ ვალდებულებას უარს თქვან სამოქალაქო დავაზე სამკვიდროს გასხვისების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და მოითხოვენ ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებს გაუქმებას.

ამ მორიგების აქტით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობისას, გადაწყვეტილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო, უნდა გაუქმდეს საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» პუნქტის თანახმად, შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი სახით:

მ. გ-შვილი და ლ. ნ-შვილი იღებენ ვალდებულებას, რომ დ. ა-შვილს, ო. გ-შვილსა და გ. გ-შვილს თანაბარი წილობრივი მონაწილეობით შეუძინონ და გაუფორმონ სოფ. ...-ში, ... ტერიტორიაზე ორი მიწის ნაკვეთი

– 1500 კვ.მ და 750 კვ.მ, აქედან სოფ. ...-ში, ... ტერიტორიაზე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის შექმნა განხორციელდება ამ მორიგების აქტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მეორე მიწის ნაკვეთი – 750 კვ.მ-ით მ. გ-შილიმა და ლ. ნ-შილიმა უნდა შეუძინონ და უნდა გაუფორმონ მორიგების აქტის დამტკიცებიდან 1 წლის განმავლობაში სოფ. ...-ში, ... ტერიტორიაზე.

ამ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ლ. ნ-შილის და მ. გ-შილის პასუხისმგებლობა განისაზღვრება სოფ.ლისში, კოდისწყაროს ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების ანაზღაურებით პრეტენზიის წარმოშობის მომენტისათვის.

დ. ა-შილი, ო. გ-შილი და გ. გ-შილი იღებენ ვალდებულებას უარს თქვან სამოქალაქო დავაზე სამკვიდროს გასხვისების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და მოითხოვენ ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებს გაუქმებას.

ამ მორიგების აქტით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობისას, გადაწყვეტილება მიექცევა იძულებით აღსარულებლად;

გაუქმდეს საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყდეს;

განემართოთ მხარეებს, რომ იგივე მხარეებს შორის იგივე დავაზე სასამართლოსათვის მომართვა დაუშვებელია;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-579-545-2010

19 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

ვ. როინიშვილი

დავის საგანი: მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს «ა. ბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ბ. ბანკის» მიმართ მოპასუხისათვის ზიანის – 613 367,74 ლარისა და გადაწყვეტილების აღსრულებამდე მიუღებელი შემოსავლის სახით წლიური 14%-ის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2003 წლის 3 დეკემბერს სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა განიხილა სს „ა. ბანკის“ საარბიტრაჟო პრეტენზია შპს „ნ-ს“, გ. კ-ძის, კ. ხ-უასა და ბ. ხ-უას მიმართ. სს „ა. ბანკის“ საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილდა და შპს „ნ-ს“, გ. კ-ძის, კ. ხ-უასა და ბ. ხ-უას პრეტენდენტ სს „ა. ბანკის“ სასარგებლოდ დაეკისრათ 400000 ლარის, ხოლო დამატებით 472561,54 ლარისა და 2008 წლის 7 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პირგასამტეხლოს სახით ყოველდღიურად 3490,25 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე 2008 წლის 5 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი და სააღსრულებო ბიუროში დაიწყო სააღსრულებო წარმოება. 2008 წლის 8 დეკემბერს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა ს. ე-იამ წერილობით მიმართა სს „ბ. ბანკს“ და მოსთხოვა სს „ბ. ბანკში“ შპს „ნ-ს“ ანგარიშის დაყადაღება, რაზეც სს „ბ. ბანკმა“ უარი განაცხადა. სს „ბ. ბანკი“ თავადაც წარმოადგენდა შპს „ნ-ს“ კრედიტორს, რის გამოც სადავო ანგარიშზე ჩარიცხული თანხით მოთხოვნა თვითონ დააკმაყოფილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ბ. ბანკმა“ თავისი განზრახვი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით სს „ა. ბანკს“ მიაყენა ზიანი და მოსარჩელის მისაღები თანხის მისაკუთრებით უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: 2008 წლის 8 დეკემბერს აღმასრულებელ ს. ე-იას არ მიუღია გადაწყვეტილება ანგარიშის დაყადაღების შესახებ, მან სს „ბ. ბანკს“ მიმართა ანგარიშისთვის ყადაღის დადების მოთხოვნით, რისი უფლებაც არ ჰქონდა. საქართველოს კანონმდებლობით კომერციულ ბანკს არ აქვს სააღსრულებო მოქმედებების შესრულების უფლება. მას შეუძლია მხოლოდ თავის მონაცემთა ბაზაში აღრიცხოს აღმასრულებლის მიერ დადებული ყადაღა. სადავო ანგარიში არ იყო მოვალე შპს „ნ-ს“ საკუთრება და ანგარიში ეკუთვნოდა სს „ბ. ბანკს“, შესაბამისად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლიდან გამომდინარე, აღმასრულებელს არ ჰქონდა ამ ანგარიშისთვის ყადაღის დადების უფლება. ამასთან, ყადაღის დადება არ განაპირობებს ანგარიშზე არსებული თანხის გადაცემას კრედიტორისათვის და იმ შემთხვევაშიც კი, თუ შპს „ნ-ს“ ანგარიშს ყადაღა დაედებოდა, აღნიშნული ავტომატურად არ გამოიწვევდა სს „ა. ბანკის“ უპირატესად დაკმაყოფილებას და სხვა კრედიტორებსაც, მათ შორის, სს „ბ.

ბანკს“ საშუალება ექნებოდათ იმავე გზით – ანგარიშზე ყადაღის დადებით განეცხადებინათ თავისი უფლებები ანგარიშზე რიცხულ თანხასთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს «ა. ბანკის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სს «ა. ბანკმა» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინებით სს «ა. ბანკის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სამოქალაქო დავის განმხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2008 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს «ა. ბანკის» საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილდა, შპს «ნ-ს», გ. კ-ძეს, კ. ხ-უასა და ბ. ხ-უას დაეკისრათ სს «ა. ბანკის» სასარგებლოდ 400000 ლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით შპს «ნ-ს» სს «ა. ბანკის» სასარგებლოდ დაეკისრა 472561,54 ლარისა და პირგასამხეტლოს სახით 3490,25 ლარის გადახდა ყოველდღიურად 2008 წლის 7 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, რაზედაც 2008 წლის 5 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 2008 წლის 8 დეკემბერს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა ს. ე-იამ წერილობით აცნობა სს «ბ. ბანკს», რათა «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის და მე-5 პუნქტის «ა.ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად სს «ბ. ბანკს» ყადაღა დაედო შპს «ნ-ს» 113645091200002 ანგარიშზე აღმასრულებლის განკარგულებამდე.

აღნიშნული წერილის საპასუხოდ 2008 წლის 9 დეკემბერს სს «ბ. ბანკმა» აღმასრულებელს აცნობა, რომ 113645091200002 იყო ესქროუ ანგარიში, რომელიც, შპს «ნ-სა» და სს «ბ. ბანკს» შორის დადებული ესქროუ ხელშეკრულების მიხედვით, ეკუთვნოდა სს «ბ. ბანკს» და არა შპს «ნ-ს», რის გამოც ბანკმა მიიჩნია, რომ «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონი აღმასრულებელს არ აძლევდა უფლებას, ყადაღა დაედო სს «ბ. ბანკის» კუთვნილ ესქროუ ანგარიშზე, რის გამოც სააღსრულებო ფურცელი აღმასრულებელს უკან დაუბრუნა.

შპს «ნ-ს» ანგარიში ჰქონდა გახსნილი სს «ბ. ბანკში» და ეს უკანასკნელი ასევე იყო შპს «ნ-ს» კრედიტორი. სს «ბ. ბანკის» 113645091200002/GEL ანგარიშიდან ამონაწერის მიხედვით, 2008 წლის 8 დეკემბერს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა აღნიშნულ ანგარიშზე ჩარიცხა 613367,74 ლარი. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოება დადგინდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოთხოვილი 2008 წლის 5 დეკემბრის საგადასახადო მოთხოვნებით. სს «ბ. ბანკსა» და შპს «ნ-ს» შორის ესქროუ ანგარიშით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულია 2008 წლის 27 ნოემბერს, ანუ იმ დღეს, რომლითაც დათარიღებულია ხელშეკრულება. ანგარიში გახსნილია 2008 წლის 27 ნოემბერს, ამავე რიცხვით დათარიღებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სს «ბ. ბანკსა» და შპს «ნ-ს» შორის 2008 წლის 27 ნოემბერს გაფორმდა ესქროუ ანგარიშით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, 2007-2008 წლებში ბანკთან დადებული საბანკო კრედიტის 15 ხელშეკრულების საფუძველზე შპს «ნ-ს» დავალიანება სს «ბ. ბანკის» მიმართ შეადგენდა 9706476 აშშ დოლარს და აღნიშნული დავალიანების დაფარვის უზრუნველყოფისა და ბანკის მიერ შპს «ნ-სათვის» მომავალში მიცემული კრედიტებისა და საბანკო გარანტიების მომსახურების მიზნით სს «ბ. ბანკი» გახსნიდა ესქროუ ანგარიშს ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ორ დღეში, რომელიც არ იქნებოდა მსესხებლის ანგარიში. ესქროუ ანგარიშზე ჩარიცხული თანხები არ ჩაითვლებოდა შპს «ნ-ს» საკუთრებად და ბანკის მიერ გამოყენებული იქნებოდა შპს «ნ-ს» დავალიანების დასაფარად, ხოლო ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სანაცვლოდ შპს «ნ» სს «ბ. ბანკს» გადაუხდიდა თვეში 1 000 ლარს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 4.2.1 პუნქტის მიხედვით, შპს «ნ-მ» ვალდებულია იკისრა, ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა წერილობით დაევალებულებინა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირები, რომ მათ შპს «ნ-სათვის» გადასახდელი თანხები ჩაერიცხათ ამ ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილ ესქროუ ანგარიშზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ იმ ფაქტობრივი გარემოების არასწორად დადგენის შესახებ, რომ სს «ბ. ბანკსა» და შპს «ნ-ს» შორის 2008 წლის 27 ნოემბერს დადებული ესქროუ ანგარიშით მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია 2008 წლის 27 ნოემბერს.

პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამოქალაქო პროცესში სასამართლო შებოჭილია არა მარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შესძლო თავისი მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება და მის მიერ მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ წარადგინა. ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ სს «ბ. ბანკსა» და შპს «ნ-ს» შორის ესქროუ ანგარიშით მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია 2008 წლის 27 ნოემბერს. აღნიშნულის გამაბათილებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

პალატამ ასევე დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის პოზიცია, რომ **113645091200002/ანგარიში** არ არის **2008 წლის 27 ნოემბერს** გახსნილი და იგი არ წარმოადგენს სს «ბ. ბანკის» შიდა საბანკო ანგარიშს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე** მუხლის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდება აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებასთან – **110487** და **110486** საგადახდო მოთხოვნებთან მიმართებით. აპელანტის განმარტებით, აღნიშნული მტკიცებულებით დასტურდება, რომ **113645091200002/ GEL** ანგარიში წარმოადგენდა შპს «ნ-ს» და არა სს «ბ. ბანკის» შიდა საბანკო ანგარიშს.

საქმეში წარმოდგენილი **2008 წლის 27 ნოემბრის** ესქროუ ანგარიშით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების **2.1, 4.2.1.** პუნქტების შესაბამისად და ხელშეკრულების აღნიშნული პირობების შეფასების შედეგად პალატამ მიიჩნია, რომ შპს «ნ-მ» შეასრულა **4.2.1.** პუნქტით ნაკისრი ვალდებულება და მუნიციპალური განვითარების ფონდს აცნობა ზემოაღნიშნული ანგარიშის თაობაზე. შესაბამისად, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ამ ანგარიშზე თანხის ჩამორიცხვა და საგადახდო მოთხოვნაში შპს «ნ-ს» მითითება, სასამართლოს მოსაზრებით, თავისთავად არ ადასტურებს, რომ სადავო ანგარიში შპს «ნ-ს» ეკუთვნოდა.

რაც შეეხება აპელანტის მითითებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა მხარეთა შორის გაფორმებული ესქროუ ხელშეკრულება, პალატამ დაასკვნა, რომ სამოქალაქო სამართლით განმტკიცებულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და ნების ავტონომია. მოცემულ შემთხვევაში, შპს «ნ-ს» მიერ აღნიშნული ხელშეკრულებით აღიარებულ იქნა სს «ბ. ბანკის» წინაშე არსებული დავალიანება და მხარეები შეთანხმდნენ აღნიშნული დავალიანების დაფარვის წესზე. აღნიშნული ხელშეკრულება არ არის კანონსაწინააღმდეგო. სადავო გარიგების ესქროუ ხელშეკრულების კლასიკური მოთხოვნებისადმი შეუსაბამობა მისი ბათილობის საფუძვლად ვერ ჩათვლება, ვინაიდან ხელშეკრულება დადებულია მხარეების ურთიერთთანხმდევრად, საერთო მიზნისაკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად. პალატამ აქვე აღნიშნა, რომ მოსარჩელეს აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობა არ მოუთხოვია, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოცემული ხელშეკრულება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დამდგენ ერთ-ერთ მტკიცებულებად სწორად შეაფასა.

პალატა არ დაეთანხმა აპელანტის მითითებას, რომ სს «ბ. ბანკის» მიერ ხელშეკრულება შექმნილია ვალდებულების – აღმასრულებლის მოთხოვნის შეუსრულებლობის გასამართლებლად, რადგან **2008 წლის 27 ნოემბრის** ესქროუ ანგარიშით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით შპს «ნ-მ» აღიარა სს «ბ. ბანკის» წინაშე არსებული დავალიანება, მხარეები შეთანხმდნენ მისი დაფარვის წესზე, აღნიშნული ხელშეკრულება კი ბათილად ცნობილი არ არის და იგი წინ უსწრებს სს «ა. ბანკის» სასარგებლოდ შპს «ნ-ს» წინააღმდეგ **2008 წლის 5 დეკემბერს** გაცემულ სააღსრულებო ფურცელს.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის **992-ე** მუხლით და განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების მოვალეობა წარმოიშობა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობების არსებობისას, კერძოდ, თუ დგინდება ზიანის ფაქტი, იგი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამორიცხავს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სს «ა. ბანკის» წარმომადგენელმა გ. ყ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სათანადოდ არ შეაფასა კასატორის განმარტება სადავო ესქროუ ხელშეკრულების დადების მიზანთან დაკავშირებით. სასამართლოს სადავო ხელშეკრულება უნდა განეხილა სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში. იგი აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გზით უკანონოდ სხვისი მისაღები თანხების დაუფლებას ემსახურებოდა.

სააპელაციო პალატას საერთოდ არ უმსჯელია და არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოება იმასთან დაკავშირებით, მიიღო თუ არა სს „ბ. ბანკმა“ აღმასრულებლის მიწერილობა შპს „ნ-ს“ ანგარიშზე ყადაღის დადების თაობაზე, შეასრულა და უნდა შეესრულებინა თუ არა „თიბისმა ბანკმა“ აღმასრულებლის სავალდებულო მოთხოვნა.

სწორედ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება და მისი სწორი სამართლებრივი შეფასება წარმოადგენდა სარჩელის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით ცალსახად დასტურდება როგორც აღმასრულებლის სავალდებულო მოთხოვნის სს „ბ. ბანკისთვის“ წარდგენის ფაქტი, ასევე, სს „ბ. ბანკის“ მიერ სრულიად არაარგუმენტირებული და უკანონო წერილობითი უარი კანონით სავალდებულო მოთხოვნის შესრულებაზე. სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა როგორც სს «ბ. ბანკის» უსაფუძვლო გამდიდრების, ასევე ზიანის სამოქალაქო კოდექსის **992-ე** მუხლის შესაბამისად ანაზღაურების საკითხები, როდესაც მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დგინდება ზიანის ანაზღაურებისთვის სავალდებულო და აუცილებელი იურიდიული შემადგენლობა. სადავო ურთიერთობა უკავშირდება არასახელშეკრულებო ზიანს, რომელიც წარმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევით.

სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ არსებობს ზიანი – საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა, რომელიც განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს შპს „ნ-ს“ – მოვალის ანგარიშზე ჩარიცხულ მიუღებელ თანხას – **613 367,74** ლარს. ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, სს „ბ. ბანკი“ ვალდებული იყო, შეესრულებინა აღმასრულებლის ნებისმიერი მოთხოვნა, რაც მან განზრახ არ განახორციელა. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნა სს „ბ. ბანკმა“ არ შეასრულა ერთადერთი მიზნით – როგორც კრედიტორს თავად მიეღო აღნიშნული თანხა მოვალე შპს „ნ-საგან“, რაც განახორციელა კიდევ. ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი – სს „ბ. ბანკის“ ქმედება გახლდათ ბრალეული, რადგან მხარემ იცოდა, რომ აღმასრულებლის მოთხოვნა სავალდებულო იყო შესასრულებლად.

ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ კასატორს სადავო ესქროუ ხელშეკრულების ბათილობა არ მოუთხოვია. სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რა დაბრკოლებას წარმოადგენდა ამ ხელშეკრულების არსებობა იმ გარემოებათა სრულყოფილ გამოკვლევასა და გაზიარებაში, რომელიც სააპელაციო საჩივარში იყო მითითებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 166-ე ბრძანების თანახმად, საგადახდო საბუთებში სხვა რეკვიზიტებთან ერთად მიეთითება თანხის მიმღების დასახელება, ანგარიში და გადახდის დანიშნულება. ამდენად, მოპასუხის მოსაზრების გაზიარებისას სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ შპს „ნ-სთვის“ განკუთვნილ თანხებს რიცხავდა მისთვის უცნობი პირის ანგარიშზე ან საგადახდო დავალებებში, რომლითაც ის ანგარიშსწორებას ახდენდა შპს „ნ-სთან“, თანხის მიმღებად მითითებული უნდა ყოფილიყო სს „ბ. ბანკი“ და არა შპს „ნ.“, რისთვისაც უნდა არსებობდეს სულ ცოტა სამხრევი ხელშეკრულება სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“, შპს „ნ-სა“ და სს „ბ. ბანკს“ შორის.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. სს „ა. ბანკი“ აცხადებს უპირობო და გამოუთხოვად უარს მის ყველა სასარჩელო მოთხოვნაზე სს „ბ. ბანკის“ მიმართ და სამუდამოდ ათავისუფლებს სს „ბ. ბანკს“ განსახილველ დავასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა პრეტენზიისა და მოთხოვნისაგან;

2. სს „ა. ბანკი“ დებს პირობას, რომ არასოდეს მიმართავს სასამართლოს ან რომელიმე ორგანოს ამ აქტის პირველ პუნქტში მითითებულ დავასთან ან მის რომელიმე გარემოებასთან დაკავშირებული განცხადებით, საჩივრით ან სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტით;

3. ამ მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცებიდან არა უგვიანეს **30** კალენდარული დღისა სს „ბ. ბანკი“ სს „ა. ბანკს“ გადაუხდის **100 000** ლარს, რითაც დაადასტურებს დავის ერთხელ და სამუდამოდ მშვიდობიანად დასრულების ნებას კოლეგიალობის პრინციპებიდან გამომდინარე;

4. ამ აქტის მე-2 პუნქტით დადებული პირობის დარღვევის შემთხვევაში სს „ა. ბანკი“ ვალდებული იქნება, სს „ბ. ბანკის“ მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს **30** კალენდარული დღისა სრულად დაუბრუნოს სს „ბ. ბანკს“ ამ უკანასკნელის მიერ ამ აქტის მე-3 პუნქტის საფუძველზე გადახდილი თანხა და დამატებით გადაუხადოს პირგასამტეხლო **100 000** ლარის ოდენობით;

5. ამ მორიგების აქტის ხელმოწერით სს „ა. ბანკი“ ადასტურებს, რომ ის წარმოადგენს ერთადერთ და კანონიერ მესაკუთრეს ყველა იმ პრეტენზიისა და მოთხოვნისა, რომელიც გამომდინარეობს სარჩელიდან და სარჩელში აღწერილი გარემოებებიდან და, რომ მისი მოთხოვნების არც ერთი ნაწილი არ არის რაიმე ფორმით გადაცემული და არასოდეს გადაეცემა რომელიმე მესამე პირს, მათ შორის, უფლებამონაცვლეობის შედეგად ან კანონის ძალით და, რომ არ არსებობს არავითარი მესამე პირი, რომელმაც შეიძლება წარადგინოს რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოშობილი მოთხოვნა ან პრეტენზია სს „ა. ბანკის“ სარჩელში, სააპელაციო საჩივარში ან/და საკასაციო საჩივარში მითითებულ რომელიმე, რამდენიმე ან ყველა გარემოებასთან დაკავშირებით;

6. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტში მოცემული განცხადებები აღმოჩნდება არასწორი ან/და სს „ა. ბანკი“ დაარღვევს ამ მორიგების რომელიმე პირობას, სს „ა. ბანკი“ ვალდებული იქნება, აუნაზღაუროს სს „ბ. ბანკს“ ამით გამოწვეული ზიანი.

მხარეთათვის ცნობილია, რომ ამ მორიგების აქტის დამტკიცებას შედეგად მოჰყვება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საქმის წარმოების საბოლოო და შეუქცევადი შეწყვეტა შესაბამისი განჩინებით. მხარეები ასევე ადასტურებენ, რომ მათთვის ცნობილია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე

სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს «ა. ბანკს» სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 25 ივნისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8000 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება სს «ა. ბანკსა» და სს «ბ. ბანკს» შორის შემდეგი პირობებით:

1. სს „ა. ბანკი“ აცხადებს უპირობო და გამოუთხოვად უარს მის ყველა სასარჩელო მოთხოვნაზე სს „ბ. ბანკის“ მიმართ და სამუდამოდ ათავისუფლებს სს „ბ. ბანკს“ განსახილველ დავასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა პრეტენზიისა და მოთხოვნისაგან;

2. სს „ა. ბანკი“ დებს პირობას, რომ არასოდეს მიმართავს სასამართლოს ან რომელიმე ორგანოს ამ აქტის პირველ პუნქტში მითითებულ დავასთან ან მის რომელიმე გარემოებასთან დაკავშირებული განცხადებით, საჩივრით ან სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტით;

3. ამ მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა სს „ბ. ბანკი“ სს „ა. ბანკს“ გადაუხდის 100 000 ლარს, რითაც დაადასტურებს დავის ერთხელ და სამუდამოდ მშვიდობიანად დასრულების ნებას კოლეგიალობის პრინციპებიდან გამომდინარე;

4. ამ აქტის მე-2 პუნქტით დადებული პირობის დარღვევის შემთხვევაში სს „ა. ბანკი“ ვალდებული იქნება, სს „ბ. ბანკის“ მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა სრულად დაუბრუნოს სს „ბ. ბანკს“ ამ უკანასკნელის მიერ ამ აქტის მე-3 პუნქტის საფუძველზე გადახდილი თანხა და დამატებით გადაუხადოს პირგასამტეხლო 100 000 ლარის ოდენობით;

5. ამ მორიგების აქტის ხელმოწერით სს „ა. ბანკი“ ადასტურებს, რომ ის წარმოადგენს ერთადერთ და კანონიერ მესაკუთრეს ყველა იმ პრეტენზიისა და მოთხოვნისა, რომელიც გამომდინარეობს სარჩელიდან და სარჩელში აღწერილი გარემოებებიდან და, რომ მისი მოთხოვნების არც ერთი ნაწილი არ არის რაიმე ფორმით გადაცემული და არასოდეს გადაეცემა რომელიმე მესამე პირს, მათ შორის, უფლებამონაცვლეობის შედეგად ან კანონის ძალით და, რომ არ არსებობს არავითარი მესამე პირი, რომელმაც შეიძლება წარადგინოს რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოშობილი მოთხოვნა ან პრეტენზია სს „ა. ბანკის“ სარჩელში, საპელაციო საჩივარში ან/და საკასაციო საჩივარში მითითებულ რომელიმე, რამდენიმე ან ყველა გარემოებასთან დაკავშირებით;

6. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტში მოცემული განცხადებები აღმოჩნდება არასწორი ან/და სს „ა. ბანკი“ დაარღვევს ამ მორიგების რომელიმე პირობას, სს „ა. ბანკი“ ვალდებული იქნება, აუნაზღაუროს სს „ბ. ბანკს“ ამით გამოწვეული ზიანი.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება სს «ა. ბანკის» სარჩელის გამო სს «ბ. ბანკის» მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

სს «ა. ბანკს» დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 8000 ლარის ოდენობით.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა
მორიგების გამო

განჩინება

1ას-757-708-2010

12 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უსაფუძვლოდ მიღებული თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 აპრილს ა. ს-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე მ. გ-შვილის მიმართ და მოითხოვა მის მიერ სარემონტო სამუშაოებზე გაწეული საფასურის ანაზღაურება 17 793 ლარის ოდენობით.

თავის მხრივ მ. გ-შვილმა შეგებებული სარჩელით მოითხოვა ა. ს-მისათვის, მიუღებელი სარგებლის სახით, ბინით სარგებლობის საფასურის დაკისრება 6400 ლარის ოდენობით.

მ. გ-შვილმა ა. ს-მის სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ ა. ს-მე 2003 წლის ივნისში თვითნებურად შეიქრა და 2008 წლის 6 ოქტომბრამდე ცხოვრობდა თავისი ძმის კუთვნილ ბინაში, სადაც მისი თანხმობის გარეშე ჩაატარა სარემონტო სამუშაოები.

ა. ს-მემ მ. გ-შვილის სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ბინის ქირის მოთხოვნის უფლება, თუ დაადასტურებდა ა. ს-მის მიერ სადავო ბინით სარგებლობის პერიოდში მის მიერ ბინის დაქირავებისა და ბინის ქირის გადახდის ფაქტს. ამას გარდა, ა. ს-მის განმარტებით, მ. გ-შვილი აღნიშნული პერიოდისათვის სადავო საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე არ იყო და, შესაბამისად, არც ბინის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის უფლება გააჩნდა, აღნიშნული უფლება მან 2008 წლის 5 ივნისს მოიპოვა, ანუ მას შემდეგ, რაც იგი საჯარო რეესტრში სადავო ბინის მესაკუთრედ აღირიცხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ს-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – მ. გ-შვილს ა. ს-მის სასარგებლოდ დაეკისრა 9393 ლარის გადახდა, ა. ს-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე 6400 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში; მ. გ-შვილის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ორივე მხარემ.

მ. გ-შვილმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

ა. ს-მემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებით მ. გ-შვილისა და ა. ს-მის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

საქმეში არსებული მასალების საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო ბინაში, რომელიც კარკასულ მდგომარეობაში იყო, ა. ს-მემ ჩაატარა მთელი რიგი სარემონტო სამუშაოები, რაც მ. გ-შვილს სადავოდ არ გაუხდია, თუმცა იგი არ დაეთანხმა ა. ს-მის მიერ წარმოდგენილი 05.09.2008წ. აუდიტორიული დასკვნით გასაზღვრულ ღირებულებას, რომლის საპირისპიროდ წარმოადგინა 7.08.2009წ. ექსპერტიზის დასკვნა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული დასკვნა მასზე, რომ სადავო ბინაში ა. ს-მე თვითნებურად არ შექრილა და იგი აღნიშნულ ბინაში საცხოვრებლად შევიდა ადმინისტრაციული ორგანოს – გლდან-ნაძალადევის რაიონის გამგეობის ზეპირი მითითების საფუძველზე, შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ს-მე სადავო ბინას კანონიერი საფუძვლის გარეშე ფლობდა, თუმცა იგი კეთილსინდისიერი იყო აღნიშნული ფაქტის მიმართ, რადგან მიიჩნევდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზეპირსიტყვიერი ნებართვა ბინის ფლობისა და ამ ბინით სარგებლობის მართლზომიერი საშუალება იყო.

სადავო ბინაზე ა. ს-მის მიერ გაწეულ სამშენებლო-სარემონტო ხარჯებთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ საქმეზე წარმოდგენილი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საექსპერტო დასკვნიდან სარწმუნოა და უნდა გაზიარებულიყო

ის დასკვნა, რომელიც მოთხოვნის წარმოშობის მომენტთან უფრო ახლოს იდგა. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი იყო 2008 წლის 5 სექტემბრისა და 2009 წლის 7 აგვისტოს საექსპერტო დასკვნები, ხოლო ა. ს-ძის უფლება, შესრულებული სარემონტო სამუშაოების ანაზღაურების თაობაზე წამროიშვა 2008 წლის 6 ოქტომბერს ანუ პოლიციის მიერ სადავო საცხოვრებელი ბინიდან მისი გამოსახლების მომენტიდან. ამასთან, მ. გ-შვილის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა ასახავდა მხოლოდ უშუალოდ სადავო ბინის სარემონტო ხარჯებს და მასში სასამართლოს მიერ გაზიარებული დასკვნისაგან განსხვავებით მოცემული არ იყო ა. ს-ძის წილი იმ საერთო ხარჯებში, რაც კორპუსის მცხოვრებლებმა გაიღეს ე.წ. «შავი კარკასის» მდგომარეობაში მყოფი კორპუსის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.3 მუხლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, თუ რატომ იზიარებდა ერთ მტკიცებულებას, ხოლო მეორე არა სათანადოდ იყო დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ს-ძის სარჩელთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლი, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ და ასევე სწორად მოახდინა ა. ს-ძის მიერ სადავო ბინაზე კეთილსინდისიერი მფლობელობისას გაღებული აუცილებელი ხარჯებიდან ამ ნივთის მფლობელობით მიღებული სარგებლის გამოქვითვა და სწორად დააკისრა მ. გ-შვილს მის სასარგებლოდ 9393 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, რომლითაც მ. გ-შვილი ბინაში ცხოვრების ღირებულების ანაზღაურებას ითხოვდა, როგორც მიუღებელ სარგებელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლიდან გამომდინარე, უსაფუძვლო იყო, ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ შეგებებული სარჩელით დაყენებული მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დაექვემდებარა სადავო ბინაზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ღირებულებიდან გაქვითვას როგორც ა. ს-ძის მიერ მიღებული სარგებელი, რაც, თავის მხრივ, გახდა საფუძველი პირვანდელი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმასთან დაკავშირებით, რომ მოწინააღმდეგე მხარე სადავო ბინაში შესახლდა ადმინისტრაციული ორგანოს ზეპირი მითითების საფუძველზე და, შესაბამისად, არასწორად მიიჩნია იგი კეთილსინდისიერი მფლობელად. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად გაიზიარა 2008 წლის 5 სექტემბერს გაცემული აუდიტის დასკვნა, რაც გახდა მიზეზი ხარჯების ოდენობის არასწორი განსაზღვრისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას, მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მ. გ-შვილი გადაუხდის ა. ს-ძეს სადავო ბინისათვის გაწეული ხარჯებისათვის 5000 ლარს, მიმდინარე წლის – 2010 წლის 15 დეკემბრამდე (ქ. თბილისი, ... ბინა 66);
 2. ყადაღა მოიხსნება თანხის გადაცემისთანავე;
 3. იმ შემთხვევაში, თუ უკვე მორიგების პირობა ნებაყოფლობით არ შესრულდება, მოწინააღმდეგე მხარეს რჩება უფლება მოახდინოს მორიგების პირობის იძულებითი აღსრულება;
 4. მოხსნილი კარი და უნიტაზი (რომელიც სადარბაზოშია) უბრუნდება ა. ს-ძეს.
- მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორს – მ. გ.-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 789.65 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1) მ. გ.-შვილი გადაუხდის ა. ს.-ძეს სადავო ბინისათვის გაწეული ხარჯებისათვის 5000 ლარს, მიმდინარე – 2010 წლის 15 დეკემბრამდე (ქ. თბილისი, ... ბინა 66);

2) ყადაღის მოხსნა მოხდეს თანხის გადაცემისთანავე;

3) იმ შემთხვევაში, თუ მორიგების პირობა ნებაყოფლობით არ შესრულდება, მოწინააღმდეგე მხარეს რჩება უფლება, მოახდინოს მორიგების პირობის იძულებითი აღსრულება;

4) მოხსნილი კარი და უნიტაზი (რომელიც სადარბაზოშია) უბრუნდება ა. ს.-ძეს.

2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;

4. მ. გ.-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე 2010 წლის 6 აგვისტოს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 789.65 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი – 200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – '300773150;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-648-609-2010

30 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 14 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ა. მ.-იამ მოპასუხე ზ. ბ.-ულის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისაგან ზიანის – 4 872.48 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. მ.-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ზ. ბ.-ულს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2 700 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 4 ოქტომბერს, 19 საათსა და 45 წუთზე, ... გამზირზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა;

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ავტომანქანა «აუდის» მართავდა ზ. ბ-ული, ხოლო ავტომანქანა «მიცუბი-ში ეკლიფსის» მართავდა ა. მ-ია;

თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის 2008 წლის 25 დეკემბრის დადგენილება საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ (სისხლის სამართლის საქმეზე ნომრით ...) შესულია კანონიერ ძალაში;

ა. მ-იას კუთვნილი ავტომანქანა ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ არ იყო განთავსებული ავტომანქანები-სათვის სპეციალურად განკუთვნილ დაცულ ავტოსადგომზე;

2008 წლის 4 ოქტომბერს მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ზ. ბ-ულის, თ. ბ-შვილის, ა. მ-იას და ქ. ზ-შვილის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე, 2008 წლის 4 ოქტომბერს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება;

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ზ. ბ-ულმა მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება, ხოლო ა. მ-იას დაზიანება არ მიუღია;

2008 წლის 25 დეკემბერს თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა მიიღო დადგენილება სისხლის სამართლის 1... საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე იმ მოტივით, რომ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;

სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეულია ზ. ბ-ულის მიერ სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვით, კერძოდ, მის მიერ დარღვეულია «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის «ა» ქვეპუნქტი და 25-ე მუხლის მე-14 პუნქტის «ე» ქვეპუნქტი;

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ა. მ-იას ავტომანქანის («მიცუბიში ეკლიფსი») დაზიანებით მიყენებული ზიანი შეადგენს 2 700 ლარს, რაც დასტურდება სისხლის სამართლის საქმეზე 2008 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში ჩატარებული ექსპერტის დასკვნით;

მოსარჩელემ ასევე წარადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 2 აპრილის დასკვნა, რომლის თანახმად, ავტომობილ «მიცუბიში ეკლიფსის» დაზიანებით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობა დაახლოებით შეადგენს 4 872.48 ლარს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია ზ. ბ-ულის მიერ მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობის 4 872.48 ლარით განსაზღვრის თაობაზე, რაც შემდგენიერად დაასაბუთა:

ავტოსაგზაო შემთხვევიდან, 2008 წლის 4 ოქტომბრიდან 2009 წლის 2 აპრილის ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე გასული იყო 5 თვე. საქმეზე უდავოდ დგინდებოდა, რომ ა. მ-იას კუთვნილი ავტომანქანა არ იდგა ავტომანქანებისათვის განკუთვნილ დაცულ ტერიტორიაზე. მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა ის გარემოება, რომ ავტომანქანაზე მიყენებული დაზიანებები დროით შეესაბამებოდა ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, დაზიანების სახე და ხარისხი კი შესაბამებოდა ავტოსაგზაო შემთხვევის დროს წარმოშობილ დაზიანებებს და იგი არ იყო მიყენებული ავტოსაგზაო შემთხვევის შემდგომ რაიმე მექანიკური ზემოქმედების შედეგად.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ზ. ბ-ულის არგუმენტაცია ა. მ-იას შერეული ბრალის არსებობის შესახებ და ამ მიზნით მის მიერ წარდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ავტოტექნიკური ექსპერტის დასკვნა და აღნიშნა, რომ 2008 წლის 4 ოქტომბერს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომაში ა. მ-იას ბრალი არ დგინდებოდა.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 999-ე, 408-ე მუხლებით და დადგინილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა მოპასუხისათვის 2 700 ლარის დაკისრების ფარგლებში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-ულმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 აპრილის განჩინებით ზ. ბ-ულის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ ზიანის დადგომაში ბრალი მიუძღვოდა ზ. ბ-ულს. ეს გარემოება დასტურდებოდა საქმეზე წარდგენილი, წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით, სადაც მითითებულია, რომ მოცემული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეულია მძღოლ ზ. ბ-ულის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების არასწორად მართვის გამო. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვებოდა. რაც შეეხებოდა აპელანტის მიერ მითითებულ ექსპერტის დასკვნას, საქმეზე წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული

ნული ბიუროს 2009 წლის 19 მარტის დასკვნის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში ავტომობილი «აუდი A6-ის» მძღოლ ზ. ბ-ულს უგულბელოფილი აქვს «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის 27.10 მუხლის მოთხოვნები. ავტომობილ «მიცუბიმ ეკლიფსის» მძღოლ ა. მ-იას, ტექნიკური თვალსაზრისით, ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება შეეძლო. აღნიშნული მტკიცებულების შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. მ-იას მხრიდან ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილების შესაძლებლობა არ წარმოადგენდა მისი ბრალეულობის დამადასტურებელ გარემოებას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ ეს იყო შერეული ბრალი – ა. მ-ია მთვრალ მდგომარეობაში მართავდა ავტოტრანსპორტს და მას ჰქონდა შესაძლებლობა, ავტოსაგზაო შემთხვევა თავიდან აეცილებინა, რამდენადაც მხარემ ვერ უზრუნველყო აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების შესაბამისი მტკიცებულებით დადასტურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ზ. ბ-ულმა საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი მიიჩნევს, რომ მის მიერ წარდგენილი ექსპერტის დასკვნის სწორად შეფასების შემთხვევაში სასამართლო დაადგენდა, რომ ა. მ-იას, ტექნიკური თვალსაზრისით, ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება შეეძლო; ის იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში. ამდენად, არსებობს შერეული ბრალი. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მხოლოდ ზ. ბ-ულს დააკისრა ზიანის ანაზღაურება, ხოლო ა. მ-ია მთლიანად გაათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან, რაც არასწორია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას საკასაციო საჩივრის არსებითად მოსმენის დაწყებამდე მხარეები მორიგდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

1. კასატორი ზ. ბ-ული კისრულობს ვალდებულებას, არაუგვიანეს 2011 წლის 30 იანვრისა გადაუხადოს მოწინააღმდეგე მხარეს ა. მ-იას 2700 ლარი. თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორებით ა. მ-იას შემდეგ საანგარიშსწორებო ანგარიშზე: სს «... ბანკი», ბანკის კოდი – ...; ანგარიშის ნომერი – ...; თანხის მიმღები – ა. მ-ია.

2. იმ შემთხვევაში თუ კასატორ ზ. ბ-ულის მიერ არაჯეროვნად/არასრულად შესრულდება ან საერთოდ არ შესრულდება ამ მორიგების აქტის 1-ლი მუხლით დადგენილი ვალდებულება, იგი ა. მ-იას დაუყოვნებლივ გადაუხდის პირგასამტეხლოს – 3 000 ლარს. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ზ. ბ-ულს ძირითადი ვალდებულების – 2 700 ლარის გადახდის ვალდებულებისაგან.

3. მოწინააღმდეგე მხარე ა. მ-ია კისრულობს ვალდებულებას ამ შეთანხმებით დადგენილ ვადაში მიიღოს კასატორის მიერ ჯეროვნად და სრულად განხორციელებული შესრულება.

4. მხარეთა შორის გაფორმებული მორიგების აქტი ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

5. ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენება იძულებითი აღსრულების მექანიზმები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გთვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოწერედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხა-

რეები მორიგდნენ სასამართლოს მთავარ სხდომამდე, მოსამზადებელ სხდომაზე, ამიტომ კასატორ ზ. ბ-ულს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

I. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. კასატორი ზ. ბ-ული კისრულობს ვალდებულებას, არაუგვიანეს 2011 წლის 30 იანვრისა გადაუხადოს მოწინააღმდეგე მხარეს ა. მ-იას 2 700 ლარი. თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორებით ა. მ-იას შემდეგ საანგარიშსწორებო ანგარიშზე: სს «... ბანკი», ბანკის კოდი – ...; ანგარიშის ნომერი – ...; თანხის მიმღები – ა. მ-ია.

2. იმ შემთხვევაში, თუ კასატორ ზ. ბ-ულის მიერ არაუგვიანად/არასრულად შესრულება ან საერთოდ არ შესრულება ამ მორიგების აქტის 1-ლი მუხლით დადგენილი ვალდებულება, ა. მ-იას იგი დაუყოვნებლივ გადაუხადოს პირგასამტეხლოს – 3 000 ლარს. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ზ. ბ-ულს ძირითადი ვალდებულების – 2 700 ლარის გადახდის ვალდებულებისაგან.

3. მოწინააღმდეგე მხარე ა. მ-ია კისრულობს ვალდებულებას, ამ შეთანხმებით დადგენილ ვადაში მიიღოს კასატორის მიერ ჯეროვნად და სრულად განხორციელებული შესრულება.

4. მხარეთა შორის გაფორმებული მორიგების აქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

5. ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენება იძულებითი აღსრულების მექანიზმები.

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება და შეწყდეს საქმის წარმოება.

III. განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

IV. ზ. ბ-ულს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

V. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-685-641-2010

30 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ნივთის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, სასაზღვრო მიჯნის აღმართვის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ლ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. გ-შვილის მიმართ საკანალიზაციო მილის აღდგენისა და სასაზღვრე მიჯნის აშენების დავალდებულების შესახებ შემდეგი საფუძველებით: მხარეთა კუთვნილი მიწის ნაკვეთები და მათზე მდებარე შენობები ერთმანეთის მეზობლადაა. მოპასუხის კუთვნილ ნაკვეთზე წლების განმავლობაში გაყვანილი იყო მოსარჩელის სახლიდან გამომავალი საკანალიზაციო მილი, რაც თ.გ-შვილმა უკანონოდ მოშალა. აღნიშნულ ნიადაგზე მათ წარმოეშვათ კონფლიქტი. თ.გ-შვილმა შესთავაზა მოსარჩელეს მათი ნაკვეთების გამყოფი ძველი ქვის ღობის მონგრევა და საერთო ძალებით ახალი მიჯნის აღმართვა, რის შემდეგ დაჰპირდა, რომ აღადგენდა საკანალიზაციო მილსაც. გ.ლ-მე დაეთანხმა, მაგრამ მიჯნის დანგრევის შემდეგ თ.გ-შვილმა ახალი ღობის აღმართვასა და მილების აღდგენაზე უარი განუცხადა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: სადავო მიწის ნაკვეთის შექმნისას თ.გ-შვილისათვის არ იყო ცნობილი, რომ მის კუთვნილ ნაკვეთზე გადიოდა მეზობლის საკანალიზაციო მილი, რაც მან აღნიშნული მილის დაზიანების შედეგად შეიტყო. მითითებული მილი მეზობელ ნაკვეთზე გაყვანილ იქნა უძრავი ნივთის წინა მესაკუთრის ნებართვის გარეშე, რადგან ასეთი ნებართვა მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა. სადავო მილის დაზიანების შემდეგ მოპასუხემ არაერთხელ მოსთხოვა მოსარჩელეს მისი აღდგენა, შემდეგ კი ჩაჭრა და დახურა იგი. აღსანიშნავია, რომ საკანალიზაციო სისტემის მოწყობა გ. ლ-ძეს შეუძლია თ.გ-შვილის ნაკვეთის გვერდის ავლითაც.

რაც შეეხება მიჯნის აღმართვას, თავად მოსარჩელემ განაცხადა უარი ახალი ღობის აშენებაზე, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით გ. ლ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – თ. გ-შვილს დაევალა მის საკუთრებაში არსებულ ქ.თბილისში, ... ქ.16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე გამავალი საკანალიზაციო ქსელის აღდგენა, გ. ლ-ძეს უარი ეთქვა თ. გ-შვილისათვის საკადასტრო ნახაზის მიხედვით სამეზობლო მიწის ნაკვეთების გამყოფი სასაზღვრო მიჯნის აშენების დავალდებულებაზე.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება თ. გ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 იანვრის განჩინებით თ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოსარჩელის კუთვნილი საკანალიზაციო მილის მოპასუხის მიერ საკუთარ ეზოში სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს დაზიანების ფაქტი საქმიდან არ დასტურდება. პირიქით, მოპასუხე ამტკიცებდა, რომ საკანალიზაციო მილი დაზიანდა სიძველითა და მოუვლელიობით. პალატის განმარტებით, მოპასუხე საკანალიზაციო მილის დაზიანების მიზეზად მილის სიძველესა და მოუვლელიობაზე არსად უთითებს. ამასთან, შესაგებელში მოპასუხე არ უარყოფს, რომ მან ჩაჭრა და დახურა საკანალიზაციო მილი. გარდა ამისა, სადავო გარემოება დასტურდება დაბა წყნეთში, ... ქუჩის 121-ში მცხოვრები რ. თ-იას სანოტარო წესით დამოწმებული ახსნა-განმარტებით, რომელიც სასამართლომ თავისი განჩინებით მტკიცებულების სახით დაურთო საქმეს და მოწმე ლ. ს-ურის ჩვენებით.

სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის პოზიციას, რომ მოსარჩელეს გააჩნია მისი კუთვნილი საკანალიზაციო მილის ცენტრალური ქუჩის საკანალიზაციო ქსელთან მიერთების ალტერნატიული საშუალება და, შესაბამისად, აუცილებელი არ არის, რომ ამ მილმა მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გაიაროს. აპელანტს მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი შპს «თბილისის წყლის» წერილით დასტურდება, რომ მოსარჩელის საკანალიზაციო ქსელის ცენტრალური ქუჩის ქსელზე მიერთების სხვა ტექნიკურ-ეკონომიკურად გამართლებული საშუალება არ არსებობს, ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის საკანალიზაციო ქსელი უნდა აღდგეს პირვანდელი მდგომარეობით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო საკანალიზაციო მილი მოპასუხის მიერ შექმნილ მიწის ნაკვეთზე გადიოდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში და ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელთან მისი მიერთების კანონიერება სადავო არასოდეს გამხდარა არც ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის და არც წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების მხრიდან. ამასთან, პალატამ მიიჩნია, რომ შპს «თბილისის წყლის» წერილით, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც დასტურდება ის გარემოება, რომ თავის დროზე მოსარჩელის კუთვნილი საკანალიზაციო მილი ცენტრალური ქუჩის საკანალიზაციო ქსელთან კანონიერად იყო მიერთებული. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო საკანალიზაციო მილის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელთან მიერთების კანონიერების მტკიცების ტვირთი აწევს მოპასუხეს და არა მოსარჩელეს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ შეიცავს მითითებას საკანალიზაციო ქსელებზე, ამიტომ მათზე ამ ნორმის დანაწესი არ ვრცელდება. პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის კანონისმიერი შეზღუდვა განპირობებულია ზოგადად სამეზობლო თემის ვალდებულებით, რათა თითოეულ მესაკუთრეს მიეცეს თავისი მიწის ნაკვეთით ჯეროვანი სარგებლობის საშუალება. შესაძლოა მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთებიდან რაიმე ურთიერთუქმედება მომდინარეობდეს, მაგრამ ამ ნაკვეთის მესაკუთრენი ვალდებული არიან, ითმინონ ეს ზემოქმედებანი. სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საკანალიზაციო ქსელი აუცილებელია მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისათვის და მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს თემის ვალდებულებას აკისრებს, შესაბამისად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით მინიჭებული მოთხოვნის უფლება საკანალიზაციო ქსელსაც მოიცავს, თუმცა ამ ნორმით გათვალისწინებული თემის ვალდებულება აუცილებელი კავშირით უნდა იყოს გამოწვეული, რასაც ძირითადად სამეურნეო საჭიროება იწვევს.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საკანალიზაციო ქსელით სარგებლობის სამეურნეო საჭიროება განაპირობებს ამგვარ ქსელთან კავშირის უზრუნველყოფის აუცილებლობას, რომელიც არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნებაზე, კერძოდ, თუ საკანალიზაციო ქსელთან კავშირისათვის აუცილებელია მეზობელი მიწის ნაკვეთის გამოყენება, მაშინ ამ ნაკვეთის მესაკუთრე ვალდებულია, ითმინოს თავისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული საჭიროება არ არსებობს და მესაკუთრეს მაინც სურს მეზობელი მიწის ნაკვეთით ისარგებლოს, მაშინ სამეზობლო თემის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას სახელშეკრულებო საფუძველზე, რაც, სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილი სანივთო უფლებისაგან განსხვავებით, მესაკუთრის სახელშეკრულებო უფლება იქნება.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის სამეზობლო თემის ვალდებულება სწორედ 180-ე მუხლით გათვალისწინებული სანივთო უფლებისაგან გამომდინარეობს, რის გამოც დაუსაბუთებელია აპელანტის მოსაზრება, რომ მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად მხარეებს შორის არსებული შეთანხმება უნდა წარმოედგინა.

პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო ვერ იმსჯელებდა სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის მოპასუხისათვის მიცემის საკითხზე, ვინაიდან ასეთი მოთხოვნა მოპასუხეს არ განუცხადებია. პირიქით, მოპასუხის წარმომადგენელმა თავად განმარტა, რომ მის მარწმუნებელს ზემოხსენებული კომპენსაცია არ მოუთხოვია. ამდენად, აპელანტი უფლებამოსილია, მოსარჩელესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს კომპენსაცია საერთო სასარჩელო წესით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ასევე ვერ გახდება აპელანტის მითითება, რომ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მისამართი არასწორადაა მითითებული გადაწყვეტილებაში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული წარმომადგენელის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრისა და ამავე სასამართლოს 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინებები თ. გ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეთა ახსნა-განმარტება და პროცესუალური დარღვევების შედეგად არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო საკანალიზაციო მილი დაზიანდა კასატორის მიერ მის ეზოში წარმოებული სამუშაოების შედეგად და გ.ლ-მეს საკანალიზაციო მილის გასატარებლად სხვა ალტერნატიული საშუალება არ გააჩნია. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეების – რ. თ-იასა და ლ. ს-ურის ჩვენებები და არ გაიზიარა მოპასუხის და მისი წარმომადგენლის განმარტება.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ „თბილისის წყლის“ წერილს და მას მტკიცებულების ძალას მიანიჭა, თუმცა დაუსაბუთებლად უფლებელყო მოპასუხის მიერ წარმოდგენილი, იმავე ორგანიზაციის მიერ გაცემული წერილი, რომელიც ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით სრულიად საწინააღმდეგოს ადასტურებს. დასახელებული მტკიცებულება სასამართლომ საქმესაც არ დაურთო.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ წარმომადგენლის მიერ სასამართლო პროცესზე მიცემული განმარტება არ შეიძლება საფუძველად დაედოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რადგან მის მიერ მიცემული განმარტება მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში პალატას ერთმანეთისაგან უნდა გაემიჯნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე და 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი პრინციპები. კერძოდ, სარჩელის ცნობა შეუძლია როგორც მხარეს, ასევე მის წარმომადგენელს, ხოლო აღიარება შეუძლია მხოლოდ მხარეს და არა მის წარმომადგენელს.

თ.გ-შვილის მიერ ეზოში წარმოებული სამუშაოების შედეგად საკანალიზაციო მილის დაზიანების ფაქტი არ დასტურდება არც სასამართლოს მიერ მითითებული მოწმე რ. თ-იასა და ლ. ს-ურის ჩვენებებით. რ.თ-იას განმარტებაში მითითებული გარემოება, რომ იგი შეესწრო ფაქტს, „როდესაც მიწა გათხარეს და ამოყარეს საკანალიზაციო მილები“, არ ადასტურებს, რომ საკანალიზაციო მილები მაშინ დაზიანდა, ხოლო ლ. ს-ურმა განმარტა შემდეგი: „მან იცოდა, რომ საკანალიზაციო მილი ჩახსნილი იყო“; „მიწა რომ მოჭრეს, შეიძლება მაშინ დაზიანდა“.

შპს „თბილისის წყლის“ 2008 წლის 26 დეკემბრის წერილის საფუძველზე სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელეს არ გააჩნია სხვა ალტერნატიული გზა საკანალიზაციო სისტემის მოსაწყობად, გარდა იმისა, რომ საკანალიზაციო სისტემამ გ-როს თ.გ-შვილის ეზოზე. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი აუცილებელი გზის მიცემის მოთხოვნის საფუძველს იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიწის ნაკვეთს არ აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი წერილით კი ირკვევა, რომ მის საკანალიზაციო ქსელს, სადავო ნაკვეთზე გავლის გარდა, ცენტრალური ქუჩის ქსელზე მიერთების სხვა ტექნიკურ-ეკონომიურად გამართლებული საშუალება არ გააჩნია. ამდენად, არსებობს სადავო მილების გაყვანის სხვა ალტერნატიული გზაც, რომელიც არაეკონომიურია ან ნაკლებად ეკონომიურია. ასეთ შემთხვევაში მხარეს აუცილებელი კავშირის მიცემის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

სააპელაციო პალატას უნდა გამოეკვლია კასატორის მიერ წარდგენილი შპს „თბილისის წყლის“ წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ აუცილებელი კავშირის სხვა ალტერნატიული გზები არსებობს, კერძოდ, მო-

სარჩელის საკანალიზაციო სისტემამ შეიძლება გაიაროს მეზობლების ეზოზე ანდა მოსარჩელეს შეუძლია, გადაქაჩოს ... გამზირზე არსებულ საკანალიზაციო ქსელში შესაბამისი ტურბოაგრეგატის მოწყობით. არ მიიღო რა აღნიშნული დოკუმენტი მხედველობაში, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება და ამავე კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

საკასაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი. თავისთავად დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის აღდგენა ნიშნავს კასატორის მიერ მოსარჩელისათვის აუცილებელი გზის მიცემას, რაც მხარეს არ მოუთხოვია. აღსანიშნავია, რომ საკანალიზაციო მილი სატრანსპორტო საშუალების ერთ-ერთი სახეა და კასატორის ნაკვეთზე მის გასაცვანად უნდა არსებობდეს სათანადო საშენებლო ნებართვა, პროექტი, კასატორის ნებართვა ანდა სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებელი გზის მიღების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ჩამოთვლილიდან არც ერთი პირობა არ არსებობს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. თ. გ-შვილი თანახმაა, გაატაროს დაბა წყნეთში, ... ქ.16-ში მდებარე, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის გასწვრივ, დაბა წყნეთში ... ქ.15-ში მდებარე, გ. ლ-მის საკუთრებაში არსებული სახლის საკანალიზაციო მილი, ხოლო გ. ლ-მე საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მილის გატარებასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებას და მის შემდგომ მოვლა-პატრონობას;

2. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ მიწის ნაკვეთებს შორის სასაზღვრო გამყოფი მიჯნის აღმართვის სამუშაოების ორგანიზებას განახორციელებს ნ. ყ-შვილი მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებული პირობებით (შეთანხმებული ზოლი, რომელზეც ღობე გაივლის; ღობის სიმაღლე, სიგანე და ა.შ.) სასაზღვრო გამყოფი მიჯნის აღმართვის ხარჯებს მხარეები გადაიხდიან თანაბარპროპორციულად წინამდებარე მორიგების აქტზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით;

3. მხარეები თანხმდებიან, რომ სასაზღვრო-გამყოფი მიჯნის მშენებლობისათვის ნ. ყ-შვილს თანაბარპროპორციულად გადასცემენ 20000 ლარს მორიგების აქტის ხელმოწერის (გაფორმების) დღეს, რათა მიჯნის აღმართვის სამუშაოების წარმოება დაიწყოს დაუყოვნებლივ, ხოლო ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ დარჩენილ თანხას გადაიხდიან მშენებლობის დასრულებამდე;

4. იმ შემთხვევაში, თუ სასაზღვრო-გამყოფი მიჯნის მშენებლობის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ მშენებლობისათვის წინასწარ გადახდილი თანხა ვერ ფარავს მშენებლობის ხარჯებს, მხარეები თანხმდებიან, რომ დაუყოვნებლივ უზრუნველყოფენ დამატებითი თანხის გადახდას თანაბარპროპორციულად;

5. მხარეები თანხმდებიან, რომ გ. ლ-მე თ. გ-შვილის სასარგებლოდ უარს აცხადებს თბილისის საკასაციო სასამართლოს მიერ თ. გ-შვილისათვის დაკისრებული თანხის – 16510 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 1155 ლარის მოთხოვნაზე;

6. მხარეები აღიარებენ და ადასტურებენ, რომ არც ამჟამად და არც მომავალში არ ექნებათ რაიმე პრეტენზია, სარჩელი თუ სხვა სახის მოთხოვნა ამ მორიგების აქტით დარეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებით;

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. გ-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 5 ივლისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილით, 284-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება თ. გ-შვილსა და გ. ლ-ძეს შორის შემდეგი პირობებით:

1. თ. გ-შვილი თანახმაა, გაატაროს დაბა წყნეთში ... ქ.16-ში მდებარე, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის გასწვრივ, დაბა წყნეთში, ... ქ.15-ში მდებარე, გ. ლ-ძის საკუთრებაში არსებული სახლის საკანალიზაციო მილი, ხოლო გ. ლ-ძე საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მილის გატარებასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებას და მის შემდგომ მოვლა პატრონობას;

2. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ მიწის ნაკვეთებს შორის სასაზღვრო გამყოფი მიჯნის აღმართვის სამუშაოების ორგანიზებას განახორციელებს ნ. ყ-შვილი მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებული პირობებით (შეთანხმებული ზოლი, რომელზეც ღობე გაივლის; ღობის სიმაღლე, სიგანე და ა.შ.) სასაზღვრო გამყოფი მიჯნის აღმართვის ხარჯებს მხარეები გადაიხდიან თანაბარპროპორციულად მორიგების აქტზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით;

3. მხარეები თანხმდებიან, რომ სასაზღვრო-გამყოფი მიჯნის მშენებლობისათვის 20000 ლარს თანაბარპროპორციულად ნ. ყ-შვილს გადასცემენ მორიგების აქტის ხელმოწერის (გაფორმების) დღეს, რათა მიჯნის აღმართვის სამუშაოების წარმოება დაიწყოს დაუყოვნებლივ, ხოლო ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ დარჩენილ თანხას გადაიხდიან მშენებლობის დასრულებამდე;

4. იმ შემთხვევაში, თუ სასაზღვრო-გამყოფი მიჯნის მშენებლობის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ მშენებლობისათვის წინასწარ გადახდილი თანხა ვერ ფარავს მშენებლობის ხარჯებს, მხარეები თანხმდებიან, რომ დაუყოვნებლივ უზრუნველყოფენ დამატებითი თანხის გადახდას თანაბარპროპორციულად;

5. მხარეები თანხმდებიან, რომ გ. ლ-ძე თ. გ-შვილის სასარგებლოდ უარს აცხადებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ თ. გ-შვილისათვის დაკისრებული თანხის – 16510 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 1155 ლარის მოთხოვნაზე;

6. მხარეები აღიარებენ და ადასტურებენ, რომ არც ამჟამად და არც მომავალში ექნებათ რაიმე პრეტენზია, სარჩელი თუ სხვა სახის მოთხოვნა ამ მორიგების აქტით დარეგულირებულ სათითხებთან დაკავშირებით;

შეწყდეს საქმის წარმოება გ. ლ-ძის სარჩელის გამო თ. გ-შვილის მიმართ საკანალიზაციო მილის აღდგენისა და სასაზღვრე მიჯნის აშენების დავალდებულების შესახებ;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები;

განემართოს მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

თ. გ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 5 ივლისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-611-573-2010

8 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა, სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა თ. კ-ურის კანონიერი წარმომადგენლის – ნ. მ-შვილის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ; ამხანაგობა «დ. უ-ს» აეკრძალა ქ. ჯ-შვილისათვის 2008 წლის 15 ივლისის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ქონების გადაცემა ან მის მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულება, ამავე განჩინებით ქ. ჯ-შვილს აეკრძალა 2008 წლის 15 ივლისის სამკვიდრო მოწმობისა და 2007 წლის 14 დეკემბრის ამხანაგობის

ხელშეკრულების შესაბამისად ამხანაგობა «მ. უ.-ში» თავისი წილის (1/4-ის) გასხვისება ან სხვა ვალდებულებით დატვირთვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით, ქ. ჯ.-შვილის საჩივრის განხილვის შედეგად, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იმ ნაწილში, რომლითაც ამხანაგობა «მ. უ.-ს» აკრძალა ქ. ჯ.-შვილისათვის 2008 წლის 15 ივლისის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ქონების გადაცემა ან მის მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულება. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ნოემბრის განჩინებით.

2008 წლის 29 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა თ. კ.-ურის კანონიერმა წარმომადგენელმა ნ. მ.-შვილმა მოპასუხე ქ. ჯ.-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ა) 2007 წლის 31 დეკემბერს გარდაცვლილი გ. კ.-ურის სამკვიდრო ქონებაზე ქ. ჯ.-შვილისათვის კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა; ბ) ნოტარიუს ნ. გ.-ძის მიერ 2008 წლის 15 ივლისს გაცემული სამკვიდრო მოწმობის (რეგისტრაციის 12-584) ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც ქ. ჯ.-შვილმა მიიღო 2007 წლის 31 დეკემბერს გარდაცვლილი გი. კ.-ურის სამკვიდრო ქონება.

ხედავთ დასახელებული მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველად მოსარჩელე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე ქ. ჯ.-შვილსა და მამკვიდრებელ გი. კ.-ურს შორის წლების განმავლობაში ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო და ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის გაზრდა.

მოპასუხე ქ. ჯ.-შვილმა სარჩელი არ ცნო და მისი უარყოფა იმით დაასაბუთა, რომ მასა და მამკვიდრებელ გი. კ.-ურს შორის ქორწინება ფაქტობრივად არ შეწყვეტლა. აქედან გამომდინარე, მოპასუხის მოსაზრებით, სარჩელი უსაფუძვლო იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 მარტის საოქმო განჩინებით ა. კ.-ური და გ. კ.-ური მოცემულ საქმეში ჩაებნენ მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით თ. კ.-ურის კანონიერი წარმომადგენელი ნ. მ.-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: ქ. ჯ.-შვილს ჩამოერთვა კანონით მემკვიდრეობის უფლება 2007 წლის 31 დეკემბერს გარდაცვლილი გი. კ.-ურის სამკვიდრო ქონებაზე; ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ნ. გ.-ძის მიერ 2008 წლის 15 ივლისს გაცემული სამკვიდრო მოწმობა (რეგისტრაციის 12-584) იმ ნაწილში, რომლითაც ქ. ჯ.-შვილმა მიიღო 2007 წლის 31 დეკემბერს გარდაცვლილი გი. კ.-ურის სამკვიდრო ქონება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

გი. კ.-ური 1982 წლის 11 სექტემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ქ. ჯ.-შვილთან;

გი. კ.-ურსა და ქ. ჯ.-შვილს ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ერთი შვილი, 1983 წლის 6 აგვისტოს დაბადებული ა. კ.-ური. ამ პერიოდისათვის ისინი ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ თბილისში, 300 ... მე-3 შესახვევის 15-ში მდებარე ბინაში;

1988 წლის 17 იანვარს გი. კ.-ურს ხ. ბ.-შვილისაგან შეეძინა შვილი გ. კ.-ური;

1997 წლის 20 აგვისტოს გი. კ.-ურს ნ. მ.-შვილისაგან შეეძინა მეორე შვილი – თ. კ.-ური;

გი. კ.-ური მუდმივად ცხოვრობდა თბილისში, 300 ... მე-3 შესახვევის 15-ში მდებარე ბინაში;

2005 წელს გი. კ.-ურმა გაიკეთა ოპერაცია და 2005 წლის 3 მარტიდან 2005 წლის 23 მარტამდე იწვა საავადმყოფოში;

გი. კ.-ურსა და ამხანაგობა «მ. უბანს» შორის 2007 წლის 14 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გი. კ.-ურს წარმოეშვა უფლება ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ საკუთრებაში მიეღო თბილისში, ქ. 14-ში ასაშენებელ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში მდებარე ორთახიანი, დაახლოებით 30 კვ.მ ბინა. ამხანაგობაში გი. კ.-ურის შენატანს წარმოადგენდა მის საკუთრებაში არსებული, თბილისში, 300 ... მე-3 შესახვევის 15-ში მდებარე უძრავი ქონება;

გი. კ.-ურის დედა გ. ბ.-მე გარდაიცვალა 2003 წლის 27 ივლისს, ხოლო მამა ს. კ.-ური – 1990 წელს;

2007 წლის 31 დეკემბერს გი. კ.-ური გარდაიცვალა თბილისში, 300 ... მე-3 შესახვევის 15-ში მდებარე ბინაში. გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა;

2008 წლის 21 აპრილს თ. კ.-ურის კანონიერმა წარმომადგენელმა ნ. მ.-შვილმა გი. კ.-ურის სამკვიდროს მიღების მიზნით წერილობითი განცხადებით მიმართა სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს. 2008 წლის 30 მაისს ნოტარიუსს განცხადებით მიმართა ასევე გ. კ.-ურმა;

2008 წლის 15 ივლისს ნოტარიუს ნ. გ.-ძის მიერ გი. კ.-ურის სამკვიდრო ქონების ნაწილზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა (რეგისტრის 12-584) ქ. ჯ.-შვილისა და ა. კ.-ურის სახელზე.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ გი. კ.-ურსა და ქ. ჯ.-შვილს შორის მამკვიდრებლის (გი. კ.-ური) გარდაცვალებამდე არანაკლებ სამი წლისა ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი

იყო და ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დაეფუძნა მოწმეთა ჩვენებებს, აგრეთვე, საქმეში წარდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც განთავსებულია საქმეში.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, იმ გარემოებას, რომ ქ. ჯ-შვილი და გი. კ-ური სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა და უფრო მეტიც ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, ნაწილობრივ ასევე ადასტურებდა თავად მოპასუხე მხარე. შესაგებელში ქ. ჯ-შვილმა განმარტა, რომ მეუღლესთან ერთად თბილისში, 300 ... მე-3 შესახვევის 15-ში მდებარე ბინაში ძირითადად ცხოვრობდა 2002 წლამდე, ხოლო შემდგომ გადავიდა დედის ბინაში; საცხოვრებელი მისამართი გამოიცვალა 2001-2002 წლებში. ა. კ-ურმა მიუთითა, რომ მამასთან ცხოვრობდა 2002 წლამდე. მოპასუხე მხარის მოწმე ც. ე-შვილმა განმარტა, რომ ქ. 2002-2003 წლებში გადავიდა დედასთან. მოწმე ა. პ-შვილის განმარტებით, იგი 2007 წლის მაისში ქ.ის სანახავად დედის ბინაში მივიდა.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზეც, რომ თავად მოპასუხის მიერ წარდგენილი მოწმეები ნაწილობრივ ადასტურებდნენ მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. ისინი განმარტავდნენ, რომ გ. (საუბარია გი. კ-ურზე) ბოლო პერიოდში ძირითადად სახლში იყო (მოწმე ც. ე-შვილი), ნ. მ-შვილი 2004 წლიდან გი. კ-ურთან ერთად ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ მისამართზე. ც. ე-შვილის განმარტებით, ნ. იქ ცხოვროვდა თავის ბავშვთან ერთად. გარდაცვალების დღეს ნ. დახვდა გი-სთან. დასახელებულ გარემოებას ნაწილობრივ ადასტურებდა ა. კ-ური, რომლის განმარტებით, როდესაც ის მამასთან მიდიოდა, იქ ნ. ხვდებოდა ხოლმე, რომლის დანახვაც აღიზიანებდა. მოწმე ქ. ბ-ძის განმარტებით, ნ. გი-ს გარდაცვალების დროს მის ჭირისუფლად იჯდა; საავადმყოფოში გი. კ-ურს სამივე – ქ., ნ., ხ., ედგა თავზე და უვლიდა. ასევე ყურადსაღები იყო მოპასუხის მოწმე ა. პ-შვილის განმარტება – ნ. მ-შვილზე გასვენებაში უთხრეს, რომ ის იყო გი-ს მესამე ცოლი, ხოლო ხ. ბ-შვილი მეორე ცოლი.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე ყურადსაღები იყო ის გარემოება, რომ წინააღმდეგობრივი იყო თავად მოპასუხე მხარის, წარმომადგენლისა და მოწმეთა განმარტებები. ამის დასასაბუთებლად სასამართლომ მოიყვანა საქმეში არსებული კონკრეტული მტკიცებულებები.

ყველა ზემოთ დასახელებული გარემოების ერთობლიობაში შეფასების შედეგად საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარე, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, სუბიექტურად, რეალური ფაქტების დამალვით ცდილობდა შესაგებლის დასაბუთებას, რაც სასამართლოს უქმნიდა შინაგან რწმენას მის მიერ მითითებული გარემოებების არასარწმუნოებაზე. მოპასუხემ ვერ წარადგინა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ ქ. ჯ-შვილი გი. კ-ურთან ერთად ეწეოდა საოჯახო საქმიანობას გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე, დედასთან საცხოვრებლად მისი გადასვლის აუცილებლობა გამოიწვია დედის მძიმე ავადმყოფობამ, უვლიდა მეუღლეს ავადმყოფობის დროს გარდაცვალებამდე, მკურნალობის ხარჯები გასწია მან და სხვა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც დამახასიათებელია რეალურად არსებული ოჯახისათვის.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში გი. კ-ურის გარდაცვალებით 2007 წლის 31 დეკემბერს გაიხსნა სამკვიდრო. სამკვიდრო მასას შეადგენდა თბილისში, ქ. 14-ში ასაშენებელ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში მდებარე ორთახიანი ბინის (დაახლოებით 330კვ.მ-ის) საკუთრებაში მიღების უფლება. ამ ეტაპზე სხვა სამკვიდრო ქონება არ დგინდებოდა. სამკვიდრებელს დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე: რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე ქ. ჯ-შვილი, შვილები – ა. კ-ური, გ. კ-ური, თ. კ-ური. საქმეზე დგინდებოდა, რომ 2008 წლის 15 ივლისს ნ. გ-ძის მიერ გი. კ-ურის სამკვიდრო ქონების 1/2-ზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა (რეესტრის 1 2-584) ქ. ჯ-შვილისა და ა. კ-ურის სახელზე. 2008 წლის 21 აპრილს თ. კ-ურის კანონიერმა წარმომადგენელმა ნ. მ-შვილმა გი. კ-ურის სამკვიდროს მიღების მიზნით წერილობითი განცხადებით მიმართა სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს. ამავე შინაარსის განცხადებით 2007 წლის 30 მაისს ნოტარიუსისათვის მიმართული აქვს გ. კ-ურსაც. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ კანონით დადგენილ ვადაში და წესით მიმართა სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი ამ დავის მიმართ იურიდიული ინტერესის მქონე პირს წარმომადგენდა, რომელსაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიეცემოდა უფლება, მიეღო სამკვიდრო მოწმობა გაზრდილი სამკვიდრო წილის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფდა მისთვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას – მიეღო მამის სამკვიდროდან მეტი წილი.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება სამკვიდრებელთან სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ დასახელებული ნორმის თანახმად, არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რამდენადაც საქმეზე დგინდებოდა, რომ გი. კ-ურსა და ქ. ჯ-შვილს შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო და ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ჯ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით ქ. ჯ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: თ. კ-ურის კანონიერი წარმომადგენლის ნ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 აგვისტოს განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ქ. ჯ-შვილისათვის 2008 წლის 15 ივლისის სამკვიდრო მოწმობისა და 2007 წლის 14 დეკემბრის ამხანაგობის ხელშეკრულების შესაბამისად ამხანაგობა «მ. უ-ში» თავისი წილის (1/4-ის) გასხვისების ან სხვა ვალდებულებით დატვირთვის შესახებ ქმედების აკრძალვა;

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ გი. კ-ურსა და ქ. ჯ-შვილს შორის მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე არანაკლებ სამი წლისა ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო და ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება, მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა, შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის ზემომითითებული ნორმის შინაარსი ამავე ნორმით გათვალისწინებულ გარემოებათა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით შეიცავს პრეზუმფციას მოპასუხის სასარგებლოდ და სანამ მოსარჩელე არ დაადასტურებს ზემოთ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობას, მანამდე ითვლება, რომ მეუღლე (ამ შემთხვევაში ქ. ჯ-შვილი) წარმოადგენს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეს. შესაბამისად, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1 მუხლით გათვალისწინებული ზოგადი დანაწესისა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, მოცემული კატეგორიის დავების შემთხვევაში მატერიალური სამართლის ნორმა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ზემოთ დასახელებულ გარემოებათა მტკიცების ტვირთის ადრესატს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში თ. კ-ურის კანონიერ წარმომადგენელ ნ. მ-შვილს, როგორც მოსარჩელეს ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი იმ გარემოებათა დასადასტურებლად, რომ: ქ. ჯ-შვილსა და გი. კ-ურს შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო; ქ. ჯ-შვილი და გი. კ-ური ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე; ქ. ჯ-შვილსა და გი. კ-ურს შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო გი. კ-ურის გარდაცვალებამდე 3 წლის განმავლობაში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ის ინფორმაცია და მონაცემები, რაც დაფიქსირებულია მოსარჩელის ინიციატივით დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებში, ასევე, მის მიერ წარდგენილ წერილობით მტკიცებულებებში, იძლეოდა საფუძველს იმ გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ ნ. მ-შვილსა და გი. კ-ურს შორის არსებობდა ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, დასახელებული ფაქტობრივი გარემოების არსებობა არ გამორიცხავდა გი. კ-ურის მიერ საქორწინო ურთიერთობების შენარჩუნებას ქ. ჯ-შვილთან. ამ გარემოების არსებობა მით უფრო არ ნიშნავდა, რომ 3 წლის განმავლობაში ქ. ჯ-შვილსა და გი. კ-ურს შორის ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე შეწყვეტილი იყო ქორწინება. მოსარჩელის მიერ შეთავაზებული მტკიცებულებები, როგორც მოწმეთა ჩვენებები, ასევე, წერილობითი მტკიცებულებები, არ შეიცავდა ცნობებსა და მონაცემებს გი. კ-ურის მიერ ქ. ჯ-შვილთან ქორწინების შეწყვეტის ნების გამოვლენის შესახებ გარემოებაზე. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ არ დგინდებოდა გი. კ-ურის მხრიდან ისეთი ქმედების განხორციელების შესახებ ფაქტობრივი გარემოება, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელი გახდებოდა ცალსახა დასკვნის გაკეთება მის მიერ ქ. ჯ-შვილთან ქორწინების შეწყვეტისა და ამგვარი მდგომარეობის სამი წლის განმავლობაში შენარჩუნების შესახებ. მოწმეთა მიერ ჩვენებაში იმ გარემოების დაფიქსირება, რომ გი. კ-ური მეუღლედ მოიხსენიებდა ნ. მ-შვილს, ხოლო ქ. ჯ-შვილის სახელის გაგონება არ უნდოდა, ხაზს უსვამდა ნ. მ-შვილთან ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობების, ხოლო ქ. ჯ-შვილთან კონფლიქტური მდგომარეობის არსებობას. აღნიშნული ცალსახად არ იძლეოდა საფუძველს დასკვნისათვის, რომ გი. კ-ურის მიერ განხორციელდა ქორწინების შეწყვეტა ქ. ჯ-შვილთან და ამგვარი მდგომარეობა შენარჩუნდა მის გარდაცვალებამდე. ის გარემოება, რომ გი. კ-ურმა, მიუხედავად ქ. ჯ-შვილთან კონფლიქტური ურთიერთობებისა, წლების მანძილზე (მით უფრო – 2005 წელს გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ) არ განაცხადა მასთან განქორწინების შესახებ ნება, აღძრავდა დასაბუთებულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ მას არ სურდა ქ. ჯ-შვილთან ქორწინების შეწყვეტა. ამასთან, საქმეზე მოწმის სახით დაკითხული ა. კ-შვილის ჩვენება შეიცავდა ცნობებს იმის თაობაზე, რომ მეგობრებთან ერთად 2006 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩასულები იყვნენ ნათესავის (მოწმე ა. კ-შვილის) მოსანახულებლად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის სწორად გადასაწყვეტად აუცილებელი იყო იმის დადგენა, მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები საქმეში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით იძლეოდა თუ არა 1341-ე მუხლით გათვალისწინებული კვალიფიკაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი წინაპირობების დადგენის შესაძლებლობას და ნორმის კვალიფიკაციის საფუძველს. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მეუღლისათვის კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძველი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუკი ერთდროულად სახეზეა შემ-

დეგი მაკვალიფიცირებული გარემოებები: სამკვიდროს გახსნამდე სამი წლის განმავლობაში მეუღლეებს შორის შეწყვეტილია ქორწინება და ამასთან მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მეუღლეთა მხოლოდ ცალ-ცალკე ცხოვრების ფაქტი არ არის საკმარისი ქორწინების შეწყვეტილად მიჩნევისათვის. უნდა დასტურდებოდეს ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან ნების გამოვლენა ქორწინების შეწყვეტის თაობაზე. ეს უკანასკნელი უნდა ვლინდებოდეს კონკრეტულ ქმედებაში, რაც თავის მხრივ, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა იძლეოდეს ცალსახა დასკვნის გაკეთების საფუძველს იმასთან დაკავშირებით, რომ მეუღლეთა შორის ქორწინება შეწყვეტილი იყო ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე სამი წლის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ შეთავაზებული მტკიცებულებები არ იყო საკმარისი სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმით განსაზღვრული სამართლებრივი მექანიზმის – კანონიერი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის ამოქმედებისათვის. ამდენად, სარჩელი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. კ-ურის კანონიერმა წარმომადგენელმა ნ. მ-შვილმა (წარმომადგენელი მ. ა-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება, შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, დადგინილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქ. ჯ-შვილსა და მამკვიდრებელ გი. კ-ურს შორის, ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე 3 წლის განმავლობაში, საქორწინო ურთიერთობა ფაქტობრივად არ ყოფილა შეწყვეტილი. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო ვერ მიუთითებს ვერც ერთ კონკრეტულ გარემოებასა თუ მტკიცებულებაზე, რომელსაც ემყარება ზემოაღნიშნული დასკვნა. იგი მიუთითებს მხოლოდ ერთი მოწმის – ა. პ-შვილის ჩვენებაზე, რაც არასწორად არის გადმოცემული. დასახელებული მოწმე, რომელიც ქ. ჯ-შვილის ინიციატივით დაიკითხა, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გი. კ-ურს (მამკვიდრებელი) ქ. ჯ-შვილთან დაშორების შემდეგ ჰყავდა მეორე მეუღლე – ბ. ბ-შვილი, ხოლო შემდეგ მესამე მეუღლე – ნ. მ-შვილი.

რაც შეეხება მამკვიდრებელ გი. კ-ურის ნებას ქ. ჯ-შვილთან ქორწინების შეწყვეტის თაობაზე, კასატორის მტკიცებით, ამ უკანასკნელმა ვერ მოასწრო მოპასუხესთან ოფიციალურად განქორწინება. ეს დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით. ამასთან, საქმეზე წარდგენილია ქ. ჯ-შვილის განცხადება, რომლითაც იგი 1996 წელს მიმართავდა ისნის რაიონულ სასამართლოს გი. კ-ურთან განქორწინების მოთხოვნით. აღნიშნული მტკიცებულების ნამდვილობა ქ. ჯ-შვილს საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე სადავოდ არ გაუხდია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას საკასაციო საჩივრის არსებითად მოსმენის დაწყებამდე მხარეები: 1. კასატორი – თ. კ-ური, წარმოდგენილი კანონიერი წარმომადგენლის – ნ. მ-შვილის და მისი წარმომადგენლის მ. ა-ძით; 2. მესამე პირი გ. კ-ური წარმოდგენილი მ. ა-ძით; 3. მოწინააღმდეგე მხარე – ქ. ჯ-შვილი წარმოდგენილი მ. ს-ძით; 4. მესამე პირი ა. კ-ური წარმოდგენილი მ. ს-ძის სახით – მორიგდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

1. წინამდებარე შეთანხმების ძალით აწ გარდაცვლილი გ. ბ-ძის (2007 წლის 31 დეკემბერს გარდაცვლილი გი. კ-ურის დედის) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი (რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფელ ..., სარეგისტრაციო ზონა – გარდაბანი, კოდი – 81, სექტორი – გარდაბნის რაიონი, კოდი – 11, კვარტალი – 08, ნაკვეთის ნომერი – 193, ფართობი – დაზუსტებული 0.423ა, ასევე, სხვა სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით) საკუთრებაში გადაეცემა ქ. ჯ-შვილს და აღიარებულ იქნება მისსავე საკუთრებად. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს საფუძველს გ. ბ-ძის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ნივთის მესაკუთრედ ქ. ჯ-შვილის რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრში. ამავე მიზნით მხარეები აცხადებენ და წინამდებარე შეთანხმების თანახმად ადასტურებენ, რომ ქ. ჯ-შვილი წარმოადგენს გ. ბ-ძის ქონების ერთადერთ მესაკუთრეს მემკვიდრეობის საფუძველზე და რომ მას მიღებული აქვს სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით (რაც არ გამოიცხადეს ამ შეთანხმების მომდევნო პუნქტების დებულებების მოქმედებას);

2. ამ შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებული პირობის სანაცვლოდ ქ. ჯ-შვილი წინამდებარე შეთანხმებით ვალდებული იქნება, რომ 2007 წლის 31 დეკემბერს გარდაცვლილი გი. კ-ურის სამკვიდრო ქონებიდან მიღებული თავისი კუთვნილი 1/4 (25%) (რომელიც ქ. ჯ-შვილს მიღებული აქვს 2008 წლის 15 ივლისს ნოტარიუს ნ.გ-ძის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობისა და 2007 წლის 14 დეკემბრის «ძველი უ-ს» ამხანაგობის ხელშეკრულების საფუძველზე), გადასცეს გი. კ-ურის დანარჩენ მემკვიდრეებს – თ. კ-ურს – 9%, გ. კ-ურს – 9% და ა. კ-ურს – 7%, საჯარო რეესტრში აღრიცხვით;

3. გი. კ-ურის სამკვიდროში შემავალ აქტივზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია საკუთრების უფლებასთან, თბილისში, 300 ... მე-3 შესახვევის 15-ში მდებარე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან, ან ამავე უძრავი ნივთის შენატანის საფუძველზე «ძ. უ-ს» ამხანაგობაში წევრობასთან, წინამდებარე შეთანხმების ძალით თანამესაკუთრეებს წარმოადგენენ თ. კ-ური, გ. კ-ური და ა. კ-ური. ამასთან, სამკვიდროში შემავალ ამ აქტივზე ა. კ-ურს ეკუთვნის თანასაკუთრებაში 32%-იანი წილი, თ. კ-ურს ეკუთვნის 34%-იანი წილი, ხოლო გ. კ-ურს ეკუთვნის 34%-იანი წილი;

4. ამ შეთანხმების მხარეებთან მიმართებით ამ შეთანხმებით დადგენილი წესები არ ვრცელდება გი. კ-ურის ისეთ ქონებაზე, რომელიც არ უკავშირდება თბილისში, 300 ... მე-3 შესახვევის 15-ში მდებარე უძრავ

ნივთზე საკუთრების უფლებას ან წილზე საკუთრების უფლებას «დ. უ-ს» ამხანაგობაში, ან ამ შეთანხმების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ გი. კ-ურის სამკვიდროში შემავალ აქტივს;

5. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტამდე არსებობას განაგრძობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც დადგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 აგვისტოს განჩინებით (137578-08).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდებიან.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი თ. კ-ური (კანონიერი წარმომადგენელი ნ. მ-შვილი) საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 1 ივლისის განჩინებით გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარე ქ. ჯ-შვილს, ვინაიდან მხარეები მორიგდნენ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მოსამზადებელ სხდომაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49.2 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ისიც (მოწინააღმდეგე მხარეც) უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

I. დაკმაყოფილდეს მხარეთა (1. კასატორი – თ. კ-ური წარმოდგენილი კანონიერი წარმომადგენლის ნ. მ-შვილის და მისი წარმომადგენლის მ. ა-ძით; 2. მესამე პირი გ. კ-ური წარმოდგენილი მ. ა-ძით; 3. მოწინააღმდეგე მხარე ქ. ჯ-შვილი წარმოდგენილი მ. ს-ძის სახით; 4. მესამე პირი ა. კ-ური წარმოდგენილი მ. ს-ძით) შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. წინამდებარე შეთანხმების ძალით აწ გარდაცვლილი გ. ბ-ძის (2007 წლის 31 დეკემბერს გარდაცვლილი გი. კ-ურის დედის) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი (რომელიც მდებარეობს გარდაზნის რაიონის სოფელ ..., სარეგისტრაციო ზონა – გარდაზანი, კოდი – 81, სექტორი – გარდაზნის რაიონი, კოდი – 11, კვარტალი – 08, ნაკვეთის ნომერი – 193, ფართობი – დაზუსტებული 0.423ა, ასევე სხვა სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით) საკუთრებაში გადაეცემა ქ. ჯ-შვილს და აღიარებულ იქნეს მისსავე საკუთრებად. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს საფუძველს გ. ბ-ძის საკუთრებაში არსებული, ზემოაღნიშნული უძრავი ნივთის მესაკუთრედ ქ. ჯ-შვილის რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრში. ამავე მიზნით მხარეები აცხადებენ და წინამდებარე შეთანხმების თანახმად ადასტურებენ, რომ ქ. ჯ-შვილი წარმოადგენს გ. ბ-ძის ქონების ერთადერთ მესაკუთრეს მემკვიდრეობის საფუძველზე და რომ მას მიღებული აქვს სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით (რაც არ გამორიცხავს ამ შეთანხმების მომდევნო პუნქტების დებულებების მოქმედებას);

2. ამ შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებული პირობის სანაცვლოდ ქ. ჯ-შვილი წინამდებარე შეთანხმებით ვალდებულია იღებს, რომ 2007 წლის 31 დეკემბერს გარდაცვლილი გი. კ-ურის სამკვიდრო ქონებიდან მიღებული თავისი კუთვნილი 1/4 (25%) (რომელიც ქ. ჯ-შვილს მიღებული აქვს 2008 წლის 15 ივლისის ნოტარიუს ნ. გ-ძის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობისა და 2007 წლის 14 დეკემბრის «დ. უ-ს» ამხა-

ნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე), გადასცეს გი. კ-ურის დანარჩენ მემკვიდრეებს თ. კ-ურს – 9%, გ. კ-ურს – 9% და ა. კ-ურს – 7%, საჯარო რეესტრში აღრიცხვით;

3. გი. კ-ურის სამკვიდროში შემავალ აქტივზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია საკუთრების უფლებასთან, თბილისში, 300 ... მე-3 შესახვევის 15-ში მდებარე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან, ან იმავე უძრავი ნივთის შენატანის საფუძველზე «დ. უ-ს» ამხანაგობაში წევრობასთან, წინამდებარე შეთანხმების ძალით თანამესაკუთრეებს წარმოადგენენ თ. კ-ური, გ. კ-ური და ა. კ-ური. ამასთან, სამკვიდროში შემავალ ამ აქტივზე ა. კ-ურს ეკუთვნის თანასაკუთრებაში 32%-იანი წილი, თ. კ-ურს ეკუთვნის 34%-იანი წილი, ხოლო გ. კ-ურს ეკუთვნის 34%-იანი წილი;

4. ამ შეთანხმების მხარეებთან მიმართებაში ამ შეთანხმებით დადგენილი წესები არ ვრცელდება გი. კ-ურის ისეთ ქონებაზე, რომელიც არ უკავშირდება თბილისში, 300 ... მე-3 შესახვევის 15-ში მდებარე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას ან წილზე საკუთრების უფლებას «დ. უ-ს» ამხანაგობაში, ან ამ შეთანხმების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ გი. კ-ურის სამკვიდროში შემავალ აქტივს;

5. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტამდე არსებობას განაგრძობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც დადგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 აგვისტოს განჩინებით (137578-08).

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება და შეწყდეს საქმის წარმოება.

III. განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

IV. მოწინააღმდეგე მხარე ქ. ჯ-შვილი განთავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

V. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საძიებელი: